



მსოფლიო მემკვიდრეობის კვლის
ბელატიის მონასტრის
მართვის ბეგმა

შინაარსი

ილუსტრაციების სია	5
1. შესავალი	6
1.1. მართვის გეგმის მიზანი	6
1.2. მიმართება სხვა კვლევებთან	6
1.3. მართვის სფერო და მიდგომა	7
ზოგადი მიმოხილვა	7
მართვის პრინციპები	8
მიდგომა	10
1.4. მართვის გეგმის ამოცანები	11
სივრცითი გეგმის მომზადება საპროექტო არეალისთვის	11
დაცვისა და კონსერვაციის მართვა	11
2. ინფორმაცია	13
2.1. ზოგადი მიმოხილვა	13
მართვის არეალი	13
გეოგრაფიული მონაცემები	14
2.2. კულტურული მემკვიდრეობა	15
გელათის მონასტრის მოკლე ისტორია	15
ძეგლები მონასტრის ტერიტორიაზე	17
კვლევის მონაცემები და შედეგები	23
ამჟამინდელი დაცვის სტატუსი და მართვა	26
კონსერვაცია და რეაბილიტაცია	27
ძეგლები ბუფერულ ზონაში	30
2.3. ლანდშაფტი და ბუნება	34
ლანდშაფტი	34
რელიეფი	35
კლიმატი	37
წყალი და ჰიდროლოგიური რეჟიმი	37
მცენარეული საფარი, ფლორა და ფაუნა	37
ანთროპოგენური გავლენა	40
2.4. საფრთხეები და ბუნებრივი კატასტროფები	42
2.5. სოციალური და ეკონომიკური ასპექტები	42
მიწათსარგებლობა და მიწათმოწყობა მონასტერში და მის მახლობლად	42
მიწათსარგებლობა და რესურსების გამოყენება ბუფერულ ზონაში	45
დემოგრაფია და ეკონომიკა	45

2.6. ხელმძღვანელობა და მართვა	48
საკანონმდებლო ბაზა	49
კანონის აღსრულება	53
3. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა	55
3.1. ზოგადი მიმოხილვა	55
საჯარო სექტორი	55
კერძო სექტორი	55
სამოქალაქო სექტორი	55
3.2. დაინტერესებული მხარეები საპროექტო არეალში	56
ზოგადი მიმოხილვა	56
მონასტერი	56
საჯარო სექტორი	58
კერძო სექტორი	60
სამოქალაქო სექტორი	61
3.3. ეროვნული სააგენტოების როლი	61
ზოგადი მიმოხილვა	61
საჯარო სექტორი	62
კერძო სექტორი	62
სამოქალაქო სექტორი	63
4. შეფასება	64
4.1. ზოგადი მიმოხილვა	64
4.2. ზონირება	65
4.3. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება და სხვა ღირებულებები	68
კულტურული ღირებულება	68
კრიტიკიუმთან შესაბამისობის დასაბუთება	69
ავთენტურობა და მთლიანობა	69
რელიგიური ღირებულება	72
ტურისტული ღირებულება	72
4.4. ბუფერული ზონის ძეგლების კულტურული ღირებულება	72
4.5. ბუნების ღირებულება და ფუნქციები	73
ღირებულება და ფუნქციები	73
გარემოს შეფასება	74
გამოყენების ღირებულება	75
4.6. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის და მისი ბუფერული ზონის წინაშე მდგარი პრობლემები	77
მონასტრის შენობებთან დაკავშირებული საფრთხეები	77
ჰაერის დაბინძურება და ავღარი	78
ვიზიტორთა პოტენციური ზემოქმედება	78
სტიქიური უბედურებები	79

ხანძრის საფრთხე	80
სამტეხლოს ტრანსპორტის მოძრაობა	82
დამატებითი საცხოვრებლების საჭიროება ბერების რაოდენობის შესაძლო გაზრდის შემთხვევაში	82
სამხედრო კონფლიქტის რისკის ზეგავლენა	83
ბუფერული ზონის გარემოსთან დაკავშირებული რისკები	83
4.7 ეკონომიკური განვითარების პოტენციალი	83
სამთავრობო პრიორიტეტები	84
სამოქალაქო სექტორის საქმიანობა	84
სოფლის მეურნეობა	85
მრეწველობა და ხელოსნობა	86
მდგრადი ტურიზმი	86
4.8. რისკის შეფასება	90
4.9. პასუხისმგებელი დაწესებულებები	90
4.10. მიმდინარე საქმიანობა და პროექტები	92
5. ჩარევა	93
5.1. ზოგადი მიმოხილვა	93
5.2. მართვის საკითხები	93
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი	93
ბუნება	94
საზოგადოება	94
5.3. პროგრამები	96
6. ხელმძღვანელობა და კეზლის მართვა	97
6.1. მართვის კომიტეტი	97
6.2. საკანონმდებლო ბაზა და ბიუჯეტი	100
7. ბანხორციელება, მონიტორინგი და შეფასება	101
7.1. ზოგადი მიმოხილვა	101
7.2. მონიტორინგი	102
7.3. შეფასება	103
ბიბლიოგრაფია	104
დანართების სია	108

ილუსტრაციების სია

- სურათი 1. ქუთაისისა და ტეიბულის მუნიციპალიტეტები*
- სურათი 2. მართვის არეალის საზღვრები*
- სურათი 3. ბუფერული ზონის რუკა, რომელზეც დატანილია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები და ძეგლის სტატუსზე წარსადგენი ობიექტები*
- სურათი 4. ტოპოგრაფიული რუკა*
- სურათი 5. მიწათმოწყობა გელათის მონასტრის ირგვლივ*
- სურათი 6. მიწათსარგებლობის რუკა*
- სურათი 7. რეგისტრირებული ნაკვეთები*
- სურათი 8. ტერიტორიულ-ფუნქციონალური ერთეულები*
- სურათი 9. მიწისძვრის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო*
- სურათი 10. მეწყერის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო*
- სურათი 11. ტყის ხანძრის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო*

- ტაბულა 1. მართვის გეგმის სტრუქტურა*
- ტაბულა 2. გეოგრაფიული მონაცემები*
- ტაბულა 3. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა*
- ტაბულა 4. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის და მისი ბუფერული ზონის მართვით დაინტერესებული მხარეები*
- ტაბულა 5. გარემოს დაგეგმარების ჩარხო*
- ტაბულა 6. ლანდშაფტისა და ბუნების შეფასება*
- ტაბულა 7. ურთიერთქმედების ცხრილები*
- ტაბულა 8. მდგრადი ტურიზმის ეფექტური შეფასების დიაგრამა საპროექტო არეალისთვის*
- ტაბულა 9. მიმდინარე საქმიანობები და პროექტები*
- ტაბულა 10. სამოქმედო პროგრამები*
- ტაბულა 11. მართვის სტრუქტურის ორგანოგრამა*
- ტაბულა 12. მართვის პროცესების სტრუქტურა*
- ტაბულა 13. საკანძო ინდიკატორები ძეგლის მდგომარეობის მონიტორინგისთვის*

- ფოტო 1. გელათის მონასტერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან*
- ფოტო 2. ღმრთისმშობლის შობის ტაძარი. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით*
- ფოტო 3. აკადემია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია და სამრეკლო*
- ფოტო 4. მეფე დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა*
- ფოტო 5. 2008 წელს გათხრილი აკადემიის მომიჯნავე კამაროვანი დერეფანი*
- ფოტო 6. მოწამეთას მონასტერი*
- ფოტო 7. ტაფობის საერთო ხედი*
- ფოტო 8. მდ. წყალწითელა გელათის ტაფობზე*
- ფოტო 9. მდ. წყალწითელა მოწამეთას მიდამოებში*
- ფოტო 10. დოხოვრას მთა გელათის მონასტრით*
- ფოტო 11. წვრილი მოვაჭრეები გელათის მონასტრის შესასვლელთან*

1. შესავალი

1.1. მართვის გეგმის მიზანი

გელათის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენდა ნაწილს სერიული ძეგლისა *ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი*, რომელიც 1994 წელს შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (№710) მეოთხე (IV) კრიტერიუმით. გელათის მონასტრის მსოფლიო ძეგლის სტატუსი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2009 წელს დაიწყო ბაგრატის ტაძრის აქტიური სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 2013 წელს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი და საქართველოს მთავრობა, იკომოსის რეკომენდაციების საფუძველზე, შეთანხმდნენ გელათის მონასტრის ცალკე რენომინაციაზე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. შესაბამისად, მომზადდა *საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოკუმენტი*, რომელიც 2013 წლის თებერვალში გაეგზავნა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს.

კომიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის განახლება ასევე გულისხმობს საკუთრივ გელათის მონასტრისა და მიმდებარე ბუფერული ზონის **მართვის გეგმის** შემუშავებას. წარმოდგენილი დოკუმენტი მომზადებულია ამ მოთხოვნის შესაბამისად. მართვის გეგმა მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ იუნესკოს სამოქმედო სახელმძღვანელოსთან შესაბამისობით. ექსპერტებმა და საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, ეკლესიამ და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა კონსულტაციების საშუალებით შეიტანეს წვლილი ამ დოკუმენტის შექმნის პროცესში. ეს მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა შეხედულებების ინტეგრაციისა და საერთო ხედვის ჩამოყალიბებისათვის.

მართვის გეგმა მომზადდა 2014 და 2015 წლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით. 2017 წლის იანვარში ის განახლდა იკომოსის 2016 წლის აპრილის რეცენზიაში (technical review) გამოთქმული შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით.

გელათის მონასტრის მართვის გეგმა მოიცავს 2017-2021 წლებს. ის იძლევა ძეგლის მართვის ნათელ სტრატეგიას და მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას ადგილობრივ თემს, ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რათა გარანტირებულ იქნას გეგმის ეფექტური განხორციელება. მართვის გეგმის მიზანია დაიცვას და შეინარჩუნოს გელათის მონასტრის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და ბუფერული ზონის სხვა ღირებულებები. ის ეხება გელათის მონასტრის მართვის რეგულირების სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის კონსერვაციასა და პრეზერვაციას, გარემოს გაუმჯობესებას, საფრთხეებსა და რისკებს, ვიზიტორთა მართვას, საკანონმდებლო დაცვასა და განვითარების საკითხებს, რაც აუცილებელია მომავალში ძეგლის დაცვისთვის. ის ასევე განმარტავს ძეგლის სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ადგილობრივი თემისა და ზოგადად დაინტერესებულ მხარეთათვის.

1.2. მიმართება სხვა კვლევებთან.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავდა გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმა, რომელიც 2009 წელს დამტკიცდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და

შესაბამისი ეროვნული სააგენტოების მიერ. კონსერვაციის გენერალური გეგმა არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის მართვის საფუძველი. იგი მოიცავს ძეგლის კომპონენტების სრულ დოკუმენტაციას, თითოეული არქიტექტურული კომპონენტის სარეაბილიტაციო პროექტებს, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრებისა და კედლის მსტვრობის კონსერვაციის გეგმებს. 2015 წელს კონსერვაციის გენერალური გეგმა განახლდა, რათა მასში სრულად ასახულიყო ახალი რეალობები და ძეგლის არსებული და სამომავლო საჭიროებები¹.

2014 წელს შემუშავდა იმერეთის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმა. წინასწარული გეგმა მოიცავს მდინარე წყალწითელას ხეობას და კანიონს, რომელსაც დაცული ძეგლის სტატუსი აქვს IUCN-ის მე-3 კატეგორიით, და რამდენიმე კარსტულ მღვიმეს, რომლებსაც ასევე გააჩნიათ დაცვის სტატუსი². ამ ორი კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია წარმოდგენილ მართვის გეგმაში.

2014 წელს საქართველოს ეროვნულმა ტურიზმმა ადმინისტრაციას გამოსცა იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია³, რომელიც გამოყენებულ იქნა როგორც საფუძველი საპროექტო არეალში ტურიზმის პოტენციალის შეფასებისა.

1.3. მართვის სფერო და მიდგომა

ზოგადი მიმოხილვა

კულტურული მემკვიდრეობის მართვა შეიცვალა წლების განმავლობაში. იგი განვითარდა საკონსერვაციო მიდგომიდან, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას ისახავდა მიზნად, ფასეულობაზე დაფუძნებული მიდგომამდე, რომელიც მოიცავს როგორც კულტურულ ფასეულობებს, ისე ლანდშაფტსაც და იყენებს გარემოსდაცვითი მართვის სტრუქტურას. ამოცანათა ამ ცვლილებამ გამოიწვია მოსარგებლეთა (ბენეფიციარების) და დაინტერესებულ მხარეთა უფრო მრავალფეროვანი ჯგუფების გაჩენა, გეგმის ფარგლებში ჩასართველი არეალის გაფართოება და ყოველივე ამასთან დაკავშირებული ცვლილებები მართვის სტრუქტურაში და პროცედურებში, საკანონმდებლო ბაზასა და ინსტიტუციურ მოწყობაში.

ეს ცვლილებები იწვევს ასევე განსხვავებულ მიდგომას. გარემოს ინტეგრირებული მართვა მოითხოვს უფრო ფართო მიდგომას და სივრცითი ერთეულების განსაზღვრასა და აღწერას კვადრატული კილომეტრების მასშტაბში, რაც, ფაქტობრივად ზონირების ფორმაა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი ამ მიდგომით არის მაღალი კულტურული ღირებულების მქონე ერთეული. ძეგლების კონსერვაცია მოითხოვს უფრო დეტალურ მიდგომას (სივრცითი მასშტაბით მეტრებში), რათა აღიწეროს და შენარჩუნებულ იქნას კულტურული მახასიათებლები, რომლებიც შესაძლოა იყოს ცალკეული ნაგებობები ან ამ ნაგებობების ნაწილები. გარემოსდაცვითი მართვის მიდგომაში კულტურული კონსერვაცია „ჩაბუდებულია“ ერთიან სივრცით გეგმაში.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პუბლიკაცია „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მართვა“⁴ უფრო დეტალურად აღწერს ამ ახალ მიდგომას და იძლევა

¹ Gelati Monastery Conservation Master Plan (Tbilisi, 2015)

² Tourism Development and Management Plan for Imereti Caves Protected Area (Purkersdorf, Austria and Tbilisi, 2014), http://tjs-caucasus.org/wp-content/uploads/2015/04/PA-Imereti-caves-Strategy_final.pdf

³ THR Innovative Tourism Advisors, TBSC Consulting, Imereti Tourism Development Strategy (Barcelona/Tbilisi, 2012).

მართვისა და დაგეგმარების რეკომენდაციებს ამ ახალი კონტექსტის ფარგლებში. IUCN-ის სახელმძღვანელო პრინციპებს დაცული ლანდშაფტისთვის⁴ იგივე მიზანი აქვს. ორივე პუბლიკაცია გამოყენებულია წარმოდგენილი გეგმის საფუძვლად.

საქართველოში იუნესკოს მიერ რეკომენდირებული ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. ამ ეტაპზე დაგეგმარება და მართვა უნდა დაეფუძნოს მოქმედ კანონებს და არსებულ ინსტიტუციურ მოწყობას. მოცემული გეგმა იძლევა რეკომენდაციებს, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს კანონებისა და მართვის სტრუქტურის გადაკეთება, რათა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა მართვის გეგმის განხორციელებისთვის იუნესკოს რეკომენდაციების შესაბამისად.

მართვის პრინციპები

წარმოდგენილი მართვის გეგმა უზრუნველყოფს ერთიან სამოქმედო ჩარჩოს მთელი ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის ინტეგრირებული მართვისთვის და ფოკუსირებულია მრავალ-რესურსიან და მრავალ-გამოყენებად მართვაზე. იგი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- იგი იცავს და აუმჯობესებს ადამიანის ხელქმნილი ლანდშაფტისა და მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კულტურულ ღირებულებას. ეს უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საპროექტო არეალში, სადაც გელათის სამონასტრო ანსაბლის როგორც ისტორიულ-კულტურული, ასევე არქიტექტურული ღირებულებები აღიარებულია მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით.
- იგი აღიარებს განახლებადი რესურსების მნიშვნელობას ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის. ეს გულისხმობს, რომ უნდა განისაზღვროს გარემოს გამოყენების შესაძლებლობები (carrying capacity) და კულტურული და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზომა უნდა იყოს თანხვედრი ეკოსისტემის ქმედითუნარიანობასთან.
- იგი იცავს და აუმჯობესებს ეკოსისტემების მთლიანობას და აღიარებს რესურსების გამოყენების ლიმიტებს; ეს გულისხმობს, რომ ზოგ არეალში შეიძლება დადგინდეს აკრძალვა სივრცის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე.
- იძლევა სწორ გაგებას იმ დინამიკური ურთიერთქმედებისა ადამიანსა და ბუნებას შორის, რამაც შექმნა არსებული ლანდშაფტი და რაც განაპირობებს მის მომავალ ფორმას; იძლევა სწორ გაგებას ძირითადი კულტურული, ეკოლოგიური და სოციალური პროცესებისა და მათი გამოყენებისა არსებობის პირობების გასაუმჯობესებლად და საფრთხეების უარყოფითი ეფექტების გასანეიტრალებლად. ამგვარი გაგების გარეშე კულტურული და ეკოლოგიური ზიანი გარდაუვალია. განათლება და წვრთნა არის მომავალში ამის თავიდან აცილების საშუალებები.
- იგი უზრუნველყოფს რესურსების მრავალგვარ გამოყენებას და დამხმარე საქმიანობების მხარდაჭერას. საპროექტო არეალში აღინიშნება სხვადასხვა მომხმარებლის კონკურენცია სივრცის და შეზღუდული რესურსების გამოყენების სფეროში; ხდება გამოყენების კონფლიქტები და რესურსები იღვევა. სივრცითი დაგეგმარება არის კონფლიქტური გამოყენების გამიჯვნის საშუალება და იძლევა შესაძლებლობებს დამატებითი საქმიანობებისთვის. თითოეულ სივრცით ერთეულში უნდა დადგინდეს რეჟიმები, რომლებიც

⁴ UNESCO, Managing World Cultural Heritage (Paris, 2013).

⁵ Philips A., Management Guidelines for IUCN Category V Protected Areas Protected Landscapes/Seascapes. IUCN (Gland, Switzerland, and Cambridge, UK, 2002).

დაიცავენ მათ ფუნქციებს და ღირებულებებს და გაადვილებენ კულტურული და ბუნებრივი რესურსების და ფუნქციების მდგრად გამოყენებას.

- იგი უზრუნველყოფს მრავალსექტორულ და მრავალდონიან ინტეგრაციას გადაწყვეტილებების მიღების სფეროში, აკავშირებს რა ფართომასშტაბიანი გადაწყვეტილებების მიღებას ადგილობრივი დონის ჩარევებთან. მართვის სტრუქტურა არის ამის მიღწევის საშუალება. არსებითია ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით კი მონასტრის ძმობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა დაგეგმარების პროცესში. საჯარო განხილვები ინფორმაციის გაზიარებისთვის არის დაინტერესებულ მხარეთა გათვითცნობიერების ინსტრუმენტები; კონსულტაციები და კოოპერაცია არის პროცესებში მათი აქტიური ჩართვის საშუალება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების მხარდაჭერას და ქმნის პროცესებში სრული ჩართულობის განცდას.
- შეიმუშავეს მართვის გეგმის განხორციელების ეფექტურ სისტემას, ადგენს რა ეფექტურ კოორდინაციას დაინტერესებულ მხარეთა შორის და ქმნის ახალ განმახორციელებელ სტრუქტურებს.
- ადგენს მართვის გეგმის განხორციელებისა და მართვის სფეროში ჩართული ობიექტების მონიტორინგის დონისძიებებს. რეგულარული მონიტორინგი არსებითია მონაცემების შესაგროვებლად და სრული ინფორმაციის მისაღებად როგორც გეგმის ეფექტურობის, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის თაობაზე.

ამგვარად, წარმოდგენილი მართვის გეგმა ეფუძნება იმის გაგებას, რომ

- მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს შეუძლიათ უზრუნველყონ მრავალფეროვანი გამოყენება, რომლებიც კულტურულად და ეკოლოგიურად მდგრადია და რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ დაინტერესებული საზოგადოების ცხოვრების ხარისხი.
- მართვის გეგმამ, ისევე როგორც დამატებითმა საკანონმდებლო მექანიზმებმა, რომლებსაც შეიძლება მიმართოს სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყონ ის, რომ მდგრადი გამოყენება ან რაიმე სხვა ფუნქცია არ მოახდენს საზიანო ზემოქმედებას ძეგლის განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე.
- მართვის გეგმა აძლიერებს როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი რესურსების გაგებას, ღირებულების გაზრდას და დაცვას, ითვალისწინებს რა, რომ გელათის მონასტერი განლაგებულია მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების მომცველ ძალიან მგრძობიარე კულტურულ ლანდშაფტში.
- მართვის გეგმამ უნდა წააქეზოს კონსერვაციის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის არსებული მიდგომები და რეჟიმები ძეგლის ყველა მახასიათებლებისა და ატრიბუტებისთვის.

მეტიც, იგი აღიარებს, რომ

- გელათის მონასტერი არის ცოცხალი რელიგიური ცენტრი, ეს ფუნქცია ავთენტურია და მას საგანგებო როლი აქვს ძეგლის განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაში;
- გეგმამ უნდა შექმნას საფუძველი თანამშრომლობისათვის სახელმწიფოსა და ძეგლის მფლობელს – საქართველოს ავტოფეკალურ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, როგორც ძეგლის მდგრადი დაცვის, კონსერვაციის, მართვისა და პრეზერვაციისა აუცილებელი პირობა.
- გეგმამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა.

მიდგომა

როგორც ნაჩვენებია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ არსებულ პუბლიკაციებში, ეფექტური მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს დაგეგმარების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის (feedback) ციკლს. მართვის გეგმარება დინამიკური პროცესია და არ თავდება მართვის გეგმის შედგენისათანავე. შეფასების შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს ამოცანების, მართვის სტრუქტურისა და პროცესის ცვლილება.

IUCN-მა შეიმუშავა სქემა მართვის გეგმის მოსამზადებლად. ის უჩვენებს დაგეგმარების ძირითად კომპონენტებს: ძეგლის აღწერა, ღირებულებების და ფუნქციების შეფასება შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებასთან ერთად, სივრცითი გეგმის მომზადება შესაბამისი ზონირებით და მართვის რეჟიმების დადგენით კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების და ფუნქციების კონსერვაციისთვის.

გეგმა ეფუძნება იუნესკოსა და IUCN-ის მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოს და შესაბამისად არის აგებული, როგორც ეს ნაჩვენებია ტაბულა 1-ში.

ასპექტი	ზოგადი	კულტურა	ბუნება	რისკი და საფრთხეები	სოციალ-ეკონომიკ. ასპექტები	ხელმძღვანელობა
შესავალი	1.					
ინფორმაცია	2.1.	2.2	2.3	2.4.	2.5.	2.6.
ურთიერთქმედება	3.1.	3.2., 3.3.				
შეფასება	4.1, 4.2.	4.3, 4.4	4.5	4.6., 4.8.	4.7.	4.9., 4.10
ჩარევა	5.1., 5.2.	5.3	5.3.			5.4
ინტეგრირება						6.
განხორციელება						7.

ტაბულა 1. მართვის გეგმის სტრუქტურა

სვეტებში განსაზღვრულია მართვის ასპექტები – როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტულად კულტურასთან, ბუნებასთან, სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებსა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული. რიგებში ნაჩვენებია გეგმის შემუშავების სხვადასხვა ფაზები. ზოგად „შესავალს“ მოჰყვება თავი „ინფორმაცია“, რომელშიც აღწერილია ძეგლის სხვადასხვა ასპექტები, „ურთიერთქმედება“, სადაც აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა წვლილი, და „შეფასება“, რომელშიც მონაცემები არის გაანალიზირებული და შეფასებული. ეს ორი ბოლო თავი ქმნის საფუძველს შემდეგი თავისთვის „ჩარევა (ინტეგრაცია)“, რომელშიც მართვის საკითხები არის განსაზღვრული და წარმოდგენილია ღონისძიებები და სტრატეგიები ამ საკითხების მოსაგვარებლად. თავი „განხორციელება“ მოიცავს სამოქმედო გეგმას და შესაბამის პროგრამებს ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. უფრო სრულად სამოქმედო პროგრამები თან ერთვის მართვის გეგმას დანართი 1-ის სახით. მათში უფრო დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ უნდა იქნას გადაჭრილი მაღალი პრიორიტეტის მქონე საკითხები.

ცხადია, ეს არის პირველი მართვის გეგმა გელათის მონასტრისა და მისი ბუფერული ზონისთვის. ამიტომ იგი პასუხობს და გარკვეულწილად იყენებს კიდევ უკვე მიმდინარე სხვა გეგმებსა და პროექტებს. ამ ეტაპზე ზოგი საკითხი შეიძლება უფრო დაწვრილებით და დამაჯერებლად იყოს წარმოდგენილი, სხვები – ნაკლებად. ეს არ არის უჩვეულო ამგვარ გარემოებებში და ასახავს გეგმარებითი პროცესის ევოლიუციურ ბუნებას. ამ გეგმის შემდეგ განახლებას, რომელიც 2020 წელს უნდა

გაკეთდეს, ექნება უპირატესობა დაინტერესებული მხარეების რამდენიმეწლიანი ერთობლივი მუშაობისა.

14. მართვის გეგმის ამოცანები

სივრცითი გეგმის მომზადება საპროექტო არეალისთვის

სივრცითი გეგმა არის გარემოს მართვის საფუძველი. ის ანაწილებს ფუნქციებს მათ შესატყვის ადგილმდებარეობებზე, აერთიანებს თავსებად ფუნქციებს და გამოიწვევს კონფლიქტურ ქმედებებს.

დაცვისა და კონსერვაციის მართვა.

მართვის გეგმა აღწერს მართვის რეჟიმს სხვადასხვა სივრცით ერთეულებში, რათა უზრუნველყოს კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების დაცვა და კონსერვაცია და ასეთი რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებათა კონსერვაცია

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განსახორციელებელი სამოქმედო პრინციპები ადგენს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა და მართვა უნდა უზრუნველყოფდეს მისი განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების, (ავთენტურობისა და მთლიანობის ჩათვლით) შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას. ძეგლების საერთო მდგომარეობისა და მათი განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების დაცვლობის სისტემატური შემოწმება უნდა ხდებოდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისთვის დადგენილ მონიტორინგის პროცესის ჩარჩოებში, როგორც ეს ჩამოყალიბებულია *სახელმძღვანელო პრინციპებში*.

ამგვარად, მართვის გეგმის მთავარი ამოცანაა, რომ გელათის მონასტრის, როგორც საკვანძო კულტურული და ისტორიული ძეგლის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება, მისი ავთენტურობა და მთლიანობა იყოს დაცული და გაუმჯობესებული დროთა განმავლობაში, მისი, როგორც ცოცხალი რელიგიური ცენტრის ფუნქციური სიცოცხლისუნარიანობის ჩათვლით..

გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს და განახლდა 2015 წელს, არის მთავარი ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც განხილულია ძეგლის შემადგენელი არქიტექტურული ნაგებობების და მათი ფერწერული და მოზაიკური დეკორის, ასევე არქეოლოგიური განანათხარი ობიექტების კონსერვაციის სტრატეგიები და რეჟიმები. მისი დამტკიცების შემდეგ გეგმის შესაბამისად განხორციელდა ინტენსიური სამუშაოები, რომელთაც გამოავლინეს რიგი ახალი პრობლემებისა და ახალი ძალზე ფასეული ინფორმაცია გელათის მონასტრის შემოთავაზებული საკონსერვაციო პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

წარმოდგენილმა მართვის გეგმამ უნდა უზრუნველყოს კონსერვაციის გენერალური გეგმის თანმიმდევრული განხორციელება და ახალი რეალობების კონტექსტში მისი საკონსერვაციო პოლიტიკის სისტემური მონიტორინგი.

ბუნებრივი ღირებულებების კონსერვაცია

გელათის მონასტრის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება ძლიერდება მისი გარემოთი და პეიზაჟით. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი ფოკუსირებულია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი მართვის მიდგომაზე, რათა უზრუნველყოს ლანდშაფტის კონსერვაცია და რესტავრაცია, განსაკუთრებული

აქცენტით იმ ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების თვალსაზრისით.

მდგრადი გამოყენება სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

არეალი ნაკლებად დასახლებულია, მოსახლეობა კონცენტრირებულია სოფლებში – კურსებში, გელათსა და მოწამეთაში. არეალის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო მფლობელობაშია. მონასტრის მფლობელია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია; არეალის ნაწილი კერძო მფლობელობაშია. დანარჩენი ფართი გამოიყენება დასახლებებისა და სოფლის მეურნეობისთვის.

სულზე შემოსავალი და საჯარო მომსახურების დონე დაბალია. მართვის გეგმა ფოკუსირებულია ცხოვრების სტანდარტის ამაღლებაზე ტურიზმის შემდგომი განვითარების გზით, რომელიც ტრადიციულად ადგილობრივი ეკონომიკისთვის წამყვანი სფეროა, ასევე გაუმჯობესებული აგრო-ტექნოლოგიების და ახალი ეკონომიკური საქმიანობის განვითარებით.

2. ინფორმაცია.

2.1. ზოგადი მიმოხილვა

საპროექტო არეალი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს (იხ. სურათი 1). კურსების ადმინისტრაციული თემი სოფელ კურსებს, გელათსა და მოწამეთას მოიცავს.




სურათი 1. ქუთაისისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტები

მართვის არეალი

მართვის გეგმა ეხება გელათის მონასტერს, ისევე როგორც ძეგლის ბუფერულ ზონას, როგორც ეს განსაზღვრულია სამინისტროს №03/5 09.01.2014 დადგენილებით და შემოთავაზებულია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების გელათის მონასტრისა და ბაგრატის ტაძრის საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოკუმენტში, რომელიც სახელმწიფო მხარემ 2014 წლის თებერვალში წარუდგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს (იხ. სურათი 2).

ბუფერული ზონა ასახავს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ სახელმწიფო მხარისადმი წაყენებულ მოთხოვნას (37 COM 7A.32, 2013) მომზადდეს და წარდგენილი იქნას გელათის მონასტრისა და ბაგრატის ტაძრის საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოკუმენტი რათა გელათის მონასტერმა დამოუკიდებლად გაამართლოს კრიტერიუმში. კომიტეტის თანახმად, „...ბაგრატის ტაძარი ისეთ დონეზე გადაკეთდა, რომ მისი ავთენტურობა შეუქცევადად იქნა საფრთხის ქვეშ დაყენებული და ის უკვე ვეღარ ამართლებს მის კრიტერიუმს, რომლითაც იქნა ნუსხაში შეტანილი“.



სურათი 2. მართვის არეალის საზღვრები

გეოგრაფიული მონაცემები

გელათის მონასტერი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, ქალაქ ქუთაისიდან 11 კმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი გეოგრაფიული მონაცემები ნაჩვენებია ტაბულა. 2-ზე.

სახელ-წოდება	ადმინისტრაცია	კოორდინატები	ტერიტორია	
			ბირთვი	სულ
გელათის მონასტერი	სოფელი გელათი, კურსების თემი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი	E 42° 17' 40.58 N 42° 46' 05.62	4,1 ჰა	12,46 კმ ²

ტაბულა 2. გეოგრაფიული მონაცემები

2.2. კულტურული მემკვიდრეობა

გელათის მონასტრის მოკლე ისტორია

ქართული კულტურის აღორძინება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის გაერთიანებასთან ერთად დაიწყო 980-იან წლებში, გაგრძელდა XI-XII საუკუნეებშიც, რაც გამოიხატა არქიტექტურის, სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნაში. 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე დავიტ IV (მოგვიანებით „აღმაშენებლად“ წოდებული) ეკურთხა. მისი მმართველობით დაიწყო შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანა“, რომელიც თამარ მეფის (1184-1213) მმართველობის ჩათვლით გაგრძელდა. დაახლოებით 120 წლიანი პერიოდი ამ ორი მეფის მმართველობას შორის სრული სტაბილიზაციის, პოლიტიკური სიძლიერისა და ეკონომიკური ზრდის ხანა იყო. ქართული კულტურა შეუფერხებელ აყვავებას განიცდიდა, რამაც შესაბამისი ღირებულებების მქონე ნაყოფი გამოიღო.



ფოტო 1. გელათის მონასტერი, ხელი სამხრეთ-დასავლეთიდან (2013)

გელათის მონასტერი და აკადემია 1106 წელს დაფუძნდა დავით IV აღმაშენებლის ინიციატივით და ორივე საქართველოს ოქროს ხანის კულტურული და ინტელექტუალური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა. მონასტერი დაარსებისთანავე არ ყოფილა ჩაფიქრებული როგორც უბრალოდ რელიგიური დაწესებულება. მეფე დავითს სურდა შეექმნა იმ პერიოდის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერებისა და განათლების ცენტრი. მან მონასტერში აკადემია დააფუძნა და დიდი ძალისხმევით შედეგად მასში შეკრიბა როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ მცხოვრები ყველაზე გამორჩეული ქართველი ღმრთისმეტყველები და ფილოსოფოსები, თანამედროვენი

აღფრთოვანებულნი იყვნენ ახლადდაარსებული მონასტრითა და აკადემიით. ქართველი მემკვიდრეები მონასტრის დაარსების ისტორიას აღწერენ როგორც განსაკუთრებულ მოვლენას ერის ცხოვრებაში: „რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულეებისად, სხუად ათინა“ – წერს დავით მეფის მემკვიდრე. ათენისა და იერუსალიმის ხსენება ხაზს უსვამს გელათის მონასტრის, როგორც საერო, ასევე სასულიერო მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ღმრთისმეტყველების ცენტრის მნიშვნელოვნებას.

გელათის მონასტრის მშენებლობა XII-XIII საუკუნეებში მიმდინარეობდა. მთავარი ტაძარი, რომელიც ღმრთისმშობლის სახელობაზე იყო ნაკურთხი, 1106-1130 წლებში აიგო. ამავ პერიოდით თარიღდება აკადემიის შენობა და მონასტრის სამხრეთი კარიბჭე, ისევე როგორც აკადემიის ჩრდილოეთით ახლახანს გათხრილი ნაგებობები. XIII საუკუნეში აიგო წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები და სამრეკლო. XIV საუკუნის დასაწყისში აკადემიას აღმოსავლეთიდან კარიბჭე მიუშენდა.

გელათი დაფუძნებიდანვე სამეფო მონასტერს წარმოადგენდა. ის ფლობდა ვრცელ მიწებსა და მდიდარ საგანძურს, რომელშიც იყო მრავალი შესანიშნავი ხატები და მათ შორისა ხახულის ღმრთისმშობლის განთქმული ხატი (დღეს ის საქართველოს ეროვნული მუზეუმშია დაცული). უშუალოდ ხატი X საუკუნეში შეიქმნა. დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ის მინანქრებითა და ჭედური ორნამენტებით მდიდრულად მორთულ ტრიპტიქში ჩაესვენებინა. ეს სამუშაო დავითის შვილმა, მეფე დემეტრე I-მა (1125-1156) სამ დახელოვნებულ გელათელ ოსტატს შეასრულებინა. გელათში ასევე სკრიპტორიუმიც იყო, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა. აქ შექმნილ წიგნებს შორის ყველაზე ცნობილია მინიატურებით შემკული XII საუკუნის სახარება (ამჟამად ის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, Q-908).

მეფე დავითმა თავის ანდერძში გელათის მონასტერში დაკრძალვა და მონასტრის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის განსასვენებლად განკუთვნილება ისურვა. მას შემდგომ გელათის მონასტერში ჯერ საქართველოს, ხოლო შემდგომ იმერეთის მეფე-დედოფლები იკრძალებოდნენ.

საქართველოს „ოქროს ხანას“ დაცემის ხანგრძლივი პერიოდი მოჰყვა, რომელიც დაიწყო 1400-იან წლებში თემურლენგის შემოსევებით და 400 წელი გაგრძელდა. XV საუკუნის ბოლოს, საქართველოს დაშლის შემდგომ, მონასტერი იმერეთის მეფეთა საკუთრება გახდა. ამ პერიოდისთვის აკადემია უკვე გაუქმებულია. მოგვიანებით ბერები შენობას სატრაპეზოდ იყენებდნენ. 1510 წელს გელათის მონასტერი შემოსევლმა თურქებმა გადაწვეს. ხანძრის დროს განსაკუთრებით დაზიანდა მთავარი ტაძრისა და წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობა. მონასტერი 1519 წელს აღადგინა იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ და საეპისკოპოსო საყდრად აქცია. 1565-1578 წლებს შორის, ბიჭვინთიდან გელათში, კერძოდ კი წმ. გიორგის ტაძარში გადმოტანილ იქნა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდარი.

1759 წელს მონასტერი ლეკების შემოსევის დროს გადაიწვა. 1770-1780-იან წლებში იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძალისხმევით მონასტერი კვლავ აღდგა. მან მთავარი ტაძარი რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თუნუქით გადახურა.

1810 წელს რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ რუსმა მმართველებმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობის გაუქმება განიზრახეს. მათ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო 1814 წელს გააუქმეს, ხოლო გელათის საეპისკოპოსო – 1820 წელს.

მონასტერი ფუნქციონირებას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე. 1923 წელს მონასტერი დაიხურა და ქუთაისის მუზეუმის განყოფილებად გადაკეთდა. გელათის მონასტრის მთავარი ნაგებობები, გარდა

აკადემიისა, შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო. საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები 1962-1963 წლებში განხორციელდა. ეკლესიები და სამრეკლო თუნუქით გადახურეს. აკადემიის შენობა ნაწილობრივ იქნა აღდგენილი (გადახურვის გარეშე).

გელათის მონასტერში ღმრთისმსახურება და სამონასტრო ცხოვრება 1988 წელს აღდგა.

ძეგლები მონასტრის ტერიტორიაზე

გელათის მონასტერი განთავსებულია გამორჩეული სილამაზის ბუნებრივ გარემოში, მთის ვერძობზე. სამონასტრო ნაგებობები ბუნებრივ ტერასაზეა აღმართული, რომლის დასავლეთი ნაწილი ციცაბოა. მონასტრის ქვემოთ გორაკზე სოფელია გაშლილი, ხოლო მთის ზედა ნაწილი ფოთლოვანი ტყითაა დაფარული.

ძეგლის საერთო გეგმარების კონცეფცია ნათელია. კომპლექსის ეზოს ცენტრალური ნაწილი მაღალ, გუმბათოვან შენობებს (ეკლესიები და სამრეკლო) უჭირავს. მთავარი ტაძარი კომპლექსის ცენტრშია აღმართული, მაშინ როცა მომცრო ნაგებობები (ცხადია ეს ფუნქციურად მეორეხარისხოვანი ნაგებობები ადრეულ პერიოდშიც ამგვარად იქნებოდნენ განაწილებულნი) კიდევბზეა განთავსებული.

მონასტრის ყველაზე დიდი და მთავარი ნაგებობა არის **ღმრთისმშობლის შობის ტაძარი**. მისი მშენებლობა დავით IV-მ 1106 წელს დაიწყო და 1130 წელს მისი შვილის, მეფე დემეტრე I-ის დროს დასრულდა. ტაძარი ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და ორ მასიურ ბურჯს ეყრდნობა. შენობის კედლები მოპირკეთებულია კარგად თლილი მოყვითალო კირქვის კვადრებით, რომელთაგან ზოგი ძალიან დიდია. გადმოცემით, ყველაზე დიდი ქვები მშენებლობის პროცესში თავად დავით მეფის დადებულია. აღმოსავლეთ ფასადზე სამი შვერილი ხუთწახნაგა აფსიდია. ფასადებს ამკობს დეკორატიული თაღნარი, რომელიც სარკმლების საპირეებზეც მეორდება. რელიეფური ორნამენტები ფასადთა მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე გვხვდება – მაგალითად, დეკორატიული კოპი საკურთხეველის შუა სარკმლის ქვემოთ.

ტაძარს დასავლეთით აქვს ნართექსი, საიდანაც სამი დიდი კარით ეკლესიის მთავარ სივრცეში შევდივართ. ნართექსის სამხრეთ ნაწილში მდგარი ბაღდაქინი 1660-იან წლებშია აშენებული, როგორც იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მოსახსენიებელი სამლოცველო. სამხრეთი კარიბჭე ტაძარს 1140-იან წლებში მიუშენდა. ამავე პერიოდით თარიღდება წმ. ანდრიას ეგვტერი კარიბჭის აღმოსავლეთით და წმ. მარინეს ეგვტერი კარიბჭის დასავლეთით (ეს უკანასკნელი XIII საუკუნეში იქნა აღდგენილი). ჩრდილოეთი კარიბჭე და მის აღმოსავლეთით გამართული მაცხოვრის ეგვტერი XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. წმ. მარინეს მეორე სამლოცველო ჩრდილოეთი კარიბჭის დასავლეთით და მომიჯნავე ოთახი XIII საუკუნის შუა წლებში აიგო. მოგვიანი ხანაში აგებული ეკვდერებისა და კარიბჭეების ფასადები მთავარი ტაძრის მსგავსი კირქვის კარგად თლილი კვადრებითაა მოპირკეთებული და ჰარმონიულად ეთანხმება ტაძრის საერთო იერსახეს.

ტაძრის მსუბუქი შიდა სივრცე გუმბათის ყელში გაჭრილი 16 სარკმლითა და საკურთხეველისა და ჯვრის მეღავთა 12 ფართო სარკმლით ნათდება. ტაძრის დასავლეთით პატრონიკა მოწყობილი, რომელზე ასასვლელი კიბე სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. საკურთხეველის ორივე მხარეს პასტოფორიუმები, სამკვეთლო და სადიაკვნაა გამართული. 1519 წელს კათალიკოს მელქისედეკ საყვარელიძის ბრძანებით საკურთხეველის აფსიდში მაღალი დასაჯდომელი აიგო. ჩრდილო-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯთან მდგარი ქვით ნაგები საყდარი 1760 წელს იქნა განახლებული კათოლიკოს იოსებ ბაგრატიონის მიერ.



ფოტო 2.
 ღმრთისმშობლის შობის ტაძარი.
 ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით

მთავარი ტაძრის ინტერიერი არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის არანვეულებრივ შერწყმას გვიჩვენებს. ტაძარში შემსვლელის თვალი მაშინვე აფსიდის კონქში, ნაგებობის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში წარმოდგენილ მოზაიკურ კომპოზიციაზე ჩერდება. მოზაიკა 1125-1130 წლებშია შესრულებული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. კომპოზიციის ცენტრში ჩვილედი ღმრთისმშობელია გამოსახული, რომლის ორსავე მხარეს თითო მთავარანგელოზია წარმოდგენილი. გამოსახულება გაშლილია ერთიან ოქროს ფონზე, რომელიც ოქროს სხივებად მიმოიფინება ტაძრის ინტერიერში და კომპოზიციაზე წარმოდგენილი ფიგურებისთვის საოცარ გარემოს ქმნის. დღეს მოზაიკა მოიცავს აფსიდის კონქს (თითქმის 50 მ² ფართობს). მისი ქვედა ნაწილი 1510 წელს მომხდარი ხანძრის დროს დაზიანდა და მომდევნო ათწლეულებში ფერწერით იქნა ჩანაცვლებული. მოზაიკა ძირითადად მცირე ზომის კენტებისგანაა შედგენილი. მისი ფერადოვნება გამოირჩევა მდიდარი ტონალობითა და ელფერით. აქ ასევე გამოყენებულია გელათთან ახლოს მოპოვებული ბუნებრივი მასალა – სხვადასხვა ფერის ქვიშაქვა, კირქვა და გიშერი.

მთავარი ტაძრის ნართექსის კედლის მოხატულობა, შესრულებული ასევე 1125-1130 წლებში, გამორჩეულია თავისი იკონოგრაფიული პროგრამით. კამარის ცენტრში ანგელოზთა მიერ ჯვრის ამალგების სცენაა წარმოდგენილი, კამარები და კედლების ზედა რეგისტრები დათმობილი აქვს შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულებებს, დასავლეთი სარკმლის წირთხელში კი ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მომხდარი წმ. ეფემიას სასწაულის სცენაა ნაჩვენები. ფერწერა მონუმენტურობით, რბილი დამუშავებით, დახვეწილი ფერადოვნებითა და გამოსახულ

ფიგურათა სახის ინდივიდუალობით ხასიათდება. ნართექსის მოხატულობა XII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშია.

ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობის დიდი ნაწილი 1510 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება, როდესაც თურქების მიერ გადამწვარი გელათი კვლავ იქნა აღდგენილი. ფერწერა XVI საუკუნეში, სხვადასხვა ეტაპზეა შექმნილი. 1520-იან წლებს მიეკუთვნება გუმბათში ქრისტე პანტოკრატორისა და გუმბათის ყელზე აპოკალიფსური სიმბოლოებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებები. 1550-იან წლებში საკურთხეველში საღმრთო ლიტურგიისა და მოციქულთა ზიარების სცენები, ხოლო საკურთხეველის ბემაზე ღმრთისმშობლის ცხოვრების სცენები შესრულდა. 1550-იან წლებში და შემდგომ 1565 და 1578 წელს მოიხატა ტაძრის სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები (აქ დიდი საუფლო დღესასწაულებია გამოსახული) და დასავლეთი მკლავი (მაცხოვრის ვნებების გამოსახულებებით). ფერწერულ ანსამბლს ასევე ავსებს დიდი რაოდენობით საქტიტორო პორტრეტები, რომლებიც გამოსახავს როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებს. ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში იმერეთის მეფეთა გამოსახულებების გვერდით დავით აღმაშენებლის ფიგურაც არის წარმოდგენილი. ეს დავით მეფის ერთადერთი შუასაუკუნოვანი ფრესკული გამოსახულებაა.

ფერწერითაა დაფარული ასევე ტაძრის ეგვტრები და კარიბჭეები. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა წმ. ანდრიას ეგვტრის მოხატულობა, რომელიც 1291-1292 წლებში მეფე დავით VI ნარინის დაკვეთითაა შესრულებული. აქ მეფის ორი პორტრეტია წარმოდგენილი. წმ. მარინეს პირველი ეგვტერი ე. წ. ხალხური სტილის მოხატულობითაა დაფარული, რომელიც დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან ვრცელდება. სხვა ეგვტერთა მოხატულობები XVI, XVII და XVIII საუკუნეებით თარიღდება.

XIII საუკუნის შუა წლებში აგებული **წმ. გიორგის ეკლესია** მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით დგას. ესაა მთავარი ტაძრის შემცირებული ასლი, თუმცა ის გარკვეულწილად სხვაობს ორიგინალისგან – მაგალითად, უფრო ზესწრაფული პროპორციით, რაც მას XIII საუკუნის ქართულ არქიტექტურასთან აახლოებს. მთავარი ტაძრისგან განსხვავებით, აქ არ გვხვდება პატრონიკე. გუმბათი აფსიდის კედლებსა და ორ მონოლითურ წრიულ სვეტს ეყრდნობა. ტაძარს დასავლეთით მიშენებული აქვს ნართექსი, რომელიც გარეთ სამთაღვდად იხსნება. ფასადები მთავარ ტაძართან შედარებით უფრო უხვადაა მორთული სარკმლის ორნამენტული საპირეებით. თურქების მიერ 1510 წლის დარბევისას ტაძარი დაზიანდა და იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მიერ იქნა აღდგენილი. ამ პერიოდისაა ნართექსის სამხრეთ და ჩრდილოეთ კიდეში მოწყობილი მცირე სამლოცველოები. ნართექსის დასავლეთ ფასადზე ჩადგმული წმ. გიორგის დაფერილი ქანდაკება მღვდელ იოანე ბახტაძეს დაუკვეთავს (†1850).

თავდაპირველად წმ. გიორგის ეკლესია აიგო როგორც „სადედოფლო“, ე. ი. ის საქართველოს და მოგვიანებით იმერეთის დედოფალთა ან სამლოცველოს ან განსასვენებელს წარმოადგენდა. კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1557-1578) დროს კათალიკოსის კათედრა ბიჭვინთიდან გელათში ინაცვლებს და წმ. გიორგის ეკლესია (და არა მონასტრის მთავარი ტაძარი) საკათალიკოსო ხდება.

წმ. გიორგის ეკლესია 1565-1583 წლებში კათოლიკოს ევდემონ I ჩხეტიძისა და იმერეთის მეფე გიორგი II-ის დაკვეთით მოიხატა. მოხატულობის პროგრამა ხაზს უსვამს ეკლესიის, როგორც საკათალიკოსო საყდრისა და სამეფო განსასვენებლის მნიშვნელობას: გუმბათში ქრისტეს დიდების კომპოზიციაა გამოსახული; კონქში წარმოდგენილია ღმრთისმშობელი ნიკოპეა პეტრე და პავლე მოციქულებს შორის; აფსიდი და ბემა დათმობილი აქვს ევქარისტიული მსხვერპლისა და მკვდრეთით აღდგომის სიუჟეტებს. გარდა დიდ დღესასწაულთა განვრცობილი ციკლისა, აქვე გამოსახულია სცენები წმ. გიორგის ცხოვრებიდან. წინასწარმეტყველთა და

წმინდანთა შორის ქართველი წმინდანები დავით და კონსტანტინე მხეიძეები არიან გამოსახულნი. მოხატულობის ქვედა რეგისტრი თითქმის მთლიანად დათმობილი აქვს იმერეთის მეფე-დედოფალთა პორტრეტებს.

წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა პოსტბიზანტიური ხელოვნების კარგი ნიმუშია. ის დიდწილად გვიანპალეოლოგოსურ ხელოვნებას ეფუძნება. ამავე დროს, მისი პროგრამის შედარებით ლაკონიური სცენები და მათი კომპოზიციური აგების ტექტონიკურობა ადგილობრივ ფერწერულ ტრადიციებზე მიუთითებს.



ფოტო 3. აკაღმბია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია და სამრეკლო

წმ. ნიკოლოზის ეკლესია მთავარი ტაძრის დასავლეთით 10 მეტრის დაშორებით დგას, ის XIII საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ეკლესია ორსართულიანია, რაც მას ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ძალზე იშვიათია. ქვედა სართულის ოთხივე მხარე გახსნილია თაღებით, რომლებიც კუთხის ბურჯებს ეყრდნობა. ამის გამო ძველ საბუთებში ნაგებობა იხსენიება როგორც „ოთხსვეტოვანი საყდარი“. ზედა სართული წარმოადგენს მცირე ზომის გუმბათიან ეკლესიას. ესაა ჯვრული გეგმარების ნაგებობა, ძალზე მოკლე ჯვრის მკლავებით. საკურთხევლის აფსიდი გარედან შვერილი ფორმისაა, ხუთწახნაგაა და მისი კედელი ერთიანად დეკორატიული თაღნართაა შემკული. სარკმლები მოწარჩობულია ფაქიზად პროფილირებული საპირეებით. თავდაპირველად, ეკლესიას ხის კიბე უნდა ჰქონოდა მიდგმული. მოგვიანებით ჩრდილოეთიდან მას ქვის კიბე მიუშენდა.

1650 წელს, როდესაც გელათი რუსმა ელჩებმა მოინახულეს, ეკლესია უკვე მიტოვებული იყო. 1770 წელს ის აღადგინა კათოლიკოსმა იოსებ ბაგრატიონმა.

სამრეკლო. მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აუზი და წყარო, რომელიც მონასტრის დაარსების თანადროულია, მონასტრის გარედან გამოყვანილი წყლით მარაგდება. აუზი გადახურული იყო სამ მხარეს თაღებით გახსნილი კვადრატული გეგმის ნაგებობით. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ნაგებობა

გადაკეთდა და მასზე სამრეკლო დაშენდა. ესაა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სამრეკლო. ქვის კიბე, რომელსაც ოქტაგონალური სამრეკლოს ფანჯარისკენ მიყვავართ, კედლის სისქეშია გაჭრილი. წყაროს ზემოთ, მეორე სართული დაბალი, კამაროვანი სივრცეა, ბუხრითა და ორი სარკმლით. ეს ოთახი გვიან შუა საუკუნეებში ხანდახან საპრობილედ გამოიყენებოდა. ამ ოთახში გამოიკეტა სიცოცხლის ბოლო წლებში კათოლიკოსი იოსებ ბაგრატიონი (†1776) მას შემდეგ, რაც მისმა ძმამ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ფიცი გატეხა და და შეიპყრო იოსების მიერ შემორიგებული განდგომილი თავადი როსტომ ერისთავი.

წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგის ეკლესიებისა და სამრეკლოს ფასადები იმავე მოყვითალო ფერის კირქვითაა მოპირკეთებული, რომლითაც მთავარი ტაძარი, რაც ხელს უწყობს მონასტრის არქიტექტურული ანსამბლის ერთიანობას.

აკადემია. აკადემიის შენობა წმ. ნიკოლოზის ტაძრის დასავლეთით დგას. ესაა წაგრძელებული მართკუთხა გეგმის დიდი დარბაზი. ფართოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, ნაგებობა გელათის აკადემიას წარმოადგენს, ის დავით აღმაშენებლის დროსაა დაარსებული და შესაბამისად, მისი აგება მონასტრის დაარსების პერიოდით უნდა განისაზღვროს. შენობა ნაგებია უხეშად თლილი ქვებით. დასავლეთი კედელი ქარაფზე გამოდის და გახსნილია რვა დიდი თაღოვანი სარკმლით, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედი იშლება არემარეზე. აღმოსავლეთ კედელში სამი კარია გაჭრილი, მათგან ცენტრალური ყველაზე დიდია. კედლებს მთელს სიგრძეზე მიუყვება ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი, რომლის ზემოთაც ნიშნება განთავსებული.

XIV საუკუნის დასაწყისში აკადემიას აღმოსავლეთი ცენტრალური შესასვლელის წინ თაღოვანი, ორნამენტებით მდიდრულად შემკული, ვარსკვლავისებრი კამარით გადახურული კარიბჭე მიუშენეს. მისი თაღები სწორკუთხა გეგმის ოთხ დაბალ ბურჯს ემყარება. ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის მასიური კაპიტელის დასავლეთ პირზე ლომის რელიეფური გამოსახულებაა. კარიბჭის აღმოსავლეთ ფასადზე თაღის ზემოთ მსხვილი ლილვით გამოყვანილ ჩარჩოში ორნამენტული ვარდულია გამოსახული. აკადემიას დასავლეთიდან მეორე კარიბჭეც ჰქონდა, რომლისგანაც დღეს კედლების ნაწილია შემორჩა.

XVI საუკუნეში დარბაზს ფუნქცია შეეცვალა და მას სატრაპეზოდ იყენებდნენ. აქ 1651 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ ნადიმი გაუმართა რუს ელჩებს. XIX საუკუნის დასაწყისში შენობა დაინგრა, რის შემდგომაც ის აღარ აღუდგენიათ და მიტოვებული იყო. ამ შენობას კონსერვაცია და ნაწილობრივი რესტავრაცია ჩაუტარდა 1962-1963 წლებში. 2009 წელს შენობა კიდევ ერთხელ იქნა რესტავრირებული და ხის ნივნივებიანი სისტემით გადახურული.


2008-2009 წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა აკადემიის შენობის ქვემოთ დამატებითი სართული გამოავლინა. გვიან შუა საუკუნეებში, ეს სივრცე გაყოფილი იყო ორ ნაწილად, რომელთაგან შედარებით დიდი გამოიყენებოდა მარნად, ხოლო მცირე სათავსი საყინულეს (მაცივრის) ფუნქციას ასრულებდა.

აკადემიის შენობის გვერდით არსებული ნაშთები. 2008-2009 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აკადემიის შენობის ჩრდილოეთით შენობათა ვრცელი ნაშთები იქნა მიკვლეული. ესაა მრავალფენიანი კომპლექსი, რომელიც თარიღდება XII საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის ჩათვლით. ის შედგება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ განვითარებული დერეფნისგან, რომლის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის სათავსებია მოწყობილი. ჩრდილოეთ ნაწილში ფრაგმენტულად შემორჩენილია დერეფნის კამაროვანი გადახურვა. გათხრების შედეგად გამოვლენილმა მასალამ აჩვენა, რომ აკადემიის ჩრდილოეთით არსებული დამხმარე ნაგებობები ერთმანეთთან კამაროვანი დერეფნით იყო დაკავშირებული.

ამ შენობათა ჩრდილოეთით დგას ნატეხი ქვით ნაშენი, სწორკუთხა გეგმის პატარა ნაგებობა. ეს სათავისი სავარაუდოდ ზეთსახდელი უნდა ყოფილიყო. მისი გადახურვა დღეს მთლიანად ჩანგრეულია.

გალავანი და კარიბჭეები. მონასტერი მოიცავს დაახლოებით ოთხ ჰექტარზე მეტ ფართობს, რომელიც შემოზღუდულია უხეშად ნატეხი ქვით ნაგები გალავნით. კედელი, რომელიც შესაძლოა მონასტრის დაარსების თანადრულია, შეკეთდა ისიდორე ბერეკაშვილის ხელმძღვანელობით 1895-1896 წლებში. ჩრდილოეთ და ნაწილობრივ დასავლეთ მხარეს გალავანი საყრდენი კედლის ფუნქციას ასრულებს.

გალავანს ორი კარიბჭე აქვს. შედარებით მცირე გაჭრილია ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს კარიბჭე XVII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე მონასტრის მთავარ შესასვლელს წარმოადგენს. თუმცა, თავდაპირველად, მონასტრისკენ ამომავალი გზა სამხრეთი კარიბჭისკენ მოემართებოდა. სამხრეთი კარიბჭე საუკუნეების განმავლობაში რამდენჯერმე იქნა გადაკეთებულ-განახლებული. ნაგებობა წარმოადგენს გეგმაში წაგრძელებულ მართკუთხა დერეფანს, რომელიც სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თაღებითაა გახსნილი. გასასვლელის ცენტრში დავით აღმაშენებლის საფლავია, ზედ ამოკვეთილი ასომთავრული წარწერით: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე. ესე მონავს ამას დავემკვიდრო მე“. საფლავის ქვა ისეა განლაგებული, რომ კარიბჭეში შემოსული ფეხს აბიჯებდა მას. გადმოცემის თანახმად, ასეთი იყო დავით მეფის სურვილი.



ფოტო 4. მეფე დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა

სამხრეთ კარიბჭეში ინახება რკინის კარი, რომელიც, არაბული წარწერის თანახმად, დამზადებულია 1062 წელს განძის ამირას აბუ I ასვარის ბრძანებით. კარის მომჭედავი იყო ოსტატი ალ-ჰადად იბრაჰიმი. ეს კარი საქართველოს მეფე დემეტრე I-მა 1139 წელს განძის დალაშქრვის შემდეგ ალაფად წამოიღო და გელათის მონასტერს შესწირა.

გვიან შუა საუკუნეებში, სამხრეთი კარიბჭე წმ. დემეტრეს სამლოცველოდ გამოიყენებოდა და ამავე პერიოდში იქნა მოხატული. ცალკე მდგარ წმინდანთა ფიგურების გვერდით უფლის შობისა და ლაზარეს აღდგინების კომპოზიციები, იესო ქრისტეს მიერ გალილეის ზღვაზე მომხდარი სასწაული და ქრისტეს გენეალოგიური ხის სცენაა გამოსახული. მოხატულობა დაზიანებულია, სცენები ფრაგმენტული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მოხატულობა XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

სახლები. სამხრეთი კარიბჭის დასავლეთით ერთსართულიანი სახლი დგას. შენობა 1890-იან წლებშია აგებული არქიტექტორ ვერცინსკის პროექტით როგორც მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის საცხოვრისი. მშენებლობას ისიდორე ბერეკაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს შენობა შუა საუკუნეების სტრუქტურაზე დგას.

სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთით (მთავარი ტაძრის სამხრეთით) დგას მეორე, ასევე ერთსართულიანი ნაგებობა აგებული 1882 წელს ბერეკაშვილების ოჯახის წარმომადგენლების მიერ. სახლის აივნის მარჯვენა კუთხის ქვეშ ჩანს შუა საუკუნეების წრიული სვეტი კაპიტელითურთ.

ამ სახლის აღმოსავლეთით იდგა XVIII საუკუნის ხის სახლი, რომელიც დასავლეთ-ქართული სასოფლო საცხოვრისის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული მას ბერების იყენებოდნენ. 2014 წლის 9 ნოემბერს ის ხანძრის შედეგად სრულად დაიწვა (დეტალებისთვის იხ. ნაწილი 4.4)

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ერთსართულიანი სახლი XIX საუკუნის ბოლოთი თარიღდება. დღეს ეს სახლი მონასტრის წინამძღვრის საცხოვრებლად გამოიყენება. ამ სახლის ქვემოთ ჩანს XII ან XIII საუკუნეების ძველი ნაგებობის ნაშთები, რომლებიც რამდენიმე ოთახისგან შედგება.

საფლავები. გელათის მონასტერი საქართველოს სამეფო ოჯახის – ბაგრატიონების განსასვენებელს წარმოადგენდა. წერილობითი წყაროების თანახმად, გარდა დავით აღმაშენებლისა, გელათის მონასტერში განისვენებენ დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, გიორგი IV, რუსუდან დედოფალი, ვახტანგ II, დავით IX და ბაგრატ VI, თუმცა მათი საფლავების ადგილმდებარეობა უცნობია. მეფე დავით VI ნარინის საფლავი წმ. ანდრია პირველწოდებულის ეგვიტერშია. მთავარ ტაძარსა და ეგვიტერებში ასევე დასაფლავებულნი არიან იმერეთის მეფეები როსტომ I, გიორგი III, ალექსანდრე III, გიორგი VI, სოლომონ I და სოლომონ II.

კვლევის მონაცემები და შედეგები

ისტორია

გელათის მონასტრის ყველაზე ადრეულ აღწერილობას იძლევიან რუსი ელჩები, ტოლოხანოვი და იველევი, რომლებიც იმერეთის სამეფოს 1651-1652 წლებში ეწვივნენ. მათ გელათის მონასტერს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს და მნიშვნელოვანი ცნობები მოგვცეს კომპლექსში არსებულ ნაგებობათა და აქ დაცულ სიწმინდეთა შესახებ. XIX საუკუნეში გელათის მონასტერი მონახულეს და აღწერეს იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, ქრისტიან მარტინ ფრენმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, კარლ ედვარდ ეიჰვალდმა, გიორგი ავალიშვილმა და სხვებმა.

არქეოლოგია

გელათის მონასტერში პირველი არქეოლოგიური კვლევები 1880 წელს ჩაატარა გ. წერეთელმა. მან გაათხარა ანტიკური ხანის სამარხები, სადაც რამდენიმე მონეტა იქნა აღმოჩენილი. გელათში ფართო არქეოლოგიური სამუშაოები 1940-დან 1960 წლებამდე წარმოებდა. 1939 წელს ქუთაისის მუზეუმის დირექტორის მ. გოგსაძის ინიციატივით

გაიწმინდა აკადემიის ინტერიერი. 1945 წელს ს. ყაუხიშვილის ხელმძღვანელობით გაიწმინდა აკადემიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და კარიბჭე. 1962-63 წლებში აკადემიის ინტერიერში წარმოებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოებისას გაკეთებულმა სატესტო შურფებმა გვიანი ხანის ფართო სკამების უკან თავდაპირველი 0,5 მ. სიგანის სკამები გამოავლინა. 1968 წელს ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა გელათის ჩრდილო-აღმოსავლეთით 250 მეტრში მდებარე სოხასტერში. ამ სამუშაოების დროს ვ. ჯაფარიძისა და ლ. ჯიქიას ზედამხედველობით გაითხარა და გაიწმინდა სოხასტრის ეკლესიის რიგი მონაკვეთები.

გელათის მონასტრის ტერიტორიაზე შემდგომი ფართო არქეოლოგიური სამუშაოები, წინასწარ დაგეგმილი საკონსერვაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, დაიწყო 2007 წელს. 2007-2014 წლებში არქეოლოგიური კვლევა განახორციელა ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ჯგუფმა რ. ისაკაძის ხელმძღვანელობით. ამ სამუშაოების დროს, მონასტრის ნაგებობათა კონსერვაციისათვის და მათი ისტორიის უკეთ გაგებისათვის მნიშვნელოვანი მასალა იქნა გამოვლენილი.

2007-2008 წლებში 15 არქეოლოგიური და 32 გეოლოგიური შურფების მონაცემებზე დაყრდნობით გამოვლინდა არქეოლოგიურად მგრძობიარე მონაკვეთები, რაც შემდგომ რუკაზე იქნა დატანილი. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა ადრე წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება გელათში ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობათა არსებობის თაობაზე. გათხრების შედეგად ნაპოვნმა სხვადასხვა შეფერილობის მოჭიქულმა კრამიტმა განსაზღვრა ახალი კრამიტის შეფერილობა, რითიც შემდგომ გადაიხურა წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზისა და სამრეკლოს სახურავები.



ფოტო 5. 2008 წელს გათხრილი აკადემიის მომიჯნავე კამაროვანი დერეფანი

აკადემიის შენობაში 2008 წელს წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ინტერიერში გამოავლინა თავდაპირველი სკამები და ღვინის მარანი, რომელშიც ორი არქეოლოგიური ფენაა. აქედან პირველი XII-დან XV საუკუნეების პერიოდით განისაზღვრა, ხოლო მეორე – XVI-XVII საუკუნეებით; საყინულე – XVII ან XVIII საუკუნეებით. ასევე გამოვლინდა აკადემიისა და მონასტრის სხვა ნაგებობათა დამაკავშირებელი კამაროვანი დერეფანი. არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა აკადემიის შენობის სარეაბილიტაციო პროექტისათვის სამეცნიერო საფუძველი შექმნა.

2009 წელს არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა აკადემიის ჩრდილოეთით. სამუშაოების დროს გამოჩნდა ნაგებობათა დიდი კომპლექსი, რომელიც შედგება სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული გრძელი დერეფნისაგან. ამ დერეფნის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის სათავსებია. შენობათა ფენები, დათარიღებული XII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის დასაწყისამდე, სტრატეგრაფიული თანამიმდევრობით იქნა გამოვლენილი. შესაძლო სამომავლო არქეოლოგიური კვლევების გათვალისწინებით ეს მონაკვეთი რუკაზე იქნა დატანილი და კვადრატული ქსელით დაყოფილი.

2010 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა მონასტრის სამხრეთ კარიბჭესთან, რომელიც ასევე მეფე დავით აღმაშენებლის კარიბჭის სახელითაა ცნობილი. ამ მონაკვეთში სულ მცირე სამი არქეოლოგიური ფენა გამოვლინდა. სამუშაოების დროს გაითხარა XII საუკუნის საფეხურები, რომლებიც მიემართება დავითის საფლავიდან სამხრეთით, მოკირწყლული გზისკენ. ბოლო საფეხურთან გამოვლინდა უცნობი პიროვნების საფლავი ასომთავრული წარწერით „ნერჩჲს ძე ადაჲ“. ეს ქვა მონასტრის დაარსების ადრეული პერიოდისა უნდა იყოს. ამგვარად, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა კვლავ გამოავლინა ღირებული მონაცემები კარიბჭის კონსერვაციისათვის.

არქიტექტურა და კედლის მხატვრობა

გელათის მონასტრის შესახებ პირველი პუბლიკაციები ძირითადად ზოგადი მიმოხილვითა და აღწერილობებით შემოიფარგლებოდა. სისტემატური აკადემიური კვლევა დაიწყო 1950-იანი წლებიდან გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის (ახლანდელი გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული კვლევითი ცენტრი), ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ძალისხმევით. ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიკოსთა კვლევებმა შესაძლებელი გახადა დადგენილიყო გელათის მონასტრის მშენებლობისა და მისი შემკულობის ქრონოლოგია, შეფასებულიყო ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა და განსაზღვრულიყო და ახსნილიყო სამონასტრო კომპლექსის ნაგებობათა და მათი ფერწერის სტილისტური, იკონოგრაფიული და ტექნიკური თავისებურებები.

გელათის მონასტრის შესახებ გამოიცა წიგნები, ალბომები და დიდი რაოდენობით სტატიები (იხ. ბიბლიოგრაფია). მონასტერი კვლევის საგანი იყო არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოელი მეცნიერთათვისაც. მონასტერთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი განხილულია არაერთ სადისერტაციო ნაშრომში.

გელათის შესახებ დაწერილ უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს შორის აღსანიშნავია მონოგრაფია მონასტრის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ (რ. მეფისაშვილი, *გელათის არქიტექტურული ანსამბლი*, თბილისი, 1966 – რუსულ ენაზე), XII საუკუნის ფერწერის სპეციალური კვლევა (თ. ვირსალაძე, გელათის მთავარი ტაძრის ფერწერის ადრეული ფრაგმენტები, *Ars Georgica*, 5, თბილისი, 1959; რეპრინტი: თ. ვირსალაძე, *რჩეული ნაშრომები*, თბილისი, 2005 – რუსულ ენაზე) და მოზაიკის კვლევა (ლ. ხუსკივაძე, *გელათის მოზაიკა*, თბილისი, 2005). ყველაზე სრული წიგნი გელათის

მონასტრის შესახებ გამოიცა 2007 წელს გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ. ესაა ორენოვანი ქართულ-ინგლისური გამოცემა, რომელშიც შეჯამებულია მონასტრის ყველა ასპექტის შესახებ არსებული თანამედროვე ცოდნა.

მთლიანობაში, გელათის მონასტერთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე გამოქვეყნებულია ასეულობით სამეცნიერო, საგაზეთო და საჟურნალო წერილი და წიგნი. ისინი ეხება ისტორიას, არქეოლოგიას, არქიტექტურას, კედლის მხატვრობას და საეკლესიო ნივთებს. მათი უმრავლესობა დაწერილია ქართულად, ზოგიერთი – რუსულად. შესაბამისად ისინი არაა ხელმისაწვდომი ფართო საერთაშორისო საზოგადოებისათვის. დასავლურ ენებზე პუბლიკაციები ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა.

ამჟამინდელი დაცვის სტატუსი და მართვა

გელათის მონასტერი საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. ამჟამად, ის ეროვნულ ძეგლთა ნუსხაშია პრეზიდენტის 07.11.2006 წლის ბრძანებულების შესაბამისად

1994 წელს გელათის მონასტერი ბაგრატის ტაძართან ერთად იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა შეტანილი IV კრიტერიუმით. ბაგრატის ტაძარზე წარმოებული ფართო სარესტავრაციო სამუშაოების გამო, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი და საქართველოს მთავრობა, იკომოსის რეკომენდაციით, 2013 წელს შეთანხმდნენ ბაგრატის ტაძარის ამოღებაზე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის შემადგენლობიდან და გელათის მონასტრის ცალკე რენომინაციაზე. შესაბამისად, მომზადდა საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც 2014 წლის თებერვალში წარდგენილ იქნა სახელმწიფო მხარის მიერ.

გელათის მონასტერს აქვს როგორც ფიზიკური ასევე ვიზუალური დაცვის არეალი. ეს უკანასკნელი ბოლო დროს იქნა გაფართოებული, რათა უზრუნველყოფილიყო შესაბამისი ბუფერული ზონა. ახალი ბუფერული ზონა დადგინდა მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის №03/5 ბრძანებულებით და შეთავაზებულ იქნა საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოკუმენტაციაში.

2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ხელმოწერილი საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე, საქართველოში არსებული ყველა საეკლესიო ნაგებობა და მათ შორის გელათის მონასტერიც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზოგადი სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ და მათი განხორციელების კოორდინაციის უზრუნველყოფ მთავარ ორგანოს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანო, უზრუნველყოფს ძეგლის ვიზუალური მთლიანობის დაცვას ძეგლისთვის განსაზღვრული დაცვითი ზონის ფარგლებში და ზრუნავს ძეგლის ფიზიკურ კონსერვაციაზე.

საქართველოს ეკლესიაც და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოც ჩართულნი არიან მონასტრის მართვაში. მონასტრის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ყოველდღიურ მართვაზე, ტერიტორიის მოვლა-პატრონობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მონასტრის საზღვრების ფარგლებში. გელათი ღიაა ვიზიტორთათვის და მათთვის არანაირი საგანგებო რეგულაციები დადგენილი არ არის.

სახელმწიფოს მხრიდან ძეგლის მართვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და მისი სტრუქტურული ერთეული – ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი ახორციელებს. სააგენტო პასუხისმგებელია ძეგლის მონიტორინგსა და დაცვის კარგი მდგომარეობის შენარჩუნებაზე, უზრუნველყოფს ჩარევის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და ნებართვების გაცემას, ასევე უზრუნველყოფს ზოგადი მართვის სტრუქტურას, ისევე როგორც კეთილმოწყობასა და ინფორმაციას. სააგენტო ასევე მოქმედებს არაკანონიერი ან შეუსაბამო ჩარევის შემთხვევაში (სისხლის სამართლებრივი ქმედებები, სისხლის სამართლის სამართალწარმოებები), უზრუნველყოფს ძეგლის შესაბამისი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების მომზადებას და საჭიროების შემთხვევაში ანგარიშს აბარებს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.

კონსერვაცია და რეაბილიტაცია

მონასტრის შემადგენელი ნაწილები ჩვენამდე ავთენტური სახითაა შემონახული. მათი კონსერვაციის მდგომარეობა ამ შემადგენელ ელემენტთა მიხედვით იცვლება. მონასტრის სხვადასხვა ნაგებობებზე სარესტავრაციო სამუშაოები უკვე გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში იქნა წარმოებული. თუმცა, ძირითადი საკონსერვაციო სამუშაოები XX საუკუნეში განხორციელდა, კერძოდ ეკლესიების და სამრეკლოს გადახურვები, მთავარი ტაძრის, ნართექსისა და ეგვიტრების კედლის მხატვრობის გაწმენდა და კონსერვაცია, მოზაიკის გაწმენდა და კონსერვაცია და აკადემიის შენობის გაწმენდა და ნაწილობრივი აღდგენა.

კონსერვაციის გენერალური გეგმა

გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმა შემუშავდა 2008 წელს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს (ამჟამად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) ინიციატივითა და მხარდაჭერით. 2009 წელს ის მიღებულ იქნა როგორც სახელმწიფოს, ისე საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. ორივე მხარე ვალდებულია დაიცვას ის. გენგეგმა ასევე განხილული და მიღებული იყო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და იკომოსის მიერ. 2015 წელს კონსერვაციის გენერალური გეგმა განახლდა, რათა მასში ასახულიყო ახალი რეალობები და ძეგლის არსებული და სამომავლო საჭიროებები.

ყველა საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაო, 2008 წლიდან მოყოლებული, გენერალური გეგმის სრული შესაბამისობით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ გეგმას არ გააჩნია იურიდიული სტატუსი, ის წარმოადგენს ოფიციალურ დასაყრდენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად მდგრად საფუძველზე. კონსერვაციის გენერალური გეგმა უზრუნველყოფს ძეგლის შემადგენელი კომპონენტების სრულ დოკუმენტაციას და სარეაბილიტაციო პროექტს თითოეული არქიტექტურული კომპონენტისთვის, ისევე როგორც არქეოლოგიური სამუშაოებისა და კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროექტებს.

კონსერვაციის გენერალური გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ძეგლის დასაცავად. ინტენსიურმა კვლევითმა და არქეოლოგიურმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა შემუშავებულიყო ძეგლის სხვადასხვა კომპონენტებისთვის ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროექტები. გენერალური გეგმა უზრუნველყოფს დოკუმენტაციისა და კვლევითი მასალების სრულ განახლებას, რაც საჭირო იქნება მონასტრის ნაგებობათა კონსერვაციის გრძელვადიანი სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმვისათვის. გენერალური გეგმა უზრუნველყოფს ძეგლის ავთენტურობის შენარჩუნებას, ყველა მისი კომპონენტის

რესტავრაციასა და რეაბილიტაციას და ამავე დროს, ვიზიტორებისთვის მისი პრეზენტაციისა და საეკლესიო პირთა მიერ მისი გამოყენების გარანტიას.

კონსერვაციის სპეციფიკური ასპექტების გარდა, გენერალური გეგმა ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა გელათის მონასტრის ტერიტორიის ზონირება, რათა უზრუნველყოფილი იყო ბერთათვის სიმყუდროვე, ხოლო ვიზიტორთათვის გამოყოფილი იქნება საკმარისი სივრცე; გელათის მონასტერში ინფრასტრუქტურის მოწყობის გეგმები (წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია, დრენაჟი და ა.შ.); საინტერპრეტაციო დაფებისა და ვიზიტორთათვის საჭირო სხვა ობიექტების (სკამები, განათება და ა.შ.) დიზაინი; მონასტრის კედლების გარეთ ვიზიტორთა ცენტრის დიზაინი. გარდა ამისა, გენერალური გეგმა ითვალისწინებს ახალი სენაკების გეგმას იმ შემთხვევისთვის, თუ მონასტერში ბერების რიცხვი იმდენად გაიზრდება, რომ მათი უკვე არსებულ საცხოვრებლებში განთავსება ვეღარ მოხერხდება და, შესაბამისად, დადგება გაფართოების საჭიროება.

ძეგლზე უკვე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კონსერვაცია და რესტავრაცია;
- აკადემიის შენობის კონსერვაცია და რესტავრაცია და მისი გადახურვის აღდგენა;
- სამრეკლოს კონსერვაცია და რესტავრაცია;
- მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის სახლის კონსერვაცია და რესტავრაცია;
- სამხრეთი კარიბჭის გაწმენდა, კონსერვაცია და რესტავრაცია;
- აღმოსავლეთი კარიბჭის რესტავრაცია;
- წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის გუმბათის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის გუმბათის სახურავის მოწყობა;
- წმ. გიორგის გუმბათის სახურავის მოწყობა;
- მთავარი ტაძრის გუმბათის ქვის კონსერვაცია;
- მთავარ ტაძრის გუმბათზე სარტყლის დამონტაჟება.

მიმდინარე სამუშაოები:

- მთავარი ტაძრის ეკვდერების გაწმენდა და კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ცოკოლის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ეკვდერების სახურავის მოწყობა;
- მთავარი ტაძრისა და ეკვდერების მოხატულობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის მოზაიკის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ქვედა კორპუსის სახურავის მოწყობა;
- წმ. გიორგის ეკლესიის ქვედა კორპუსის სახურავის მოწყობა.

წარმოებული სამუშაოების მეთოდოლოგია დაფუძნებული იყო მინიმალური ჩარევის პრინციპებზე და ჩვეულებრივ შემოიფარგლებოდა შემდეგი სამუშაოებით: მორყეული ქვების ჩამოსხნა და თავიდან მყარად დაფიქსირება, კირით ფიქსაცია და შეღვსვა, ქვების გაწმენდა, დაკარგული ქვების სანაცვლოდ ცარიელი ადგილების ხელახლა ქვით შევსება, XX საუკუნეში გაკეთებული თუნუქის გადახურვის შეცვლა ტრადიციული კრამიტის გადახურვით.

2009-2016 წლებში ზემოხსენებული პროექტების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდებოდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.

კონსერვაციის დაფინანსების წყაროები

გელათის მონასტერში საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების მთავარი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოწირულობებია. სახელმწიფო ბიუჯეტი დაეხმარა ძირითად საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოებს, ისევე როგორც კონსერვაციის მართვის გეგმის შემუშავებას. ბიუჯეტი განაწილებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების წესების თანახმად, გეგმავენ და მართავენ ძეგლზე სხვადასხვა საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელებას. კონსერვაციის გენერალურ გეგმასა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებებზე დაფუძნებით განისაზღვრება წლიური სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი. მონასტრის კონსერვაციისათვის სახელმწიფო დაფინანსება სტაბილურია და ძირითადად ადეკვატურია ბოლო 10 წლის განმავლობაში. ქვემოთ მოყვანილი ციფრები იძლევა ინფორმაციას ეროვნული სააგენტოს ბოლო შვიდი წლის ბიუჯეტის შესახებ:

2008	475,604.00 ლარი
2009	533,514.00 ლარი
2011	170,775.00 ლარი
2012	68,000.00 ლარი
2013	51,990.63 ლარი
2014	39,957.16 ლარი
2015	59,830.00 ლარი

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაფინანსების სხვა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და გადარჩენის ფონდი. ფონდმა 2010–2011 წლებში გელათის მონასტრის სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროექტებისათვის მთლიანობაში 210,000.00 ლარი გამოყო.

2012 წელს მსოფლიო ბანკთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს გელათის მთავარი ტაძრის საკონსერვაციო და კვლევითი სამუშაოების დაფინანსებას, ისევე როგორც ვიზიტორთა ცენტრის აშენებას იმერეთის რეგიონალური განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში. სარეაბილიტაციო სამუშაოების მთლიანი თანხა 700 000 ამერიკული დოლარია.

ჯერ კიდევ 2003 წელს ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა დააფინანსა მთავარი ტაძრის წმ. მარინეს ეგვტრის მოხატულობის დიაგნოსტიკური კვლევა. 2012 წელს მანვე დააფინანსა ამ მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები (40 880 ამერიკული დოლარი). 2013 წელს დაფინანსდა მთავარი ტაძრის არქიტექტურის სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოების პროექტი (600 000 ამერიკული დოლარი). პროექტის დასრულება 2017 წელს იგეგმება. სამუშაოები ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ. 2014 წელს ამერიკის საელჩომ გამოყო დამატებით 50 000 ამერიკული დოლარის დახმარება მთავარი ტაძრის მოზაიკის კონსერვაციისათვის. 2016 წელს, დამატებით 150 000 ამერიკული დოლარის დახმარება დამტკიცდა მთავარი ტაძრის ქვის კონსერვაციისთვის.

შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა ორწლიანი (2010-2011) პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ძეგლზე ქვის კონსერვაციის პროგრამის განხორციელებას. პროექტი შესრულდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის მიერ ლუგანოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროექტი ითვალისწინებდა სტუდენტების გაცვლასა და საერთაშორისო სპეციალისტების ხელმძღვანელობით ადგილზე სემინარების მოწყობას.

გელათის მონასტრის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისათვის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან და დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ თანხასთან შედარებით ეკლესიის ადმინისტრაციის მხრიდან გამოყოფილი ფინანსური წვლილი ძალიან მოკრძალებულია. ეკლესია თანხას ძირითადად გამოყოფს მონასტრის ფუნქციონირებისთვის. მიუხედავად ამისა, სამუშაო, რომელსაც თავის თავზე იღებენ ბერები – დასუფთავება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა. შ. – ღირებულ წვლილს შეადგენს მონასტრის დაცვაში.

ძეგლები ბუფერულ ზონაში

გელათის მონასტრის შემოგარენში სიძველეთა მრავალი ნაშთია მიმოფანტული (იხ. რუკა სურ. 3-ზე). მის უშუალო სიახლოვეს მდებარე ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები ამ ნაწილშია აღწერილი.

ღმრთისმშობლის ეკლესია, ცნობილი როგორც „წყარო ცხოვრებისა“ აღმართულია მონასტრის აღმოსავლეთი კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით 180 მეტრში, გზის პირას. ის XVII საუკუნეში აიგო და განახლდა 1903 წელს. თლილი ქვებით მოპირკეთებული ფასადები შეუმკობელია. ერთადერთი კარი შენობის დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ეკლესიიდან სამხრეთით, 10-ოდე მეტრში წყალსადენის სათავო ნაგებობაში ჩასასვლელი ჭაა. წყალსადენი, სავარაუდოდ, მონასტრის თანადროული უნდა იყოს. ის დღემდე ამარაგებს მონასტერს სუფთა წყლით, რომელიც მოედინება 200 მეტრის სიგრძის მილებში სათავო ნაგებობიდან გელათის მონასტრის სამრეკლოს ქვემოთ მოწყობილ წყარომდე. 1903 წელს წყალსადენი განახლეს და თიხის ძველი მილები მოჭიქული თიხის მილებით შეცვალეს.

სოხასტერი. ნაგებობათა ჯგუფი, რომელიც სოხასტერის სახელითაა ცნობილი, მდებარეობს მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 250 მეტრით დაშორებულ შემადგებულ ადგილზე. სავარაუდოდ, რომ თავდაპირველად ის წარმოადგენდა დავრდომილთა თავშესაფარს, რომელიც, მემატიანეთა ცნობით, დაარსებული იყო მეფე დავით აღმაშენებლის მიერ. მოგვიანებით აქ ცალკე მონასტერი გაშენდა. სოხასტერს გალავნით შემოზღუდული ორი ეზო აქვს. დიდი ეზოს დასავლეთით აღმართულია კარგად თლილი ქვით ნაგები XII საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია. ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეგვტრები ეკვრის, ხოლო დასავლეთიდან – ნართექსი და ექსონართექსი. ეკლესიის აღმოსავლეთით, 5 მეტრში დგას სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი. XIX საუკუნიდან მონასტერი მიტოვებული იყო და თანდათან დაინგრა. 1968-1972 წლებში ეკლესია და კოშკი გაიწმინდა და ნაწილობრივ აღდგა.

მთავარანგელოზთა ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობაა, რომელიც მონასტრის ჩრდილოეთითაა აღმართული. ის 2003 წელს აიგო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე. სავარაუდოდ, ძველი ეკლესია უნდა ყოფილიყო მთავარანგელოზთა სახელობისა, რომელიც გელათის მონასტრის დაარსებამდე ბევრად უფრო ადრე აიშენდა მურვან-ერუს მეთაურობით არაბთა შემოსევის დროს, 738-737 წლებში, იქნა დანგრეული.

ორსართულიანი ეკლესიის ნაშთებია შემორჩენილი მონასტრის სამხრეთი კარიბჭიდან 50 მეტრით სამხრეთით მდებარე ფერდობზე. ქვედა სართული, რომელიც საძვალეს წარმოადგენდა, ამჟამად მთლიანად მიწაშია ჩაფლული და შედეგად უფრო კარგადაა შემონახული. სათავსს არ გააჩნია სარკმლები და მხოლოდ დასავლეთ კედელში მოწყობილი კარიდან ნათდება. ზედა სართული ეკლესიად გამოიყენებოდა. მისგან დღეს მხოლოდ რამდენიმე ქვაა დარჩენილი.

ტყიანი ფერდობზე მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამი ეკლესიაა აგებული. დღეს სამივე გელათის მონასტრის განშტოებებს წარმოადგენს. მონასტერთან ყველაზე ახლოს **წმ. საბას ეკლესია**ა. სავარაუდოდ, ის XII ან XIII საუკუნეში უნდა

იყოს აგებული. დარბაზული ტიპის ეკლესია დიდი, კარგად თლილი ქვებითაა მორირ-კეთებული. სამი სადა ჯვარია ამოკვეთილი აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლებისა და დასავლეთი კარის ზღუდარზე. ინტერიერში იატაკის დიდი ნაწილი საფლავის ქვებს უკავია. **წმ. ელიას ეკლესია** მონასტერს დაახლოებით 400 მეტრითაა დაშორებული და წმ. საბას ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა, რომელსაც ჩრდილოეთითა და დასავლეთით მინაშენები აქვს დამატებული. სუფთად თლილი კვადრების რეგულარული წყობა და დასავლეთი კარის გაფორმება XIX საუკუნის განახლების შედეგი უნდა იყოს. ეკლესიის კედლები XVI საუკუნეში მოიხატა გიორგი ჯოხტაბერიძის მიერ, რომლის ფერწერაც გვიან შუა საუკუნეებში გავრცელებულ, ე. წ. ხალხური ნაკადის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. გელათის მონასტრიდან ყველაზე მეტად **წმ. ნინოს სახელობის ეკლესია**ა დაშორებული. მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია უხეშად თლილი ქვებითაა ნაგები. მისი კამარა და კედლების ზედა ნაწილები გვიან შუა საუკუნეებში დაინგრა და 2007 წელს იქნა აღდგენილი. რამდენიმე წლის წინ ამ ეკლესიის სიახლოვეს აიგო დიდი სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა ტიპის ნაგებობებით. ისინი მოიცავს შუა საუკუნეების ნაშთებსაც – ძველი გალავნის ფრაგმენტებსა და ცისტერნას.

ციხე და სათვალთვალო კოშკი მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 300 მ-ზე მდებარეობს. მათი აგება, გადმოცემის თანახმად, დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული. სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას აგებული ციხე წყალწითელას ხეობაში გამავალ მთავარ გზას აკონტროლებდა. ის მოიცავს კარგად დამუშავებული დიდრონი ქვებით ნაგებ მრგვალ კოშკს, საკვების შესანახ კამაროვან სათავსს და მცირე ზომის მართკუთხა ცისტერნას, რომლის კედლებიც შიგნიდან წყალგაუმტარი ხსნარით არის შეღებული. ციხე, სავარაუდოდ, 1759 წელს ლეკების შემოსევისას დაინგრა.

ხიდები. გელათის მიდამოებში მეტ-ნაკლებად შემორჩენილი სხვადასხვა მოხაზულობის ცხრა ძველი ხიდია: ხუთი მდინარე წყალწითელაზე დგას, სამი – მდინარე ქორენაზე და ერთი – საკირეს ღელეზე. XVII საუკუნეში აგებული სამშალიანი ხიდი მდ. წყალწითელაზე 1850 წლის ახლოს განაახლა მღვდელმა იოანე ბახტაძემ. ეს ხიდი გამორჩეულია თავისი ზომებით, თუმცა დღეს მხოლოდ ბურჯგბია დარჩენილი. ერთმადლიანი ხიდი დგას მდ. ქორენაზე, მონასტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 3,5 კმ-ზე. ეს ხიდი უკეთაა შემონახული და გამოირჩევა თავისი მომხიბლავი ბუნებრივი გარემოთი.

მოწამეთას მონასტერი გელათის მონასტრიდან დაახლოებით 1,5 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ის აღმართულია მაღალ და ვიწრო კონცხზე, წყალწითელას ხეობაში. ადრეულ შუა საუკუნეებში აქ იყო ციხე და ხარების ეკლესია, რომელიც არაბთა შემოსევების დროს მურვან-იბნ-მუჰამედის მიერ იქნა დანგრეული. ამ შემოსევისას მოწამეობრივად აღსრულებული არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე დაკრძალულ იქნენ დანგრეული ეკლესიის კრიპტაში. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) ამ ადგილას მონასტერი ააშენა და წმინდანები ეკლესიაში დაკრძალა. მოგვიანოდ, მონასტერს მოწამეთა ეწოდა.

XIX საუკუნეში მოწამეთას ეკლესიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მთავარმა ეკლესიამ დღევანდელი სახე 1840-60-იან წლებში მშენებელ ოსტატ ბერეკაშვილების მიერ წარმოებული სამუშაოების შემდეგ მიიღო. ეკლესია წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობას. გუმბათი ორ ბურჯსა და საკურთხევლის შვერილებს ეყრდნობა. ეკლესიის უჩვეულობა საკურთხევლის მდებარეობაში გამოიხატება, ის ჩრდილოეთითაა მიმართული. წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს საფლავები განლაგებულია აღმოსავლეთ კედელთან, რომელიც ხუთი საფეხურითაა ამადლებული. ამ შემაღლების წინ ხის ორი მწოლიარე ღომის ქანდაკებაა (შექმნილი 1840 წელს). სიწმინდეების ქვეშ მომლოცველთათვის გასასვლელია მოწყობილი.




ფოტო 6. მოწამეთას მონასტერი

საკურთხეველში დარჩენილია XVI საუკუნის ფრესკები. ეკლესიის ფასადთა შემკულობაში შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ელემენტებია გამოყენებული, რაც ბერეკაშვილების სახელოსნოს დამახასიათებელი ნიშანია.

ორსართულიანი სამრეკლო ეკლესიის სამხრეთით დგას, 1,5 მ-ში. აგებულია 1845-1847 წლებში.

მონასტრის კარიბჭე სწორკუთხა გეგმარებისაა და დაგვირგვინებულია აფრებზე გადაყვანილი გუმბათით. ის შეადგენს პირველ სართულს კოშკისა, რომელიც XVI ან XVII საუკუნეებში აიგო. კარიბჭე უკავშირდება გრძელ დახურულ დერეფანს, რომელიც მონასტრისაკენ მიემართება. კარიბჭის ორსავე მხარეს შემორჩენილია დიდი თლილი ქვებით ნაგები გალავნის კედლის ნაშთები. ეს ნაშთები ადრეული შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მონასტრის გარეთ დარჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ფუნდუკის ნაშთები და XVI საუკუნის სამსართულიანი კოშკი.

მდიდარი ისტორიისა და ულამაზესი ბუნებრივი გარემოს წყალობით, მოწამეთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია რეგიონში. გარდა ამისა, დღეს აქ მონასტერიც ფუნქციონირებს. წმ. დავითისა და კონსტანტინეს რელიქვიების გამო ის ბევრ მომლოცველსაც იზიდავს.




სურათი 3. პუფერული ზონის რუკა, რომელზეც დატანილია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები და ძეგლის სტატუსზე წარსადგენი ობიექტები

2.3. ლანდშაფტი და ბუნება

ლანდშაფტი

ბუფერულ ზონაში არსებული ლანდშაფტი წარმოადგენს კულტურულ ლანდშაფტს, რომელიც ხასიათდება ბუნებრივი მახასიათებლებით და მასზე ასევე აისახება ანთროპოგენური გავლენა. იუნესკოს კლასიფიკაციის მიხედვით, იგი წარმოადგენს ორგანულად განვითარებულ ლანდშაფტს, რომელიც შეიცავს როგორც წარსული განვითარების ნარჩენებს, ასევე ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფ ტერიტორიებს (განვითარებადი ლანდშაფტი).



სურათი 4. ტოპოგრაფიული რუკა

საპროექტო არეალი მოიცავს მდინარე წყალწითელას აუზის შუა ნაწილს. სიმაღლე იცვლება ზღვის დონიდან 140-დან 600 მეტრამდე. საქართველოს გეომორფოლოგიური რუკის მიხედვით, პროექტის არეალი წარმოადგენს ოკრიბის გორაკ-ბორცვიანი და

დაბალმთიანი გეომორფოლოგიური რაიონის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილს. არეალის დაბლობი ნაწილი წარმოადგენს განვითარებად ლანდშაფტს, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობისა და დასახლებებისათვის. მთისწინეთი დაფარულია ტყეებითა და უფრო ბუნებრივი სახით არის შემორჩენილი. მონასტერი, ძველი ეკლესიები და მღვიმეებში პრეისტორიული ბინადრობის კვალი წარსული განვითარების ნაშთებია.

რელიეფი

ზოგადი

საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა შემდეგი სახის გეომორფოლოგიური წარმონაქმნებით.

- ცენტრალური ნაწილი. იგი მოიცავს ერთიმეორისაგან მდ. წყალწითელას კალაპოტით გამოყოფილი გელათისა (სიგრძე – 3,5 კმ, სიგანე -2,5 კმ) და კურსების ტაფობებს (სიგრძე – 2,5 კმ, სიგანე -2 კმ).
- მდ. წყალწითელას კანიონისებური ხეობა.
- ტაფობების პერიფერიულ ზოლში მდებარე დაბალი მთები და ხშირ შემთხვევაში გუმბათისებური ფორმის მაღლობები და ბორცვები:
 - დოხორასა (609 მ) და საქოლაის მთები (713 მ), აღმოსავლეთ ნაწილში.
 - მოწამეთას პლატოს ჩრდილო ზოლი მდ. წყალწითელას კანიონისებური ხეობით, სამხრეთ ნაწილში.
 - ოწესას მთა (539 მ) მასთან მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი სერებით ჩრდილოეთ ნაწილში.
 - მდინარეების – რიონისა და წყალწითელას აუზების წყალგამყოფის აღმოსავლეთი კალთები, დასავლეთ ნაწილში.

ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტის ხასიათი მეტწილად ამგვარი გეომორფოლოგიური დაყოფით არის განპირობებული. ამდენად, იგი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების საფუძველს წარმოადგენს შესაბამის მართვის სტრატეგიებთან და ღონისძიებებთან ერთად. ეს სივრცობრივი ერთეულები უფრო დეტალურად ქვემოთაა აღწერილი.

ტაფობი

გელათისა და კურსების ტაფობების ფსკერი და მეტ-ნაკლებად დამრეცი კალთები აგებულია იურული პერიოდის თიხებითა და ქვიშა-ქვებით, რომლებიც, ეროზიულ-დენუდაციური პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით, შედარებით ნაკლები სიმტკიცით ხასიათდებიან. შესაბამისად, აღნიშნული ტაფობების რელიეფი შედარებით რბილი მორფოლოგიური იერით გამოირჩევა. იურული პერიოდის თიხებისა და ქვიშა-ქვების გავრცელების ადგილებში წარმოქმნილ დელუვიურ-პროლუვიურ ნალექებთან ძირითადად მეწყრულ-ეროზიული რელიეფის ფორმებია დაკავშირებული. რელიეფის აღნიშნული ფორმები გელათისა და კურსების ტაფობების დამრეც კალთებზე წარმოდგენილია მეწყრული საფეხურების, შედარებით მცირე სიღრმის მეწყრული ღარტაფების, ეროზიული ხეების, ხრამების და მათი დაბალი წყალგამყოფების სახით.

ცალკეული ხეების ბოლო მონაკვეთები დაკავებული აქვს შედარებით მცირე სიმაღლის ძველ და თანამედროვე გამოზიდვის კონუსებს. მდ. წყალწითელას ხეობის გასწვრივ მისი კალაპოტიდან 5-50 მ სიმაღლემდე შემორჩენილია ეროზიულ აკუმულაციური წარმოშობის სხვადასხვა ასაკის ტერასული საფეხურების ფრაგმენტები.



ფოტო 7. ტაფობის საერთო ხედი

მდ. წყალწითელას ხეობა

მდ. წყალწითელა პროექტის არეალში ლანდშაფტის დომინანტური ელემენტია. იგი იწყება რაჭაში, ნაქერაღას მთაზე, შედის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ კურსების ახლოს და ტოვებს არეალს სამხრეთ-დასავლეთით, მოწამეთასთან. მდინარის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 49 კმ-ია. სიგრძე პროექტის არეალში დაახლოებით 8 კმ-ია. პირველი 4 კმ-ს ხეობის ფსკერის სიგანე ალაგ-ალაგ 500-დან 700 მეტრს აღწევს, კალაპოტში მცირე ზომის აკუმულაციური კუნძულებია განვითარებული, რომლებიც ეროზიისა და დაღეჭვის შედეგად მუდმივად იცვლება.

უფრო ქვემოთ, სოფლებს, მოწამეთასა და გოდოგანს შორის მდინარე კირქვულ კანიონში მიედინება, სადაც კალაპოტის სიგანე 5-20 მ საზღვრებში ცვალებადობს. წყალწითელას კანიონის კალთებზე და თხემურ ზოლში კარსტული რელიეფი არის წარმოდგენილი კარების, კარსტული ძაბრების, მღვიმეების სახით, რომელთაგან ზოგიერთს დაცული ტერიტორიის სტატუსი აქვს (ბუნების ძეგლი). მათ შორის ერთ-ერთი, საკაჟიას მღვიმე მდებარეობს საპროექტო არეალის საზღვრებში. მდინარეების – რიონისა და წყალწითელას აუზების წყალგამყოფის აღმოსავლეთ კალთები ქმნის პროექტის არეალის დასავლეთ საზღვარს. მდინარის ამ მონაკვეთს ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს.

გუმბათისებური ფორმის მადლობები და ბორცვები

არეალის ჩრდილო ნაწილი აგებულია ინტრუზიული (გულკანური) წარმოშობის მტკიცე ქანებით (ტეშენიტებით). შესაბამისად, არეალის ამ ნაწილში განვითარებულია მკვეთრი რელიეფის მქონე, ძირითადად გუმბათისებური ფორმების მადლობები და ბორცვები (ოწვის მთა და სხვა).

არეალის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდურა ნაწილის გასწვრივ მდებარე ცარცული პერიოდის მასიური კირქვებით აგებული დოხორა-საქოლავის მთები გამოირჩევა ალაგ-ალაგ ქარაფოვანი ფლატე კალთების, კარსტული ძაბრების, კარსტული ჭების, ნიში-სებური კარული წარმონაქმნების განვითარებით. უნდა აღინიშნოს, რომ დოხორას

მთის ჩრდილო ფლატოვან კალთაზე წარსულში (საგარაუდოდ ზედა პლიოცენ-ქვედა მეოთხეულში) წარმოქმნილ სტრუქტურულ-ეროზიულ მოვაკებულ საფეხურზე, რომელიც ზღვის დონიდან 350 მ სიმაღლეზე მდებარეობს, განლაგებულია გელათის მონასტერი.



ფოტო 8. მდ. წყალწითელა გელათის ტაფობზე ფოტო 9. მდ. წყალწითელა მოწამეთას მიდამოებში

კლიმატი

ზომიერად ნოტიო და თბილი კლიმატი განპირობებულია შავ ზღვასთან სიახლოვისა და კავკასიონის გამო, რომელიც ტერიტორიას ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს. ქუთაისის, ორპირის და ტყებულის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით, ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა მერყეობს 12.5°C-დან და 14.7°C-ს შორის. საშუალო ტემპერატურა ივლისში 21,2°C-დან 23.3°C-მდე მერყეობს. ზაფხულში ტემპერატურა მაქსიმუმ 40-41°C-ს აღწევს, ხოლო მინიმალური ტემპერატურა -19°C-დან -27°C-მდე მერყეობს. ჰაერის შეფარდებითი სინოტივე 70-75%-ის საზღვრებში ცვალებადობს.

მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია აღმოსავლეთის რუმბის ქარები, რომლებიც ხშირად ფიონურ ხასიათს ატარებს. ზაფხულში ჭარბობს დასავლეთური (ზღვიური) ქარები, რომელთა დღეღამურ მსვლელობაზე გავლენას ახდენენ როგორც ბრიზები, ისე მთა-ხეობათა ქარები. ქარების საშუალო წლიური სიჩქარე 3-4 მ/წმ-ს შეადგენს

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1300-1800 მმ-ია. სეზონებს შორის ყველაზე ნაკლებად ნალექიანია ზაფხული. მდგრადი თოვლის საფარი, რომლის სისქე საშუალოდ 10-30 სმ საზღვრებში ცვალებადობს, დეკემბრის შუა რიცხვებიდან აპრილამდე შეიძლება გაგრძელდეს. წელიწადში თოვლის საფარის დგომის დღეთა რიცხვი 25-35-ს უდრის.

წყალი და ჰიდროლოგიური რეჟიმი

ქარებს შავი ზღვიდან ხმელეთისაკენ ნოტიო ჰაერი მოაქვს. კავკასიონის მთები ქარებს სიმაღლისაკენ დევნის, სადაც ორთქლი წყლად ან თოვლად კონდენსირდება. იგი წარმოადგენს კვების წყაროს მდინარეებისათვის, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მიედინება და ქმნის მეოთხეული პერიოდის დანალექი ქანებით აგებულ დამახასიათებელ ხეობებს.



ფოტო 10. დობორას მთა გელათის მონასტრით

ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარი ელემენტია მდ. წყალწითელა, რომელსაც კურსებისა და გელათის ტაფობების ფერდობებიდან რამოდენიმე მცირე ხევი უერთდება. მდ. წყალწითელა ძირითადად წვიმის წყლებით საზრდოობს. მდინარე წყალუხვია გაზაფხულზე, წყალმცირე ზამთარში. მდ. წყალწითელას ახასიათებს ძლიერი და ხშირი წყალმოვარდნები, რომელთა რიცხვმა წელიწადში შეიძლება 10-ს გადააჭარბოს. განსაკუთრებით ძლიერია ინტენსიური წვიმების და თოვლის სწრაფი დნობის თანხვედრის დროს მოვარდნილი წყალდიდობები. ასეთ შემთხვევაში მდინარის დონის სიმაღლემ, მისი საშუალოწლიური მაჩვენებლიდან შეიძლება 5 მ-ს გადააჭარბოს. ასეთ შემთხვევაში კალაპოტისპირა ტერიტორიების ზოგიერთი უბანი დატბორვას და ძლიერ ეროზიას განიცდის. მდ. წყალწითელას საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 7,56 მ³/წმ, მაქსიმალური ხარჯი კი 242 მ³/წმ-ს აღწევს.

მცენარეული საფარი, ფლორა და ფაუნა

მცენარეული საფარი

არეალის ბუნებრივი პირობები (ნაზი რელიეფი, ზომიერად ნოტიო და თბილი კლიმატი) ხელსაყრელია ფართეფოთლოვანი კოლხური ტიპის ტყის (*Quercus iberica* and *Carpinus orientalis*) განვითარებისათვის. სწორედ ასეთი ტიპის ტყეებით ადრეულ შუასაუკუნეებში იყო დაფარული აღნიშნული არეალის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ზომიერად ნოტიო და თბილი კლიმატისა და ნაყოფიერი ნიადაგის გამო გავრცეელდა მცენარეთა მრავალფეროვანი სახეობები, რომლებმაც თავის მხრივ ფაუნის მთელი რიგი სახეობები მოიზიდეს.

ხანგრძლივი ანთროპოგენური ზემოქმედებით შედეგად ტყის მასივები, მათი გავრცელების დიდ ნაწილზე, მთლიანად განადგურებულია და მათი ადგილი კულტურულ და სხვადასხვა ხარისხით დეგრადირებულ ანთროპოგენურ ლანდშაფტებს უკავია (დასახლებული პუნქტები, სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ვენახები, საძოვრები, მეორადი ბუჩქნარი მდელოები და სხვა). განადგურებას გადაარჩენილი, ბუნებრივთან რამდენადმე მიახლოებული ტყის საფარი ცალკეული მასივების სახით ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი. ამ ადგილებში კვლავაც შესაძლებელია თავდაპირველი მცენარეული საფარის პოვნა. ვინაიდან თვითადგენის პირობები ხელსაყრელია, კოლხური ტყისთვის დამახასიათებელი ფლორის სახეობების დაცვა და შენარჩუნება შესაძლებელია, ხოლო იშვიათი და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები შესაძლოა ამ ნიშნულზე დაუბრუნდნენ. აუცილებელია ამ მონაკვეთებისათვის დაცვის მკაცრი რეჟიმის დაწესება და ლანდშაფტის კულტურული კომპონენტების მდგრადი განვითარების რეჟიმთან ერთად გატარება.

ფლორა

კოლხური ტიპის ტყისთვის დამახასიათებელი ტიპური სახეობებია: ქართული მუხა (*Quercus iberica*), კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica*), ქართული ნეკერჩხლი (*Acer ibericum*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), იფანი (*Fraxinus excelsior*), თელა (*Ulmus minor*), ცაცხვის (*Tilia caucasica*), მურყანი (*Alnus barbata*), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*), პანტა (*Pyrus caucasica*), მაჟალო (*Malus orientalis*), თამელი (*Sorbus torminalis*), ქორაფი (*Acer laetum*), ჩვეულებრივი ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ხეჭრელი (*Frangula alnus*), შინდი (*Cornus mas*). გხვდება წითელ ნუსხაში შეტანილი შემდეგი სახეობები: ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), ურთხელი (*Taxus baccata*), წაბლი (*Castanea sativa*). გელათის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე და ეკლესიების ეზოებში ძელქვის (*Zelkova caprinifolia*) ცალკეული ნიმუშები გვხვდება. იგი წარსულში გავრცელებული იყო, თუმცა, ამჟამად იშვიათობას წარმოადგენს და წითელი ნუსხაშია შეტანილი. ქვეტყეში გხვდება ისეთი ტიპური სახეობები, როგორებიცაა: ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*), შავი კუნელი (*Crataegus pentagyna*), კუნელი (*Crataegus monogina*), ძაღლმაცვალა (*Rubus caesius*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), იელი (*Rhododendron luteum*), თრიმლი (*Cotinus coggygria*) და წითელ წიგნში შეტანილი შქერი (*Rhododendron ponticum*), ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), ეკალღიჭი (*Smilax excels*), კოლხური სურო (*Hedera colchica*) ღიანებთან ერთად. ზოგან, იშვიათი სახეობის ბხის (*Buxus colchica*) ბუჩქები გხვდება.

ფაუნა

ვინაიდან, ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული, ველური ბუნება იშვიათია. თუმცა, ფაუნის ზოგიერთი სახეობა მაინც გხვდება, კერძოდ კი: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელია (*Vulpes vulpes*), ტყის კატა (*Felis silvestris*), რუხი კურდღელი (*Lepus europaeus*), წითური მემინდვრია⁶ (*Clethrionomys glareolus*), ბუჩქის მემინდვრია (*Microtus maior*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), მთის ტყის თაგვი (*Apodemus mystacinus*), მინდვრის თაგვი (*Apodemus agrarius*), და ა.შ.

ღამურების შემდეგი სახეობები გხვდება: ქარცი ღამურა (*Nictalus noctula*), ნატერერის მელამია (*Myotis nattereri*), დიდყურა (*Plecotus auritus*) და მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*).

ჩიტების შემდეგი სახეობები დაიკვირვება: *Turdus merula*, *Dryocopus martius*, *Upupa epops*, *Garrulus glandarius*, *Anthus trivialis*, *Accipiter gentiles*, *Accipiter nisus*, *Sanius cristatus*, *Luscinia luscin*, *Strux aluco* და სხვები.

⁶ საფრთხის ქვეშ მყოფი, წითელ ნუსხაში შეტანილი

ანთროპოგენური გავლენა

ტერიტორია, სულ მცირე, ძვ.წ. I ათასწლეულიდან არის დასახლებული და საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უარყოფით ზეგავლენას, რაც იგრძნობა მის ყველა კომპონენტში. ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს ყველა სახის ეკოლოგიურ და მორფოლოგიურ პროცესებზე.

გავლენა რელიეფზე

ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად, რელიეფი და ლანდშაფტის გარეგნული მხარე შეიცვალა. იჭრებოდა ტყე და მიწა დასახლებებისა და სოფლის მეურნეობებისათვის გამოიყენებოდა. უკანასკნელი 50-70 წლის განმავლობაში, მიწის არამდგრადი გამოყენების პრაქტიკამ გამოიწვია ზედაპირის ეროზია და ფერდობების ჩამოშლა. ამან საბოლოოდ საშიშ გეომორფოლოგიურ პროცესებამდე (მეწყერი, ღვარცოფი) მიგვიყვანა. ხშირ შემთხვევაში მოხდა ბუნებრივი რელიეფის მორფოლოგიური იერსახის შეცვლა ან, ზოგ შემთხვევაში, მისი სრული წაშლა.

გელათისა და კურსების ტაფობების დამრეცი კალთების სტაბილურობა პრობლემატურია. ხშირ შემთხვევაში, ფერდობი მჭიდრო ნალექებისაგან შედგება (დიღუვიური, აღუვიურ-პროლუვიური, თიხა, ყავარი-თიხა, გამოფიტული ქვიშა-ქვები). ეს ნალექები თითქმის წყალშეუღწევადია და ამჟღავნებს თიქსოტროპულ ქცევას: გარეშე დატვირთვის შედეგად ბუნებრივი მდგრადობის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს, რასაც შედეგად მეწყერი, ღვარცოფი და ეროზია მოსდევს. ფერდობებზე გზების მშენებლობამ ასევე შესაძლოა ქანობების არამდგრადობა გამოიწვიოს. ზოგ შემთხვევაში, ხდება გრუნტის წყლის რეჟიმის დარღვევა, რაც ხელს უწყობს მეწყერული პროცესების განვითარებას. არასწორმა დრენაჟმა, ასევე შესაძლოა ფერდობის არამდგრადობა და მეწყერი გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში მეწყერი ზედაპირულია და მცირე ფერდობებზე ვრცელდება (საშუალოდ 0.2-1.0 ჰა). იგივე მოვლენა შეიძლება მოხდეს დამრეცი ფერდობებზე გაშენებული საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს. საკანალიზაციო სისტემის არარსებობის გამო, დაბინძურებული წყალი ღიად ჩაედინება მიწისპირა და შესაძლოა ნიადაგის ფენებშიც შეადწიოს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის არამდგრადობა და ადგილობრივი მეწყერი.

მიწათმოქმედებაში აგროწესების დარღვევამ, ტყეების ინტენსიურმა გაჩეხვამ, რთულ რელიეფურ პირობებში საგზაო მშენებლობამ და ა. შ. განაპირობა ტექნოგენური გენეზისის რელიეფის ფორმების – ბედლენდების, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფების გამოზიდვის კონუსების წარმოქმნა-განვითარება. უნდა აღინიშნოს გელათის ტაფობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იურული ასაკის ფერადი წყების ნალექებში ხელოვნურად წარმოქმნილი ბედლენდური რელიეფის განვითარების ფაქტი. საყურადღებოა საამშენებლო დანიშნულების მინერალური წიაღისეულის – ტეშენიტის, დიორიტული პორფირიტების, კირქვების მოპოვების ადგილებში წარმოქმნილი კარიერებით, ნაყარი ბორცვებით, ღარტაფებით და სხვა ბუნებრივი რელიეფის მორფოლოგიური იერსახის შეცვლა ან, ზოგ შემთხვევაში, მისი სრული წაშლა. რუკა 10 (იხ. დანართი) გვიჩვენებს ამ სამტეხლოების ადგილმდებარეობას. ბუფერულ ზონაში მდებარე ყველა სამტეხლო ამჟამად მიტოვებულია, მხოლოდ ერთი მოქმედი სამტეხლოა დარჩენილი სოფელ გელათის მიდამოებში და სხვა სოფელ კურსებში. ორივე მდებარეობს ბუფერული ზონის გარეთ და არ გააჩნიათ უშუალო გავლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე.

ძირითადი რაოდენობას სამტეხლოებისა მდებარეობს რიონ-წყალწითელას წყალგამყოფზე და წყალწითელას კანიონის კალთებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე. აქ

კირქვის მოპოვების და დამუშავების ადგილებში ბუნებრივი რელიეფის ზედაპირი მთლიანად განადგურებულია კარიერების ადგილზე წარმოქმნილი ღარტაფებით, მიწა-წაყრილებით, ნაყარი ბორცვებით და ა. შ. ბუნებრივი რელიეფის ზედაპირი ასევე ძლიერ შეცვლილია კურსების ტეშენიტების მოპოვების ადგილებში წარმოქმნილი კარიერებით და უხვი დაუმუშავებელი ტეშენიტის დაკუთხვილი ბელტების გროვებით. დარჩენილია მხოლოდ დიდი რაოდენობა მაღაროთა სამრეწველო ნარჩენებისა და დაუმუშავებელი ლოდების გროვებისა. ასევე მოწამეთას პლატო არის მნიშვნელოვნად დეგრადირებული სამთო-სამრეწველო აქტივობების შედეგად. მათ გავლენა იქონია ბუფერული ზონის ზოგიერთი ნაწილის ლანდშაფტის გარეგან სახეზე. მაგრამ მას არ ჰქონია უშუალო ზეგავლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე.

გავლენა კლიმატზე

ადამიანის საქმიანობამ მცირე გავლენა მოახდინა ადგილობრივ კლიმატზე; მაგრამ, გლობალური კლიმატის ცვლილებებმა, შესაძლოა გავლენა მოახდინონ მართვის არეალზე. ევროკავშირის მიერ შემუშავებული დირექტივის სამრეწველო გაფრქვევების შესახებ (IPPC) მიხედვით, რომლის მოთხოვნაც ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისა და კონტროლის სისტემის დანერგვაა, ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ ატმოსფერული წნევის ფართომასშტაბიან გავრცელებაზე, მასთან დაკავშირებულ ქარებზე, წვიმის ხასიათზე და ძლიერი წვიმისა და ქარების სიხშირეზე. თუმცა, ამჟამად არ არსებობს მონაცემები კლიმატის ცვლილების ადგილობრივ ზეგავლენაზე.

გავლენა ჰიდროლოგიაზე

ტყეების ფართომასშტაბიანი გაჩეხვა მდინარეთა წყალშემკრებ აუზში, დიდ გავლენას ახდენს ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ტყეებში არსებული გრუნტის წყლის მარაგი მცირდება, ზედაპირულ დრენაჟი იზრდება და მასთან დაკავშირებულ ნიადაგის ეროზიას იწვევს აღნიშნული კი ზრდის წყალმოვარდნების სიხშირესა და ინტენსიურობას.

გავლენა ეკოლოგიაზე

ტყეები, რომლებიც უძველესი ლანდშაფტის მთავარი კომპონენტია, გაქრა და მათი ადგილი სასოფლო-სამეურნეო მიწებმა დაიკავა. ბუნებრივი ტყე თითქმის სრულიად განადგურდა სოფლების - მოწამეთას, გელათის, კურსების, სორმონის, ნაბოსლევის ახლომახლო. სხვა ადგილებში, ტყიანი ადგილები ალაგ-ალაგა შემორჩენილი. ტყის უბეები კვლავაც არსებობს, თუმცა უკონტროლო ჭრა მათ ისევ საფრთხეს უქმნის. დაიკარგა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფუნქციები (ეროზიის კონტროლი, ფერდობის მდგრადობა, ზედაპირული დრენაჟი), რამაც გაზარდა ღვარცოფების, მეწყერებისა და წყალდიდობების რისკი.

ხე გამოიყენება საოჯახო მეურნეობაში. სამომავლოდ, გაზსადენი მიწების გაყვანა უზრუნველყოფს სოფლებს გაზით და, შესაბამისად აღარ იქნება შემის საჭიროება. ნაყოფიერი მიწები, ზომიერი კლიმატი და წყლის სიჭარბე ხელსაყრელ პირობებს ქმნის დეგრადირებული ტყეების აღსადგენად გარემოსდაცვითი მართვის განხორციელების შემთხვევაში. ტყის ახალმა კოდექსმა უნდა უზრუნველყოს კანონიერი საფუძველი მსგავსი გეგმისთვის. კანონის მონახაზი 2015 წლიდან განიხილება, თუმცა დღესდღეობით (2017) უცნობია როდის იქნება ეს კანონი მიღებული პარლამენტის მიერ.

2.4. საფრთხეები და ბუნებრივი კატასტროფები

იუნესკოს პუბლიკაცია “მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების რისკების მართვა”⁷ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების პოტენციური რისკ-ფაქტორების ჩამონათვალს შეიცავს. რისკი განიმარტება როგორც დაზიანება, რომელიც გამოწვეულია გაუთვალისწინებელი მოვლენებით, რომლებიც ბუნებრივი კატასტროფების ან ადამიანის საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. რისკი გამოითვლება ზიანის არსებული დონის გადაჭარბების შესაძლებლობის გამრავლებით ზიანის ღირებულებაზე. არეალში რამდენიმე პოტენციური რისკ-ფაქტორი არსებობს, კერძოდ, მიწისძვრა, ელვა, ხანძარი, ჰაერის დაბინძურება და სამხედრო კონფლიქტიც კი. რისკები დეტალურადაა აღწერილი და შეფასებული 4.6 თავში, ხოლო რისკის მართვის გეგმის შემუშავების წინადადებები მოცემულია 4.8. თავში.

2.5. სოციალური და ეკონომიკური ასპექტები

მიწათსარგებლობა და მიწათმოწყობა გელათის მონასტერში და მის მახლობლად

გელათის მონასტერი

საქართველოს მთავრობასა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც პარლამენტის მიერ 2002 წლის 22 ოქტომბერს დამტკიცდა, კონკორდატის მიხედვით (მუხლი 7), სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მფლობელობას მართლმადიდებლურ ეკლესიებზე, მონასტრებზე (ფუნქციონირებადი და არაფუნქციონირებადი), ნანგრევებსა და მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბითაა მიმოფანტული.

მოცემული მუხლის თანახმად, გელათის მონასტრის მფლობელობა ეკუთვნის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. თუმცა, მფლობელობის უფლება არ დარეგისტრირებულა ეროვნულ რეესტრში და ამდენად, იგი არ არსებობს მესამე მხარესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1997) 183-ე მუხლის შესაბამისად, მფლობელობის შექმნა უძრავ ქონებაზე მოითხოვს გადაცემის წერილობით განხორციელებას და ამგვარი გადაცემით განსაზღვრული მფლობელობის შემდგომ, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

ამდენად, მფლობელობის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა. რეგისტრაციის პროცედურა და საჭირო დოკუმენტები განსაზღვრულია კანონით საჯარო რეესტრის შესახებ (2008) და იუსტიციის მინისტრის მიერ 2010 წელს დამტკიცებული №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის ინსტრუქციით. საკადასტრო რუკა – მსოფლიო გეოდეზიური სისტემა 84-ის კოორდინატები განსაზღვრავს გელათის მონასტრის ფიზიკურ და სამართლებრივ საზღვებს. საჯარო რეესტრის მიერ საკადასტრო რუკის დაუმტკიცებლობისა და გელათის მონასტრის ზუსტი საზღვრების დადგენის ერთ-ერთ მიზეზს სახელმწიფოსთან და მიმდებარე ნაკვეთების კერძო მფლობელებთან საზღვრების შესახებ შეთანხმების საჭიროება წარმოადგენს.

ეს გადაუდებელია ამოცანაა, ვინაიდან 2013 წლის შემდეგ, გელათის მონასტრის მიწის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო მფლობელობა დარეგისტრირდა რამდენიმე ახლად განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე. ამჟამად, გარდა მიწის მიმდებარე ნაკვეთების

⁷ UNESCO, Managing Disaster Risks for World Heritage (Paris, 2010)

ფიზიკური საზღვრებისა (გალავანი) და საკადასტრო რუკისა, არ არსებობს მისათითებელი კოორდინატები, რომლებიც განსაზღვრავენ გელათის მონასტრის ტერიტორიას და შესაბამისად, ეკლესიის ქონებას.

ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ახალი ნაკვეთების რეგისტრაციის რისკი არსებობს. ისევე როგორ არსებობს გელათის მონასტრის მიერ ისტორიულად დაკავებულ ტერიტორიაზე შეჭრისა და გადაფარვის რისკი. გარდა ქონებაზე მფლობელობის უფლების არქონისა, საკადასტრო რუკისა და მფლობელობის საჯარო რეესტრში დაუმტკიცებლობა სამართლებრივ გაურკვევლობას და მასთან დაკავშირებულ რისკებს წარმოშობს.

სასაფლაო

მონასტრის ახლოს მდებარე სოფელ გელათის სასაფლაო ჯერ კიდევ მოქმედია. სასაფლაო შემოღობილია ქვის დაბალი კედლით. მისი ტერიტორია თითქმის სრულადაა ათვისებული და არსებობს სასაფლაოსათვის ახალი ტერიტორიის მოძებნის საჭიროება. ვინაიდან სოფლის მოსახლეობას სურს სასაფლაო მონასტრის სიახლოვეს იყოს, წარმოიშვება კონფლიქტი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, მონასტრის შესაძლო გაფართოებისა და ახალი სასაფლაოს ძველის მახლობლად მოწყობის ინტერესებს შორის. მიზანშეწონილია არსებული სასაფლაოს საზღვრების ნათლად განსაზღვრა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირება. ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სასაფლაოსათვის სათანადო ადგილის გამოვლენა, ვინაიდან ეს საკითხი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ კომპეტენციას (იხილეთ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16.2).

მიწის კერძო ნაკვეთები

საკადასტრო რუკის მიხედვით, მონასტერს გარს ეკვრის როგორც ურბანული, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტიპის რამდენიმე ნაკვეთი, რომლებიც სოფლის მოსახლეობის საკუთრებაშია. ამ ნაკვეთიდან ზოგიერთი არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, თუმცა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისათვის წინაპრების მიერ დატოვებულ ქონებას. მათ მფლობელობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს არც სახელმწიფო და არც ეკლესია.

უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც იმ შემთხვევებში, როდესაც ნაკვეთები რეგისტრირებულია, მათი რეალური საზღვრები საკადასტრო რუკაზე არ არის ადეკვატურად წარმოდგენილი. ხშირად არსებობს გადაფარვის პრობლემა. ზოგ შემთხვევაში, მონასტრისაკენ მიმავალი უძველესი ბილიკებიც მიწის კერძო ნაკვეთების რუკებზეა შეტანილი.

მონასტრის კედლის ახლოს მდებარე მიწის რეგისტრირებული ნაკვეთებისა და მათი მფლობელების სია ასეთია:

- #39.07.31.006. მფლობელი: იოსებ ყიფშიძე
- #39.07.31.019. მფლობელი: რომა ტუგუნძე
- #39.07.31.022. მფლობელი: ციციხო დულაძე
- #39.07.31.012. მფლობელი რუსუდან ტოგონიძე

მიწის ამ ნაკვეთებისადმი მისაწვდომობა საჭირო შეიძლება გახდეს მონასტრის კედელზე განათების დამონტაჟის, რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოების ჩატარებისას და ა.შ. ამ შემთხვევებში, აუცილებელია მფლობელის წერილობითი თანხმობის მოპოვება, რომლის მიხედვითაც ნებადართულია მისი მიწის გამოყენება.

მიწის ზოგიერთი ნაკვეთი, მაგალითად, მონასტრის სამხრეთ კარიბჭის მიმდებარედ მდებარე ნაკვეთი, არ არის რეგისტრირებული, მაგრამ გამოიყენება ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ. დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა დისკომფორტს არ უქმნის მონასტრის ფუნქციონირებას. მას ხელი არც სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შეუშლია. თუმცა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ან მონასტრის გაფართოების შემთხვევაში, მფლობელობის საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია. მიზანშეწონილია დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების საკითხის გადაწყვეტა და ამგვარი ნაკვეთების საზღვრების ზუსტად განსაზღვრა. ყველაზე მნიშვნელოვანია იმ მიწის რეგისტრაცია, რომელზეც გელათის სამონასტრო კომპლექსია განთავსებული. რეგისტრაცია წარმოადგენს ძველის მართვის ხელშეწყობის ერთ-ერთ პირობას.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა


მიწა, რომელიც ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული როგორც კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, სახელმწიფო მფლობელობაში ითვლება მანამ, სანამ არ მოხდება მისი პრივატიზება. არსებობს ნაკვეთები, რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფო მფლობელობაში. ასეთი ნაკვეთი მონასტრის აღმოსავლეთ კარიბჭის ახლოს მდებარეობს (რეგისტრაციის ნომერი: 390731032). ნაკვეთის საერთო ფართობი 5150 მ²-ია. ტერიტორია მოიცავს არსებულ პარკირებისა და სუვენირების გასაყიდი ჯიხურების განთავსების არეალს. ძველის ახლოს, რამდენიმე მიწის ნაკვეთი ასევე სახელმწიფოს საკუთრებაშია (30.07.31.057; 39.07.31.007; 30.07.31.092; 39.07.31.029; 39.07.31.015).

ეს გახლავთ ტერიტორია, სადაც კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით, ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა და მსოფლიო ბანკის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის, “გელათის მონასტრის ინტეგრირებული განახლების” ქვე-პროექტია დაგეგმილი. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ტერიტორიის მართვა მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მიწათსარგებლობის უფლების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის მიზეზს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ოფიციალურად არ მოითხოვება, სასურველია, სააგენტო და საპატრიარქოს უფლებამოსილი წარმომადგენელი შეთანხმდნენ აღმოსავლეთ კარიბჭესთან ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთების მართვაზე იმგვარად, რომ გაითვალისწინონ როგორც მონასტრის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ვიზიტორთა ინტერესები. მიზანშეწონილია, სუვენირებით ვაჭრობა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოხდეს სააგენტოსთან იურიდიული შეთანხმების საფუძველზე.

გელათის მონასტრის გალავნის შიგნით დარეგისტრირებული კერძო მიწა

გალავნის შიგნით არსებული მიწის ნაკვეთი ჯაგავაძის ოჯახის მფლობელობაშია. ოჯახი თითქმის საუკუნეა ძველს დარაჯობს. მიწის ნაკვეთი განლაგებულია უძველესი გალავნის შიგნით და დანარჩენი ტერიტორიისაგან ახალი კედლითაა გამოიჯნული. მიწა არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში; მაგრამ, არსებობს მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ინახება ტყიბულის მუნიციპალიტეტის არქივში (№147, 27.06.1990).



სურათი 5. მიწათმოწყობა გელათის მონასტრის ირგვლივ

მიწათსარგებლობა და რესურსების გამოყენება ბუფერულ ზონაში

მდინარე და ტყეები სახელმწიფოს მფლობელობაშია. ნაწილი ამ ტყეთაგანი დაზიანებულია, ვინაიდან ხე-ტყე შეშის მასალად გამოიყენებოდა. ამჟამინდელი მიწათსარგებლობა ნაჩვენებია სურათ 6-ზე.

კურსების ტაფობის აღმოსავლეთ ნაწილი გამოიყენება სამოსახლოდ და სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის. დასავლეთ ნაწილი დაფარულია ტყეების ნაშთებით და საძოვრებით, რომლებიც გამოიყენება საქონლის საძოვებლად და თივის დასამზადებლად.

გელათის ტაფობი თითქმის მთლიანად დასახლებებისათვის გამოიყენება. დასახლებები გადაჭიმულია დოხორა-საქოლაის მასივის მთისწინეთსა და ჩრდილოეთ ფერდობებამდე. იგი მოიცავს სოფელ გელათს (130 კომლი, დაახლოებით 861 კაცი) და მონასტრის კომპლექსს. მიმდებარე ტერიტორიების ფერდობები დაფარული ტყეებით, რომლებიც შეშად გამოიყენება.

ამ ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული ნაკვეთები მოცემულია საკადასტრო რუკაზე (სურათი 7). დეტალური რუკა იხილეთ დანართში.


გელათის ტერიტორიაზე ხდება სამშენებლო მინერალური წიაღისეულის მოპოვება ღია კარიერების მოწყობის გზით. სოფელ კურსებში მუშაობს მოსაპირკეთებელი ფილების დამამზადებელი ქარხანა. სამხრეთით, მდ. წყალწითელას ხეობაში მდებარეობს სოფელი მოწამეთა (დაახლოებით 210 მცხოვრები) და მოწამეთას კარგად ცნობილი მონასტერი. წყალწითელას კანიონის კალთებზე ხდება კირქვის მოპოვება და დამუშავება ღია წესით, რამაც ლანდშაფტი საგრძნობლად დააზიანა.

დემოგრაფია და ეკონომიკა

დემოგრაფია

საპროექტო არეალი წარმოადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ნაწილს. ტერიტორიაზე ცხოვრობს 30132 მოსახლე (2002 წლის აღწერა), რომელთაგან 17000

ცხოვრობს სოფლად. კურსების რეგიონული თემა 2722 მაცხოვრებლით, წარმოადგენს პროექტის არეალის ადმინისტრაციულ ცენტრს და მოიცავს ორ სოფელს, გელათსა (860 კაცი) და მოწამეთას (210 კაცი).



სურათი 6. მიწათსარგებლობის რუკა


სოფლის მეურნეობა

გელათის თითქმის ყველა მცხოვრები მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან – მათ შორის საჯარო სექტორსა და კერძო კომპანიებში მუდმივად დასაქმებული პირებიც. თუმცადა, მათი უმრავლესობისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მთავარი საარსებო წყარო არაა. ისინი მისდევენ ნატურალურ სოფლის მეურნეობას საოჯახო საჭიროებებისთვის. მოსახლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტს ბაზრისთვის.

მრეწველობა

გელათსა და მეზობელ სოფლებში რამდენიმე ათეული ხელოსანი ცხოვრობს. მათი საქმიანობის ყველაზე პერსპექტიული სექტორი გიშრის ნივთების წარმოებაა. ხელოსნები ამზადებენ გიშრის ჯვრებს, ბეჭდებს, მიძეებს, გულსაკიდებს, საყურეებსა და სხვა ნივთებს, რომელთაც წვრილი მოვაჭრეები გელათის მონასტრის შესასვლელთან ყიდიან. ყველაზე წარმატებული ოსტატები საკუთარ ნაკეთობებს არამარტო ქუთაისსა და თბილისში, არამედ საზღვარგარეთაც – ძირითადად, თურქეთში ყიდიან.

ადრე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორი იყო ქვის მოპოვება და სამთო მრეწველობა. ახლა ყველა ასეთი აქტივობა ბუფერულ ზონაში შეჩერებულია. მიდამოებში მხოლოდ ერთი ქვის სამტეხლო მუშაობს პერიოდულად. ის სოფელ გელათთან ახლოს, ბუფერული ზონის გარეთ მდებარეობს.



სურათი 7. რეგისტრირებული ნაკვეთები

ტურიზმი

ტურიზმი მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკისათვის. ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის შეფასებით, არეალს წლიურად დაახლოებით 200 000 ტურისტი სტუმრობს. მათი 80% ქართველია. დანარჩენი 20% უცხოელია, რომელთა ნახევარი დამეს ათევს, ხოლო ნახევარი აქაურობას ერთი დღით

სტუმრობს. 30 მოსახლე შემოსავალს იღებს მონასტრის ახლოს განლაგებული ჯიხურებიდან საკვების, სასმელებისა და სუვენირების გაყიდვით. ტურიზმი კონცენტრირებულია ზაფხულის თვეებში, აპრილიდან სექტემბრამდე. 2015 წელს კერძო სექტორი გელათსა და მოწამეთაში შედგებოდა 5 საოჯახო სასტუმროსა და 3 რესტორნისაგან.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიხედვით იმერეთში სამი კლასტერი განისაზღვრა, რომელსაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი გააჩნია. საპროექტო არეალი მდებარეობს ე. წ. “იმერეთის შუაგულში”, რომელიც გამოყოფილია როგორც ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე არეალი. ამ პოტენციალის განვითარებას მარკეტინგის ხელშეწყობა სჭირდება, აუცილებელია ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების დივერსიფიკაცია, ტურისტული სექტორის ორგანიზების თვალსაზრისით გაუმჯობესება, ადამიანური რესურსები და ობიექტები.

ბოლოხანს რამდენიმე წვრილმა კომპანიამ სუბსიდიის მისაღებად მიმართა პროგრამას *Empowering Vulnerable Communities and Micro-entrepreneurs in Georgia Tourism Sector*. ეს აქტივობა მოიცავს საოჯახო სასტუმროებს, ხელნაკეთობებისა და სუვენირების მაღაზიებს, ღვინის წარმოებასა და ტურისტულ სააგენტოებს.

2.6. ხელმძღვანელობა და მართვა

მართვის ტერიტორია მოიცავს ძირითად ბირთვს – სამონასტრო კომპლექსს და მის გარემომცველ ბუფერულ ზონას, რომელიც განსაზღვრულია მინისტრის 2014 წლის იანვარის დადგენილებით. ეს არეალი შედის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (იხ. სურათი 2). ადმინისტრაციული კურსების თემი მოიცავს გელათის და მოწამეთას სოფლებსაც. ეს ტერიტორიები იმართება რწმუნებულის მიერ, რომელსაც ნიშნავს ტყიბულის გამგებელი

ეროვნული კანონი სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული მშენებლობის შესახებ (2005) არეგულირებს დასახლებების სივრცით და ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ეხება რა განსახლების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გარემოსდაცვით საჭიროებებს. იგი განსაზღვრავს სახელმწიფო სამთავრობო სააგენტოებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციას ზემოთხსენებულ სფეროში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა დასახლებების ტერიტორიების გამოყენების და მშენებლობის რეგულირების ძირითადი პრინციპები ზემოთხსენებული კანონის საფუძველზე (8 ივლისი, 2008, № 1-1/1254).

კანონის რიგ დადგენილებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა განხილულია როგორც სივრცითი დაგეგმარების და ურბანული განვითარების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია: კანონის ერთ-ერთი მიზანთაგანია (მუხლი 4.2.f): კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილული იქნება როგორც სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი საფუძველი (მუხლი 5.1.m): კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება სხვათა შორის საზოგადოების ინტერესებს განეკუთვნება და თუ სივრცითი დაგეგმარება და ურბანული მშენებლობა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, მსგავსი ქმედებები შეჩერებულ იქნება (მუხლი. 6.1): გათვალისწინებული იქნება ისიც, რომ ურბანული მშენებლობა, როგორც ის არის განსაზღვრული კანონში, მოიცავს სოფლის დასახლებების განვითარებასაც.

კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციას დასახლებების სივრცით-ტერიტორიალური განვითარების მართვისთვის ორეტაპიანი სისტემით (პარაგ. 23).

- ა) მიწის გამოყენების გენერალური გეგმა, რომელიც მოიცავს მიწათსარგებლობის უფლებების ზონირების რუკას;
- ბ) მშენებლობის რეგულირების გეგმა, რომელიც მოიცავს მთელი ტერიტორიის ან დასახლების ტერიტორიის ნაწილების დეტალური ზონირების რუკებს.

კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც მშენებლობის რეგულირების გეგმამ შეიძლება ჩაანაცვლოს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და შესაბამისად, ამ უკანასკნელის მიღება არ არის აუცილებელი, რადგან მშენებლობის რეგულირების გეგმა უფრო დეტალური დოკუმენტია.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიის გამოყენების და განვითარების ძირითად პარამეტრებს. გარემოსა და კულტურის მემკვიდრეობის დაცვის სივრცით პირობებს, ტრანსპორტს, საინჟინრო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების და დასახლების საკითხების სივრცით ასპექტებს. (მუხლი 2.1.)

განაშენიანების რეგულირების გეგმა ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვე-ზონებს) და/ან განმარტავს ცალკეული ერთეულების მახასიათებლებს, არქიტექტურულ გეგმარებას და სივრცით მოცულობებს, ნაგებობათა განთავსებას, მათ გეგმარებას, განმარტავს უძრავი ქონების დაცვის და განვითარების ინდიკატორებს, ლანდშაფტურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას (მუხლი. 2.მ). კულტურული დაცვის ზონები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის გარდა მშენებლობის რეგულირების გეგმაშიც აისახება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტს არ მიუღია არც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და არც განაშენიანების რეგულირების გეგმა (რაც უფრო გამართლებულია დასახლების ზომის გათვალისწინებით) სოფელ გელათისთვის. ამგვარი გეგმის შემუშავება და დამტკიცება დიდად წაადგება გელათის მონასტრის დაცვას და მნახველთათვის ძეგლის უკეთ წარდგენას, რადგან მოახდენს დასახლების ინფრასტრუქტურის, სოფელში მშენებლობის ახალი ფორმების და მოცულობის რეგულირებას და დაიცავს გელათს არასათანადო ნაგებობების მშენებლობისგან. იგი ასევე უზრუნველყოფს სწორ განხორციელებას დაცვის იმ წესებისა, რომლებიც განპირობებულია მონასტრისთვის საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

საკანონმდებლო ბაზა

ზოგადი

მონასტერს აქვს ეროვნული ძეგლის სტატუსი და იმართება საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს ძეგლზე ჩარევის (ინტერვენციების) წესებს და პროცედურებს, ისევე როგორც დაცვის რეჟიმებს ბუფერულ ზონაში (ანუ ფიზიკურ და ვიზუალური დაცვის არეალებში, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით). თუმცა კანონი ძირითადად არეგულირებს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ასპექტებს. გარემო ლანდშაფტის კონსერვაცია და დაცვა არის საქართველოს სატყეო კოდექსის, კანონის ნიადაგის დაცვის შესახებ, კანონის გარემოს დაცვის შესახებ და წყლის კანონის თემა, რომლებიც არის საკანონმდებლო ბაზა ამ არეალების ტყეებისა და მდინარეების მართვისათვის.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

გელათის მონასტერი არის ეროვნული მნიშვნელობის აღრიცხული ძეგლი საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. ამჟამად იგი შეტანილია ეროვნულ ნუსხაში საპრეზიდენტო განკარგულებით №665, 07.11.2006.

როგორც ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლი, გელათის მონასტერი დაცულია საქართველოს 2007 წლის კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

კანონი იცნობს აღრიცხული ნაგებობების სამ დონეს: აღრიცხული ძეგლი, ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლი და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლი. ძირითადი საკონსერვაციო მიდგომა ერთიდაიგივეა, მაგრამ სხვადასხვა დონეებს აქვს დაცვის განსხვავებული ფარგლები, რომლებიც მეტ პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ და საერთაშორისო მნიშვნელობის ძეგლებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონების სისტემა განსაზღვრულია კანონის *კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონებისა და იქ დადგენილი რეჟიმების შესახებ* მე-8 თავში.

კანონი განსაზღვრავს დაცვითი ზონების ორ ტიპს – ა) ინდივიდუალურსა და ბ) ზოგადს. ინდივიდუალური დაცვითი ზონები, თავის მხრივ მოიცავს ფიზიკურ და ვიზუალურ არეალებს. ასეთი ზონები ავტომატურად შედის ძალაში, როგორც კი ობიექტს მიენიჭება აღრიცხული უძრავი ძეგლის სტატუსი.

ზემოთხსენებული არეალების განზომილებას კანონი განსაზღვრავს, შემდეგნაირად:

1. აღრიცხული ძეგლისთვის, განურჩევლად კატეგორიისა, ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული ორზე, თუმცა კანონი ამ რადიუსს ზღუდავს 50 მეტრამდე.
2. ვიზუალური დაცვის არეალი იზომება ფიზიკური დაცვის არეალის საზღვრის მიღმა შემდეგი მანძილის მიხედვით:
 - ა) აღრიცხული ძეგლისთვის – 300-მეტრიანი რადიუსით;
 - ბ) ეროვნული მნიშვნელობის აღრიცხული ძეგლისთვის – 500-მეტრიანი რადიუსით;
 - გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლისთვის – 1000-მეტრიანი რადიუსით.

ვიზუალური დაცვის არეალი შეიძლება გაფართოვდეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის დადგენილებით. მართლმადიდებელი ეკლესიებისა და მონასტრებისთვის ამგვარი გაფართოება უნდა შეთანხმდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ასე გაკეთდა გელათის მონასტრის შემთხვევაში, როდესაც ვიზუალური დაცვის ზონა გაფართოვდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის მოთხოვნების შესაბამისად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №3/5 დადგენილებით, 2014 წლის 9 იანვარს.

კანონი კრძალავს (მუხლი 36.3) ფიზიკური დაცვის ზონაში ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც დააზიანებს ან ზიანის საფრთხეს შეუქმნის ძეგლს, ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, კერძოდ:

1. ქმედებები, რომლებიც გამოიწვევს ნიადაგის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;
2. მაღალააღებადი და ფეთქებადი ქიმიური მასალების შენახვა;
3. ისეთი საშუალებების კონსტრუირება, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;
4. ისეთი მცენარეების დარგვა, რომელიც დააზიანებს ძეგლს.

ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია ისეთი საქმიანობა, რომელიც დაახინებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, დააბრკოლებს ძეგლის ოპტიმალურ ხედს, მის მთლიან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას (მუხლი 36.6).

საგანგებო მოვალეობები განსაზღვრულია მუხლ 35-ში, რომელიც კრძალავს დიდი ზომის საინფორმაციო ფირნიშების (ბილბორდების), ელექტრო და სატელეფონო გადამცემი ანძების, საელექციო საჰაერო გადამცემები და სხვა სახის მსხვილმაშტაბიანი საინჟინრო და ტექნოლოგიური დანადგარები დაცვით ზონაში არსებული აღრიცხული ძეგლის აქტიურ ვიზუალურ სივრცეში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ხანძარი და წყლის აუზის დაბინძურება. მეტიც, კანონი ითხოვს, რომ ურბანული დაგეგმარებებს პოლიტიკა და მართვის პრინციპები დაცულ ზონებში უნდა ორიენტირებულ იქნას გამიზნულ და გეგმიურ შემცირებაზე ტრასპორტის მოცულობის და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ უფლებას აძლევს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიმართოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ოფიციალური მოთხოვნით შეაჩერონ არასათანადო ქმედებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (მუხლი 44).

კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ასევე განსაზღვრავს ძირითად დაცვის ზონებს, რომლებიც შეიძლება იყოს:

1. ისტორიული განვითარების დაცვის ზონა;
2. განვითარების რეგულირების ზონა;
3. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;
4. არქეოლოგიური დაცვის ზონა.

ამგვარი ზონების დადგენის მეთოდოლოგია და მათ ფარგლებში მიღებული რეჟიმები დეტალურად დახასიათებულია შესაბამის მუხლებში. ამჟამად არც ერთი მათგანი არ არის კანონით დადგენილი გელათის მონასტრის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულ იქნა ზოგი წინასწარული განაცხადი, რადგან აქამდე ვიზუალური დაცვის არეალი საკამარისი იყო ძეგლისთვის საჭირო დაცვის უზრუნველსაყოფად.

2012 წელს სახელმწიფომ წამოაყენა ინიციატივა საფუძვლიანად შესწავლილიყო გელათის მონასტრის ბუფერული ზონის შექმნის აუცილებლობა. სამუშაოები გსს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით განახორციელა ექსპერტების ინტერდისციპლინარულმა ჯგუფმა. შესწავლილ იქნა საბჭოთა პერიოდში არსებული ზონირების დოკუმენტაცია, ისევე როგორც ბოლო წლებში წამოყენებული ინიციატივები. სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავდა საველე დაკვირვებებს და ინვენტარიზაციას, ისევე როგორც გსს-ში მოდელირებას. ისტორიული კონტექსტისა და სოციალური და კულტურული კავშირების შესწავლა გარშემო ტერიტორიასთან და ქუთაისთან ასევე სასარგებლო აღმოჩნდა დამატებითი არგუმენტების წარსადგენად.

გელათის მონასტრის და ახლომდებარე ძეგლების არსებული ვიზუალური დაცვის ზონის შედარებითი ანალიზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბუფერული ზონის დასადგენად. მექანიკურად განსაზღვრული დაცვის არეალის გრაფიკულმა გამოსახულებამ ნათელყო მოდიფიკაციისა და არსებული ტოპოგრაფიის ხასიათთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა. გსს-ში ჩატარებულმა ტერიტორიის ანალიზმა გამოავლინა ის არეალები, რომლებიც საკვანძოა მონასტრის ვიზუალური მთლიანობის და გარემოს შესანარჩუნებლად. ყველა ზემოთხამოთვლილი ფაქტორის ანალიზის საფუძველზე, დადგენილი იქნა ბუფერული ზონის საზღვრებს, რომლებიც

მოიცავს მდინარის ხეობის ნაწილს მონასტრითურთ. საშუალოდ 3 კმ მანძილი, რომელზეც ადამიანის თვალს შეუძლია არქიტექტურული ობიექტის იდენტიფიცირება, გამოყენებულ იქნა ზონის ფარგლების დასადგენად იმ შემთხვევებში, როცა ხედი მონასტრისკენ ან მონასტრიდან მეტისმეტად ფართოა. ახლომდებარე მოწამეთას მონასტერი თავისი ვიზუალური დაცვის არეალით, ისევე როგორც მონასტრის გარშემო მდებარე მცირე ეკლესიები, დავითის კონცხი და სხვა ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილები შემოგარენში ინტეგრირებულ იქნა ბუფერულ ზონაში, ვინაიდან ისინი წარმოადგენს გელათის კულტურული ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილს.

შედეგად, გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალის, როგორც ბუფერული ზონის გაფართოების წინადადება დამტკიცებულ იქნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციების შემდეგ.

რეგულაციები მემკვიდრეობისა და დაკავშირებული სფეროებისთვის

ძირითადი კანონები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებს კულტურულ მემკვიდრეობაზე, წარმოდგენილია ტაბულა 3-ზე.

რეგულაციები	კოდექსის დასახელება
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 ▪ კანონი კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ, 2007 ▪ კანონი მუზეუმის შესახებ, 2001 ▪ კანონი კულტურის შესახებ, 1997
ეკლესიებისა და მონასტრების მფლობელობა, კომუნიკაცია სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის	<ul style="list-style-type: none"> ▪ საკონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002
კანონდარსდება კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში	<ul style="list-style-type: none"> ▪ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 ▪ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 ▪ პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012
ფისკალური პოლიტიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010 ▪ კანონი ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ, 1998 ▪ კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ, 2003 ▪ სახელმწიფო ბაჟის შესახებ, 1998 ▪ კანონი კონკურენციის შესახებ, 2012 ▪ კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, (მიიღება ყოველწლიურად)

პრივატიზაცია და მიწის გეგმარება	<ul style="list-style-type: none"> ▪ კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010 ▪ კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, 2007 ▪ კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ, 1996 ▪ კანონი სივრცითი მოწყობის და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ, 2005 ▪ კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, 2008 ▪ კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ, 1999
ლიცენზიების და ნებართვების გაცემა	<ul style="list-style-type: none"> ▪ კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, 2005 ▪ კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2007
თვითმართველობის ორგანოების კომპეტენცია	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 ▪ ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი, 2014
გარემოსდაცვა	<ul style="list-style-type: none"> ▪ კანონი წყლის შესახებ, 1997 ▪ საქართველოს ტყის კოდექსი, 1999 ▪ კანონი ტყის ფინდის მართვის შესახებ, 2010 ▪ კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996 ▪ კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ, 1994 ▪ კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996

ტაბულა 3. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ქართული ეროვნული კანონმდებლობა
(წყარო: საქართველოს „საკანონმდებლო მაცნის“ ელექტრონული მონაცემთა ბაზა)

კანონის აღსრულება

რეგულაციები, რომლებიც განპირობებულია ვიზუალური დაცვის არეალის, ანუ ბუფერული ზონის არსებობით, მოცემულია კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. კანონი განსაზღვრავს ძეგლის მესაკუთრის პასუხისმგებლობას (კანონიერი მოსარგებლე). 30-ე მუხლის თანახმად მესაკუთრე ან კანონიერი მოსარგებლე შეიძლება დაჯარიმდეს, თუ დაარღვევს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ნებართვის ან შეთანხმების პირობებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და ადგენს, რომ უკანონო არქეოლოგიურ გათხრებში და/ან არქეოლოგიური ძეგლის დაზიანება ისჯება ჯარიმით ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით (მუხლი 259). ძეგლების ფიზიკური დაცვის ზონის რეჟიმის დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვნად აუარესებს ძეგლის ვიზუალურ აღქმას ან გამოყენებას, ამცირებს მის ისტორიულ-კულტურულ

ღირებულებას ან ქმნის მისი დაზიანების ან დანგრევის საფრთხეს, ასევე ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით (მუხლი 259³). მუხლი 259⁵ აღგენს პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულისთვის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ადმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსის 88 მუხლი აღგენს პასუხისმგებლობას არქეოლოგიური გათხრების წესების დარღვევისთვის 5000 ლარის ოდენობით ფიზიკური პირისთვის და 10 000 ლარს იურიდიული პირებისთვის. იგივე ქმედება ჩადენილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის მიმართ გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 9 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 15 000 ლარით. ამავე კოდექსის 89 მუხლის შესაბამისად დაცული ტერიტორიების და მათი ტერიტორიალურ-ფუქციური ზონების წესების და რეჟიმების დარღვევა ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის ფარგლებში დაჯარიმდება 60 დან 90 ლარამდე.

პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის თანახმად, საჯარიმო სანქციებს შეიძლება დაეჭვემდებაროს შემდეგი ქმედებები – უნებართვო მშენებლობა და/ან რეკონსტრუქციული ქმედებები მშენებლობის საგანგებო სივრცითი რეჟიმის მქონე არეალში, ისევე როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონაში, საკურორტო და რეკრეაციულ არეალებში; სამშენებლო დოკუმენტაციაში დადგენილი სანებართვო პირობებთან შეუსაბამობა ან მათი დარღვევა; მსგავსი ქმედებები განაშენიანების რეგულირების ნორმების სპეციალური რეჟიმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალებში. ჯარიმები აქ დასახელებული ქმედებებისთვის მერყეობს 200-დან 10 000 ლარამდე.

3. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

3.1. ზოგადი მიმოხილვა

დაინტერესებული მხარეები არიან საჯარო და კერძო ორგანიზაციები, რომლებზეც მართვის პროცესის შედეგებს გარკვეული ზეგავლენა აქვს. მართვის გეგმისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, ინიციატივებსა და შედეგების მოწონებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაციის გაცვლა, კონსულტაციები საჯარო მოსმენების გზით და თემზე ორიენტირებულ პროექტებში ჩართვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გარანტიაა.

საჯარო სექტორი

საჯარო სექტორი მოიცავს სამთავრობო სექტორსა და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციას. საჯარო სექტორი პასუხისმგებელია შეიმუშავოს კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირების, მოვლისა და დაცვისათვის. ის ასევე პასუხს აგებს კვალიფიციურ ექსპერტთა პროფესიული მსჯელობის უზრუნველყოფაზე საზოგადოების სახელით.

კულტურული და ნატურალური რესურსების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების ზრდის კვალად, საჯარო სექტორი იძულებულია მოძებნოს მართვის ალტერნატიული გზები. შედეგად, საჯარო სექტორი თანამშრომლობს კერძო და სამოქალაქო სექტორებთან, რათა აამაღლოს საზოგადოების გათვითცნობიერებულობა კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის საკითხებში. წარმოდგენილ პროექტში ეს თანამშრომლობა ასევე მოიცავს საპატრიარქოს და მონასტრის თემს.

კერძო სექტორი

კერძო სექტორი მოიცავს კერძო კორპორაციებს და არაკომერციულ საოჯახო მეურნეობებს. ტრადიციისამებრ ის როგორც განახლებადი, ისე არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ძირითადი მომხმარებელია. არაგანახლებადი რესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებლები მოიცავს სამთო მრეწველობას (მინერალები და აგრეგატები), ხოლო სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა განახლებადი რესურსების მთავარი მომხმარებელია. ფისკალური სტიმულები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად კერძო სექტორის მიერ რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების საშუალებებია.

სამოქალაქო სექტორი

სამოქალაქო სექტორი მოიცავს ზოგადად საზოგადოებას და ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებშიც საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით ერთიანდებიან რათა ინტერსებისა და კავშირების ფართო სპექტრი დაიცვან. ასეთია თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები, ადგილობრივი ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO). საჯარო სექტორი ასევე გულისხმობს რელიგიურ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს, რომელთაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მართვის მეცნიერულად გამართული პროცესის დანერგვაში.

3.2. დაინტერესებული მხარეები საპროექტო არეალში

ზოგადი მიმოხილვა

ტაბულა №4 წარმოადგენს პროექტით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეს. ტაბულის პორიზონტალური რიგები აჩვენებს დაინტერესებულ მხარეთა ზემოთხამოთვლილ კატეგორიებს მათი სპეციფიკური ინტერესებით. სვეტები მიუთითებს ამ ინტერესების სივრცულ განფენილობას. დაინტერესებული მხარეების დასადგენად და მათი ინტერესების გამოსაკვლევად მოეწყო შეხვედრები ეკლესიისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების შედეგები გათვალისწინებულია მართვის გეგმაში.

მონასტერი

გელათის მონასტერი საქართველოს სამოციქულო მართმადიდებელი ეკლესიის ქუთაის-განათის ეპარქიის ნაწილია. მონასტრის საძმო უძღვება მის მეთვალყურეობას და მცირემასშტაბიან მოვლა-პატრონობას. ძველთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტლება შეთანხმებულია და განხილულია საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრისა და მასთან არსებული სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ეპისკოპოსი, როგორც მონასტრის წარმომადგენელი, მიესალმება ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც რელიგიური ცენტრის ფუნქციის საფრთხეში ჩაგდების გარეშე გააუმჯობესებს მონასტრის, როგორც ძველის კულტურულ ღირებულებას. მონასტერი ვერ შეაფასებს შემოთავაზებული ცვლილებების გავლენას გარე სამყაროზე, ის აქცენტს აკეთებს გელათის რელიგიურ და სულიერ მნიშვნელობაზე როგორც მრევლისთვის, ისე გარე სამყაროსთვის.

მონასტერს მომხმარებელთა მრავალფეროვანი ჯგუფებისათვის სხვადასხვა ღირებულებები და ფუნქციები აქვს. ის აქტიური რელიგიური ცენტრია, რომელიც ეკლესიის ძველ ღირებულებებს ეფუძნება, თუმცა მართვისთვის თანამედროვე მეთოდებსა და ინსტრუმენტებს იყენებს. ამავდროულად, გელათის მონასტერი არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც იუნესკოს სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად უნდა იქნას დაცული⁸. ეს შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რელიგიური ფუნქციონირების მოთხოვნილებებს და არ დაემთხვეს მონასტერში მცხოვრები ბერების ცხოვრების წესს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ბევრ ტურისტს იზიდავს არამარტო საქართველოდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. ვიზიტორთა ნაკადს დროსა და სივრცეში მართვა ესაჭიროება. მონასტრის აუცილებელია ცალკეული ადგილები განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ ბერებისათვის და უნდა დაიკეტოს ვიზიტორებისათვის. გარდა ამისა, დროის გარკვეულ მომენტებში შესაძლოა დაიკეტოს ეკლესიებიც, რათა ხელი არ შეეშალოს ღვთისმსახურებას.

გელათის სამონასტრო ანსამბლი ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური წრის ინტერესის საგანს წარმოადგენს. მისი კულტურული ღირებულება სამეცნიერო კვლევისა და რესტავრაციის საგანია, თუმცა კულტურულ მემკვიდრეობას კვლავ აკლია სათანადო მოვლა-პატრონობა. ძველი არქეოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. მისი მართვა უნდა შეიცავდეს კვლევის რეალისტურ პროგრამას, რომელიც ასახავს როგორც მონასტრის, ისე მეცნიერთა ინტერესებს.

მონასტერი იმედოვნებს, რომ მართვის გეგმით შესაძლებელი იქნება რელიგიური თემისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების – იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, აკადემიური წრის და ტურისტების ინტერესების დაბალანსება.

⁸ UNESCO Operational Guidelines for the Implementation of the World Heritage Convention (Paris, 2013).

კატეგორია	დაინტერესებული მხარეები		
	მონასტერი და ბუფერული ზონა	ეროვნული სააგენტოები	საერთაშორისო სააგენტოები
საჯარო სექტორი	<ul style="list-style-type: none"> - იმერეთის რეგიონალური ადმინისტრაცია - ტყიბულის მუნიციპალიტეტი - კურსების ტერიტორიული ერთეული (თემი) - ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი - იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია 	<ul style="list-style-type: none"> - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო - მუნიციპალური განვითარების ფონდი - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - დაცული ტერიტორიების სააგენტო - ტყის ეროვნული სააგენტო - საჯარო რეესტრი - სტატისტიკის ეროვნული სამსახური 	იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი
კერძო სექტორი	ადგილობრივი მეწარმეები (საოჯახო სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები), ფერმერები, ხელოსნები, წვრილი მოვაჭრეები მონასტრის საიხლოვეს	მეწარმეთა ეროვნული სააგენტოები, ეროვნული ტურისტული სააგენტოები	
სამოქალაქო სექტორი	არაკომერციული ორგანიზაციები		
მოსახლეობა	ადგილობრივი		
რელიგიური ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> - ქუთაის-გაენათის ეპარქია - მონასტრები 	საქართველოს სამოციქულო მართმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო	
საგანმანათლებლო და აკადემიური ინსტიტუციები	<ul style="list-style-type: none"> - სკოლები - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ქუთაისის მუზეუმები - ადგილობრივი ექსპერტები 	სპეციალიზირებული ექსპერტები	

ტაბულა 4. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გეგმათის მონასტრისა და მისი ბუფერული ზონის მართვით დაინტერესებული მხარეები

საჯარო სექტორი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზოგადი სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ და მათი განხორციელების კოორდინაციის უზრუნველყოფ მთავარ ორგანოს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პროცესები საჭიროებს უფრო მაღალ დონეზე კოორდინაციასა და ვალდებულებებს, სამინისტროთაშორისო საკონსულტაციო საბჭო ამზადებს რეკომენდაციებს მინისტრისათვის. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 იანვრის №66 ბრძანებით, შეიქმნა **იუნესკოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის** საკონსულტაციო ორგანო, რამაც უნდა უზრუნველყოს იუნესკოს პროგრამებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყოს იუნესკოს პრიორიტეტების შესაბამისი პროგრამების განვითარებას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოს. 2015 წელს კულტურული მემკვიდრეობის კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციულ და იურიდიული აქტების გამოცემასთან დაკავშირებული რიგი უფლებამოსილებები სამინისტრომ გადასცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამის შემდეგ სააგენტო წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის ვიზუალური მთლიანობის დაცვას მის დაცვით ზონაში.

სააგენტო უწევს აუცილებელ კონსულტაციას ადგილობრივ მუნიციპალიტეტს განვითარების პროექტებსა და მშენებლობებზე. სააგენტოს გენერალური დირექტორის რეკომენდაცია სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის კანონით და წარმოადგენს სამშენებლო ნებართვებს გაცემის პროცესის ნაწილს. ბუფერულ ზონაში ახალი მშენებლობებისა თუ რეკონსტრუქციების ყველა განაცხადი, ინფრასტრუქტურისა და მიწის სამუშაოების ჩათვლით, საჭიროებს სააგენტოს **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის განყოფილების** მიერ დამტკიცებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო წარმოადგენს სააგენტოს გენერალური დირექტორის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტის მიერ შევსებულ განაცხადებს და ამზადებს რეკომენდაციებს გენერალური დირექტორისთვის. სააგენტო სრულად აკონტროლებს პროცესებსა და ზრუნავს, რომ ახალი მშენებლობები ჰარმონიულად იყოს ინტეგრირებული კულტურულ ლანდშაფტში, რათა არ დაირღვეს ძეგლის განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება.

ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი 1981 წელს დაარსდა და ქუთაისის და ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე ყველა ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლს ზედამხედველობს. 2008 წელს ის შეუერთდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და ამჟამად მისი ნაწილია. მუზეუმ-ნაკრძალი მონაწილეობას იღებს საკონსერვაციო და კვლევითი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სააგენტოსთან ერთად, ის უშუალოდ არის პასუხისმგებელი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – გელათის მონასტრის მეთვალყურეობასა და მოვლა-პატრონობაზე. მუზეუმ-ნაკრძალის ადგილობრივი თანამშრომლები უზრუნველყოფენ ტექნიკურ კონსულტაციასა და რჩევას მონასტრის საძმოსთვის ძეგლზე მცირე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. სააგენტოს **კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის ჯგუფთან** ერთად, მუზეუმ-ნაკრძალი ხელმძღვანელობს ამ ზონაში მეთვალყურეობას სხვადასხვა აქტივობებზე და უკანონო ჩარევების შემთხვევაში იყენებს საჭირო იურიდიულ პროცედურებს, რათა მაშინვე იქნას ეს აქტივობები შეჩერებული.

მართვის ფართო ხედვა, რასაც მხარს უჭერს იუნესკო, ითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი დაინტერესებული მხარე იყოს ჩართული. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული კომუნიკაციის სისტემა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან სამთავრობო დაწესებულებების და ინსტიტუციების ნაწილი, რომელთა მონაწილეობაც სასარგებლო იქნებოდა მართვის გეგმის მიზნების მისაღწევად, საკმარისად არ არიან ჩართულნი მართვის პროცესში. ესენია:

- **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო:** ახორციელებს დაცული ტერიტორიების სახელმწიფო პოლიტიკას, ავითარებს და ამტკიცებს გარემოსდაცვით ნორმებთან და წესებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, ახორციელებს დეპარტამენტებს შორის კოორდინაციას და ამყარებს საერთაშორისო კონტაქტებს. ის ასევე ბუნებრივი რესურსების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელია; აწესებს მდინარეებისა და ტყეების დაცვის ზონებს; მასვე ეხება სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების მონიტორინგი, გამოყენება და აღდგენა.
- **საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო:** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოა, რომელიც აწესებს დაცული ტერიტორიების საზღვრებს, ამ ტერიტორიებზე გამოსაყენებელ რეჟიმებს, ქმედების ფორმებს, ტურისტულ მარშრუტებს; ავითარებს პროექტებს, ზედამხედველობას უწევს მათ განხორციელებას, აკონტროლებს მდგომარეობას. მისი ადგილობრივი ორგანოა **იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია**, რომელიც პასუხისმგებელია გელათის სიახლოვეს მდებარე ბუნების ძეგლების, მათ შორის სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის (330 ჰა), სათაფლიის ალკეითილის (34 ჰა) და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის (46.6 ჰა) მართვაზე.
- **ეროვნული სატყეო სააგენტო:** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოა, რომელიც ზრუნავს და იცავს ტყეს, მეთვალყურეობს და კოორდინაციას უწევს ტყესთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და მონაცემთა ბაზას, გეგმავს შესაბამის ქმედებებს ტყის არალეგალური გამოყენების ასაკრძალავად, უკანონო ქმედებების შემთხვევაში ითვლის დანაკარგს კომპენსაციის მიზნით.
- **საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:** ზრუნავს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებასა და განხორციელებაზე, შეიმუშავებს შესაბამის ნორმატივებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ახორციელებს რეგიონალური განვითარების მასშტაბურ პროგრამებს, ავითარებს და აღადგენს საინჟინრო და სატრანსპორტო ქსელს, მართავს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონებს.
- **მუნიციპალური განვითარების ფონდი:** მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციურ და ფინანსურ გაძლიერებას, დებს ფინანსურ რესურსებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში, ადგილობრივი თემებისთვის აუმჯობესებს პირველადი ეკონომიკური და სოციალური სერვისების მდგრადი განვითარების ბაზას. ფონდი პასუხისმგებელია იმერეთის რეგიონისთვის მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონალური განვითარების მეორე პროექტის განხორციელებაზე. ერთ-ერთი ქვეპროექტი „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის ინტეგრირებული რევიტალიზაცია“ ხორციელდება გელათის მონასტრის ტურისტული ინფრასტრუქტურისა და წყლით მომარაგების სისტემის

გასაუმჯობესებლად. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა გელათის მონასტერთან დაკავშირებული რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და წინამდებარე მართვის გეგმის მომზადება.

- **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:** ავითარებს ტურიზმის ინდუსტრიას, ქმნის ახალ ტურისტულ მარშრუტებს, ქმნის ტურიზმისათვის ხელსაყრელ პირობებს; აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს; წვრთნის სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საინფორმაციო პოლიტიკას.
- **საქართველოს საჯარო რეესტრი:** აგროვებს და მოთხოვნის შესაბამისად გაცემს ადმინისტრაციულ ინფორმაციას მიწის ნაკვეთების, მათი მეპატრონეების, ტერიტორიების, რეგისტრაციის, ცვლილებებისა და რეესტრის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების შესახებ.
- **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური:** იკვლევს და გაცემს ინფორმაციას დემოგრაფიული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სექტორების შესახებ. მისი ერთ-ერთი რეგიონალური ოფისი ქუთაისში მდებარეობს.
- **იმერეთის რეგიონალური ადმინისტრაცია:** ახორციელებს კომუნიკაციასა და კოორდინაციას ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის მართვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობს სხვადასხვა პროექტების განვითარებასა და მონიტორინგში.

საპროექტო ტერიტორია ტყეზულის მუნიციპალიტეტის იურისდიქციაში შედის და კურსების ტერიტორიული ერთეულის (თემის) ნაწილია. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალური და ადგილობრივი ხელმძღვანელობები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განვითარებაში და მეთვალყურეობენ მათ განხორციელებას. ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით ისინი განიხილავენ და ამტკიცებენ ურბანული განვითარების დოკუმენტებს და მეთვალყურეობას უწყვენ ბუფერულ ზონაში დადგენილი რეჟიმის დაცვას. ადგილობრივი ხელისუფლება გარკვეულწილად მონაწილეობს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობაში, რაც გამოიხატება ტრანსპორტის, გზების, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების გატანის და ა. შ. საკითხების მოგვარებაში.

კერძო სექტორი

ამ სეგმენტის პირველი ჯგუფი მოიცავს სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს მდებარე სავაჭრო დახლების მფლობელებსა და წერილ მოვაჭრეებს, რომლებიც ხელნაკეთ ნივთებსა და სუვენირებს ყიდიან. დღეისათვის ეს სეგმენტი დაახლოებით 30 ადამიანს შეადგენს. მათი უმეტესობა გელათში, ნაწილი კი მოწამეთაში მუშაობს. ეს ჯგუფი უშუალოდ სარგებლობს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებით, რადგან შემოსავალი ტურიზმიდან აქვთ. მართალია, ეკონომიკური თვალსაზრისით ამ სექტორის მოცულობა მცირეა, მაგრამ ის მნიშვნელოვანია მოვაჭრეებისა და მათი ოჯახებისათვის როგორც შემოსავლის წყარო. მოცულობის ზრდის პოტენციალი მცირეა, თუმცა მოგება შესაძლოა გაიზარდოს, თუ გაიყიდება მეტი ღირებულებითი ღირებულების პროდუქცია.

მეორე ჯგუფია ტურისტული სააგენტოები და გიდები. მათი მომსახურების გაყიდვის დღევანდელი მოცულობა უცნობია, თუმცა სეგმენტს გაზრდის პოტენციალი აქვს, თუ მომსახურება წახალისებული იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

მესამე ჯგუფი მოიცავს საოჯახო სასტუმროებს, რომლებიც ტურისტულ ჯგუფებსა თუ ინდივიდუალურ ტურისტებს ღამისთევის მომსახურებას სთავაზობს. ამჟამად

ყველა სასტუმრო საოჯახოა. ამ ჯგუფს გაფართოების პოტენციალი აქვს. ზოგიერთი საოჯახო სასტუმრო მცირე სესხებით და დონორებისგან მიღებული მცირე დაფინანსებით განახლდა. არსებობს შესაბამისი კურსები ამ სექტორში დასაქმებული ხალხის გადასამზადებლად.



ფოტო 11. წვრილი მოვაჭრეები გელათის მონასტრის შესახველეთან (2013)

სამოქალაქო სექტორი

ადგილობრივი მოსახლეობა ორ ძირითად პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველი, გაეროს ორგანიზაციის ათასწლეულის მიზანთაგან ერთ-ერთი – წყლის სისტემის და სანიტარული პირობების გაუმჯობესებაა. არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, აზიანებს ბუნებასა და ლანდშაფტს და უარყოფით გავლენას ახდენს ტურიზმზე. უფრო მეტიც, ის ხელს უშლის ბუნებრივი რესურსების წარმოებასა და წყლისა და ჰაერის ხარისხის რეგულირებას. შემდეგი საფრთხეა შეშის უკონტროლო მოხმარება. ის მახლობელი ტყეებში მოიპოვება, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს ბუფერული ზონის ლანდშაფტზე. სასწრაფო ზომებია მისაღები შეშის ალტერნატივის უზრუნველსაყოფად. როგორც ზემოთ ითქვა, მთავრობა ამჟამად წყლით მომარაგების და სანიტარული პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობს, ასევე საპროექტო ტერიტორიამდე გაჰყავს გაზის მილები. თუმცა, მოსახლეობაში არის შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ახალმა რეგულაციებმა შესაძლოა გამოიწვიოს მიწისა და რესურსების მოხმარების და სამშენებლო საქმიანობის შეზღუდვა.

3.3. ეროვნული სააბენტოების როლი

ზოგადი მიმოხილვა

როგორც ზემოთ ითქვა, მართვის გეგმის განხორციელებაში დაინტერესებული მხარეები მთავარ როლს თამაშობენ ეროვნულ დონეზე. საპროექტო ტერიტორიის მართვა მთავრობასა და საპატრიარქოს შორის თანამშრომლობას მოითხოვს. უფრო

მეტიც, ბუფერული ზონის მდგრად მართვაში წვლილი უნდა შეიტანონ კულტურის, გარემოს დაცვისა და ეკონომიკის განვითარების სფეროს სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებმა.

ცხადია, რომ ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე თანაბარი ძალის ვერ იქნება. საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან (როგორცაა იუნესკო) და დონორებთან (როგორცაა მსოფლიო ბანკი), პირველ რიგში, ეროვნულ მთავრობას ავალდებულებენ, ვინაიდან საქართველოს ცენტრალიზირებული სამთავრობო სტრუქტურის მიხედვით ის არის გადააწვეტილებების მიმღები და არა ადგილობრივი ხელისუფლება. იმავე ნიშნით, როგორც წესი, სამთავრობო სტრუქტურებს მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებას, ხანამ ეს უკანასკნელი ძლიერ დაინტერესებულ ჯგუფად არ ჩამოყალიბდება. როგორც აღინიშნა, საპატრიარქოს განსაკუთრებული როლი ენიჭება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რადგან მონასტრები ერთდროულად ეროვნულ კულტურულ ძეგლებსა და რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენენ.

ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, ცენტრალური ორგანიზაციების როლი უნდა იყოს პოლიტიკისა და სტრატეგიების განსაზღვრა, განსახორციელებელი გეგმების დამტკიცება, რესურსების უზრუნველყოფა მათ განსახორციელებლად და შედეგების შემოწმება. ადგილობრივი დაწესებულებების როლი გეგმების მომზადებასა და მათ განხორციელებაში მდგომარეობს. ცხადია, რომ ეს შესაბამისი კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი და გამყარებული სავალდებულო რეგულაციების შემოღებით.

საჯარო სექტორი

ამჟამად გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის პროცესში შემდეგი ინსტიტუციები მონაწილეობენ:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს ზოგად სტრატეგიას, ავითარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკას და კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პროცესები საჭიროებენ უფრო მაღალ დონეზე კოორდინაციასა და ვალდებულებებს, სამინისტროთაშორისო საკონსულტაციო საბჭო ამზადებს რეკომენდაციებს მინისტრისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის ვიზუალური მთლიანობის დაცვას კანონით დადგენილ დაცვით ზონაში. სააგენტო უწევს აუცილებელ კონსულტაციას ადგილობრივ მუნიციპალიტეტს განვითარების პროექტებსა და მშენებლობებზე. სააგენტოს გენერალური დირექტორის რეკომენდაცია სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის კანონით და წარმოადგენს სამშენებლო ნებართვებს გაცემის პროცესის ნაწილს. ძეგლის ფიზიკური კონსერვაცია ასევე სააგენტოს მოვალეობაა. კანონის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხში შეტანილ შენობებზე, მათ შორის გელათის მონასტრის ნაგებობებზე ნებისმიერი ტიპის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების ნებართვას სააგენტო გასცემს.

კერძო სექტორი

ამ სეგმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია ეროვნული სავაჭრო ორგანიზაციები და ტურიზმის განვითარების სააგენტო.

სამოქალაქო სექტორი


პროცესში ჩართულია საქართველოს სამოციქულო მართმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო, როგორც ქვეყნის ყველა ქრისტიანული მართმადიდებლური ძეგლის მესაკუთრე. ეროვნული სააგენტოს მიერ ძეგლზე რესტავრაცია/კონსერვაციის ნებართვის გაცემამდე კანონი ფორმალურად ითხოვს მფლობელის თანხმობას. რელიგიური ხელოვნებისა და არქიტექტურის საბჭოს თავმჯდომარეა პატრიარქი. საბჭო ეკლესიის სახელით თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და ეკლესიის ხელმძღვანელობას ყველა საფეხურზე რეკომენდაციას უწევს სათანადო ჩარევების შესახებ.

4. შეფასება

4.1. ზოგადი მიმოხილვა

შეფასება მოიცავს გარემოს მახასიათებლების შეფასება შემდეგი მიზნით:

- სივრცითი გეგმის მომზადება ტერიტორიულ ერთეულებით, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც კონსერვაციის მართვის, ასევე განვითარების გეგმების საფუძვლად.
- გარემოს შეფასების განხორციელება იმ საკითხების გამოსავლენად, რომლებიც კონსერვაციის გეგმაში უნდა აისახოს.
- ეკონომიკური განვითარების პოტენციალის შეფასება.
- მართვის განხორციელებისათვის წამყვანი ორგანიზაციების განსაზღვრა.
- მიმდინარე პროექტების გამოვლენა.



ტაბულა 5. გარემოს დაგეგმარების ჩარჩო

ევროპის ლანდშაფტის კონვენციის (ELC) მიხედვით ლანდშაფტი წარმოადგენს არეალს, რომლის მახასიათებლები წარმოადგენს ბუნებრივი და/ან ადამიანური ფაქტორების მოქმედებებისა და ურთიერთქმედების შედეგს. ლანდშაფტები გარემოს ძირითადი სისტემის გარეგნული გამოხატულებაა. სისტემის გამარტივებული ანალოგია შეიძლება დაგვეხმაროს ამ ფაქტორების აღწერასა და მათი ურთიერთქმედების გაგებაში.

ლანდშაფტის დაგეგმარებისადმი ELC-ის მიერ მხარდაჭერილი მიდგომა მოცემულია ცხრილ 5-ში. შუაში მოცემული რომბი წარმოადგენს ლანდშაფტის ან გარემოს დაგეგმარებას. იგი მოიცავს სივრცით დაგეგმარებას და ასევე, კონსერვაციულ დაგეგმარებას. სივრცითი დაგეგმარება აღწერს ლანდშაფტის სტრუქტურას და ლანდშაფტის სხვადასხვა ელემენტებს გარემოსდაცვით ფუნქციებს აკუთვნებს.

კონსერვაციული დაგეგმარება აღწერს სხვადასხვა სივრცითი ელემენტების ატრიბუტებს და შესაბამისი ბუნებრივი, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების, როგორც მართვის საფუძვლის, შეფასებას ახდენს.

ეს მიდგომა გამოიყენება წარმოდგენილ კვლევაშიც. შედეგები აღწერილია მომდევნო თავებში.

დაგეგმარება ურბანულ ტერიტორიებზე ძირითადად ორიენტირებულია სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე. სასოფლო ტერიტორიების დაგეგმარებისას, ხშირად უფრო მნიშვნელოვანია კულტურული ასპექტები და ლანდშაფტი. საპროექტო არეალის სასოფლო დანიშნულების მხედველობაში მიღებით, ამ კვლევაში გამოიყენებთ მეორე მიდგომას.

4.2. ზონირება


გარემოს სისტემები შედგება ბუნებრივი და ანთროპოგენური ელემენტებისაგან, რომელთაგან თითოეულს კონკრეტული ფუნქციები გააჩნია და რომლებიც, მთლიანობაში ლანდშაფტის ღირებულებას, ისევე როგორც მის ბუნებრივ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ღირებულებას განსაზღვრავენ. ძირითადი ბუნებრივი ელემენტებია – ჰაერი, წყალი და მიწა, ფლორასთან და ფაუნასთან ერთად. მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ელემენტებია დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, განაშენიანებული გარემო და ფიზიკური ინფრასტრუქტურა.

სივრცითი ერთეულები განისაზღვრა ტერიტორიის აღწერის შედეგად, რომლებიც თავის მხრივ ზონირების საფუძვლად შეიძლება იქნას გამოყენებული. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით არეალი შედგება მდინარის, ტაფობისა და გარშემორტყმული მთისწინეთისაგან. აღნიშნული გეომორფოლოგიური მახასიათებლები მეტწილად განსაზღვრავენ მცენარეული საფარისა და ადამიანის მიერ გამოყენების ხარისხს.

ტაფობი გამოიყენება დასახლებებისა და სოფლის მეურნეობისათვის. მთისწინეთის ქვედა ფერდობები დაფარულია ტყეებით და მდელოებით და გამოიყენება ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ საქონლის საძოვრად, თივის დასამზადებლად და ხის ჭრისათვის. რაც შეეხება უფრო მაღალ სიმაღლეზე არსებულ ტყეებს, ისინი ჯერ კიდევ მეტნაკლებად ბუნებრივი სახით არის წარმოდგენილი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ტერიტორიულ-ფუნქციონალური ერთეულების არჩევა (როგორც ეს მოცემულია სურათ 8-ზე).

ატრიბუტები წარმოადგენს ლანდშაფტის ელემენტების არსებობისა და გამოყენების ღირებულების განსაზღვრისათვის საჭირო პარამეტრებს. მთლიანობა და აუთენტურობა წარმოადგენს ამ ატრიბუტების შეფასების კრიტერიუმებს. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირმა განსაზღვრა ატრიბუტების კომპლექტი ბუნების მდგომარეობის შესაფასებლად. იუნესკომ მოამზადა პროცედურები შესაბამისი კულტურული ატრიბუტების ღირებულების შესაფასებლად. სოციალური და ეკონომიკური ატრიბუტები გამოიხატება ინდიკატორების მეშვეობით, მაგალითად, მოსახლეობა 1 მ²-ზე, შემოსავალი ერთ სულზე, არეალის მთლიანი შიდა პროდუქტი და აქტივების ღირებულება.

გარემოს სისტემები დინამურია. დროთა განმავლობაში ღირებულებები იცვლება ამ ელემენტებს შორის პროცესებისა და ელემენტებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.



სურათი 8. ტერიტორიულ-ფუნქციონალური ერთეულები

ბუნებრივ პროცესები წარმოქმნის რესურსებს და არეგულირებს ბუნებრივ გარემოს. ადამიანი იყენებდა ამ რესურსებს გადარჩენისათვის და ხელოვნური გარემოს ასაშენებლად, რომლის ნაწილიც ჯერ-კიდევ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება. დღეისათვის, ადამიანი კვლავაც იყენებს ამ რესურსებს საკუთარი სოციალური და ეკონომიკური საქმიანობებისათვის, მაგრამ მოსახლეობის ზრდამ და ტექნოლოგიურმა მოვლენებმა გამოიწვიეს რესურსების მოხმარების, ისევე როგორც ნარჩენი პროდუქტების ბუნებაში გაშვების გეომეტრიული პროგრესით ზრდა.

დღეისათვის ბუნებისა და კულტურის ურთიერთქმედებას, ძირითადად, უარყოფით შედეგები მოაქვს, ვინაიდან იგი იწვევს ძველების გაქრობასა და დაზიანებას ბუნებრივი კატასტროფების შედეგად. აღნიშნული შედეგები ნათლად შეიმჩნევა საპროექტო არეალში და განხილულია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის გენერალურ გეგმაში.

ურთიერთქმედება ბუნებასა და ადამიანს შორის უფრო რთულია. შედეგები, ზოგადად, პოზიტიურია ადამიანისათვის, ბუნება ქმნის რესურსებს და არეგულირებს საცხოვრებელ პირობებს. სწორი მართვის შემთხვევაში, ბუნებამ, შესაძლებელია წარმოშვას ახალი შესაძლებლობები მდგრადი ზრდისათვის. ადამიანის მიერ რესურსების მდგრადია გამოყენების შემთხვევაში, უარყოფითი შედეგები ბუნებაზე უმნიშვნელოა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, რესურსების უკონტროლო გამოყენებამ რესურსების განლევა და ეკოსისტემების დეგრადირება გამოიწვია.

ხის უკანონო ჭრა და ნარჩენი წყლების უკონტროლო დაღვრა წარმოადგენს მაგალითებს, რომლებმაც გამოიწვიეს საპროექტო არეალში ეკოსისტემების დეგრადირება.

და ბოლოს, სოციალურმა და ეკონომიკურმა საქმიანობებმა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინონ ძველების მთლიანობაზე, აუთენტურობასა და გამოყენებაზე. ისტორიულ-კულტურული ძეგლების გავლენა საზოგადოებაზე დადებითია, ვინაიდან იქმნება სტიმული ახალი სოციალური, რელიგიური და ეკონომიკური საქმიანობებისათვის. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი ამის გამოხატულებაა. მნახველთა ჯგუფებმა შესაძლოა ხელი შეუშალონ მისი, როგორც რელიგიური ცენტრის ფუნქციონირებას. თუმცა, ამავე დროს, ტურიზმი ადგილობრივი თემისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

საპროექტო არეალის საზღვრებში არსებული აღნიშნული ურთიერთქმედებები მნიშვნელოვანია და მართვის გეგმაში უნდა აისახოს. არეალის საზღვრებს გარეთ ამ ურთიერთობების დარეგულირება რთულია და სწორი მართვის კონტროლს არ ექვემდებარება. მაგალითად, დაბინძურება წყლისა, რომელიც ტერიტორიაზე მიედინება; მტვერი და ჰაერის დაბინძურება, რომელიც წვიმის, ქარის ან მიწისძვრის შედეგად ხდება საპროექტო არეალში. ასევე რთულია სოციალური და ეკონომიკური კავშირების დარეგულირება საპროექტო არეალის ტერიტორიასა და მიმდებარე ტერიტორიებს შორის.

ზემოაღნიშნული პირდაპირი ურთიერთქმედებების მაგალითებს წარმოადგენს. ხშირად, არაპირდაპირ ურთიერთქმედებასთანაც გვაქვს საქმე – მაგალითად, ჰაერის დაბინძურება, რომელმაც ძველების მთლიანობაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს. ადამიანის მიერ ხის ჭრამ შესაძლოა შეცვალოს ფერდობების მდგრადობა. მდინარეთა ჰიდროლოგიურმა რეჟიმმა მეწყერი და წყალმოვარდნები შეიძლება გამოიწვიოს.

A. ბირთვი / მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, მონასტრის კომპლექსი (კულტურული ზონა). მოცემულ ტერიტორიას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს.

B. ბუფერული ზონა შემდეგი კომპონენტებით:

1. არეალი, სადაც ადამიანის მიერ ტერიტორიის გამოყენება ინტენსიურია და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება მაღალია (ნარინჯისფერი):
 - კურსების ტაფობის აღმოსავლეთი მხარე (საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია, 1.54 მ²)
 - გელათის ტაფობი (საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია, 1.99 მ²)
 - მოწამეთას პლატო (საცხოვრებელი არეალი და კირქვის კარიერი, 1.89 მ²)
2. არეალი, რომელსაც ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება გააჩნია (ღია მწვანე):
 - მდ. წყალწითელას დასავლეთით მთის ფერდობები (ტყეები და საძოვრები, 2.18 მ²)
 - კურსების ტაფობის დასავლეთ ნაწილი (ტყეები და მდელოები, 1.3 მ²)
 - გელათის ტყეები (დოხორას მასივის ტყისწინეთი და ფერდობები, 1.98 მ²)
3. არეალი განსაკუთრებული ბუნებრივი მახასიათებლებით, რომელიც საჭიროებს სპეციალურ დაცვას (მუქი მწვანე):
 - მდ. წყალწითელა (0.84 მ²)
 - მოწამეთას ხეობა და ტერიტორიები მდინარეთა გასწვრივ (გეოლოგიური ფორმაცია და თვალწარმტაცი ლანდშაფტი, 0.73 მ²). წყალწითელას ხეობასა და მდ. წყალწითელას ნაწილს ბუნების ძეგლის (დაცული ტერიტორიების მე-III კატეგორია) სტატუსი აქვს (ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) და დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). ასევე ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს საკაჯიას მღვიმეს, რომელიც ამ ტერიტორიაზე მდებარეობს.

4.3. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბანსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება და სხვა ღირებულებები

კულტურული ღირებულება

ძეგლის უმნიშვნელოვანესი კულტურული ღირებულება მისი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეყვანის საფუძველს წარმოადგენს. ქვემოთ მოყვანილი ტექსტი დაფუძნებულია გამორჩეული უნივერსალური ღირებულების დასაბუთებაზე, რომელიც *საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის* დონეზეა მოცემული.

გელათის მონასტერი საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს. ის გამორჩეულია გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმით, კარგად გააზრებული გეგმარებითი კონცეფციითა და მასში შემავალ ნაგებობათა და მათი შემკულობის მაღალი მხატვრული და ტექნიკური ხარისხით.

გელათის მონასტერი არის შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანის“ კულტურული და ინტელექტუალური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში, იმ პერიოდის აღმოსავლეთ საქრისტიანოს კულტურის ერთ-ერთი უმაღლესი გამოხატულება. მონასტერი დაარსებისთანავე არ ყოფილა ჩაფიქრებული როგორც უბრალოდ რელიგიური დაწესებულება. მეფე დავითს სურდა შეექმნა იმ პერიოდის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერებისა და განათლების ცენტრი. მან მონასტერში აკადემია დააფუძნა და დიდი ძალისხმევით შედეგად იქ შეკრიბა როგორც საქართველოში ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი

მოაზროვნეები. თანამედროვეები გელათის მონასტერს ათენსა და იერუსალიმს ადარებდნენ, რაც ხაზს უსვამდა გელათის მონასტრის, როგორც საერო, ასევე სასულიერო ცოდნის, ფილოსოფიისა და ღმრთისმეტყველების ცენტრის მნიშვნელობას.

კრიტიკიუმთან შესაბამისობის დასაბუთება

გელათის მონასტერი თვალნათლივ გვიჩვენებს ზოგადად შუა საუკუნეების ბიზანტიური პერიოდისა და კერძოდ, საქართველოს „ოქროს ხანის“ კულტურულ და ინტელექტუალურ განვითარებას. ესაა „ოქროს ხანის“ ხუროთმოძღვრული შედეგები, ამ არქიტექტურული სტილის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც ხასიათდება კარგად თლილი, დიდი კვადრების წყობით, ჰარმონიული პროპორციებითა და გარე ფასადების დეკორაციული თაღნართი დამუშავებით. მონასტრის მთავარი ტაძარი ჩაწერილი ჯვრის ტიპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუშია, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა VII საუკუნის შემდგომი პერიოდის აღმოსავლეთ საქრისტიანოს საეკლესიო არქიტექტურაში.

გელათი არის შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მართლმადიდებლური მონასტერი, რომელიც გამოირჩევა გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმითა და კარგად გააზრებული გეგმარებითი კონცეფციით.

აღმოსავლეთ მცირე აზიასა და კავკასიის ვრცელ ისტორიულ რეგიონში გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი შუა საუკუნეების ერთადერთი ნაგებობაა, სადაც დღემდე კარგადაა შემორჩენილი მოზაიკური დეკორი. აფსიდის მოზაიკა, სადაც წარმოდგენილია ჩვილელი ღმრთისმშობელი ორ მთავარანგელოზს შორის, წარმოადგენს გამორჩეული მაღალმხატვრული ღირებულების მქონე მოზაიკურ კომპოზიციას, რომელიც თავისუფლად შეიძლება გვერდით დაუდგეს ბიზანტიური მოზაიკების საუკეთესო ნიმუშებს. გარდა ამისა, გელათის ეკლესიებმა და ეგვიტრებმა შემოგვინახა შუა ბიზანტიური, გვიანი ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური პერიოდის ვრცელი ფერწერული ანსამბლი. ისინი გვიჩვენებენ მეფე-დელოფალთა და საეკლესიო პირთა 40-ზე მეტ პორტრეტს. მთავარი ტაძრის ნართექსის მოხატულობა შეიცავს შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების უადრეს გამოსახულებებს.

გელათის მონასტერი, რომელიც დავით აღმაშენებლის სამეფო ძალაუფლების სიმყარისა და სიძლიერის პოლიტიკური მოწმობა იყო, წარმოადგენდა ძალაუფლების იმპერიული იდეის ქართულ გააზრებას. ესაა შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანის“ ყველაზე ძლიერი ვიზუალური სიმბოლო.

ავთენტურობა და მთლიანობა

მთლიანობის დასაბუთება

გელათის მონასტრის მთლიანობა, მისი ერთიანობა, დასრულებულობა და ხარისხი შეფასებულ იქნა ძეგლისთვის შემოთავაზებული გამორჩეული უნივერსალური ღირებულების განსაზღვრების შესაბამისად. ეს შეფასება გვიჩვენებს, რომ გელათს მთლიანობის მაღალი ხარისხი გააჩნია.

გელათი საქართველოში არსებულ მონასტერთა შორის ყველაზე დიდი და აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონასტერია. ის შედგება მთავარი ტაძრის, ორი სხვა ეკლესიის, სამრეკლოს, ორი კარიბჭის, აკადემიის შენობისა და სხვადასხვა დანიშნულების, მეორეხარისხოვანი სამონასტრო ნაგებობებისაგან. მონასტრის ეს ნაგებობები გაშლილია ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც ქვის გალავნითაა შემოსაზღვრული.

მონასტრის ტერიტორია მთლიანად ჩართულია ნომინირებულ ძეგლში, რაც სრულად პასუხობს ერთიანობის ცნებას. ძეგლის საზღვრები საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ

კარგად წარმოაჩინოს ის მახასიათებლები, რომელიც გვიჩვენებს მის მნიშვნელოვანებასა და გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას.

საუკუნეების განმავლობაში ძველის არცერთი თავდაპირველი მნიშვნელოვანი დეტალი არ იქნა დაკარგული. მონასტრის მთავარი ნაგებობები – სამი ეკლესია და სამრეკლო, აგებული XII–XIII საუკუნეებში – თითქმის ხელუხლებლადაა შემორჩენილი, გარდა გადახურვისა, რომელიც გამოცვლილ იქნა როგორც შუა საუკუნეებში, ასევე თანამედროვე პერიოდშიც. ახლახან წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ აკადემიის შენობის ქვეშ კარგად შემორჩენილი სამშენებლო ნაშთებია. ერთადერთი შენობა, რომელმაც გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში განიცადა არსებითი დაზიანება, აკადემიის შენობა იყო. მან დაკარგა თავდაპირველი ხის კოჭოვანი გადახურვა. მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, 2009 წელს შენობა აღდგენილი იქნა. მთლიანობაში, მას შემდგომ, რაც მონასტერი 1994 წელს მოხვდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, რაიმე სახის არსებითი ცვლილება, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა ძველის მთლიანობას, აქ არ განხორციელებულა.

მთავარი ტაძრის მოზაიკამ ჩვენამდე კარგ მდგომარეობაში მოაღწია. დღეს მოზაიკა აფსიდის კონქს მოიცავს (თითქმის 50 კვ. მ. ფართობს). მისი ქვედა ნაწილი 1510 წლის ხანძრის დროს დაზიანდა და შემდგომ ათწლეულებში მხატვრობით იქნა ჩანაცვლებული. მოზაიკის გამაგრებისათვის საკონსერვაციო სამუშაოები 1985-1986 წლებში ჩატარდა. ნაწილობრივია დაზიანებული XII-XIII საუკუნეების კედლის მხატვრობა ნართექსსა და წმ. ანდრიას სახელობის ეგვტერში. მთავარი ტაძრისა და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის გვიანი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა შედარებით უკეთესადაა დაცული.

გელათი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, გელათი სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის მხრიდან მუდმივად განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მასზე ზრუნვა ყოველთვის სათანადოდ მიმდინარეობს. დღეს მონასტერზე ძირითადად ბერები ზრუნავენ, რაც ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არაა. ხანდახან უმნიშვნელო პრობლემები (მაგ.: ჩამსხვრეული სარკმლების გამოცვლა) გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ გვარდება.

ზოგადად, ძველის ფიზიკური ქსოვილი კარგ მდგომარეობაშია. გარკვეული პრობლემები არსებობს, მაგრამ ისინი კონტროლს ექვემდებარება. ძველის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება დაცულია ძველთან დაკავშირებით მიღებულ ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებებში. საფრთხის დონე დაბალია. ძველის არცერთ მნიშვნელოვან დეტალს რაიმე სახით გადაკეთების საფრთხე არ ემუქრება, ასევე არც დაზიანება თუ მდგომარეობის გაუარესება. არანაირი ფართომასშტაბიანი სამეურნეო სამუშაოები ან შეუსაბამო ნაგებობების აგება, რომელიც ზიანს მიაყენებს ძველის ვიზუალურ ერთიანობას, არ იგეგმება.

ავთენტურობის დასაბუთება

მიუხედავად იმისა, რომ გელათი ცოცხალი ძეგლია – ღმრთისმსახურების ადგილი, საცხოვრებელი ბერებისათვის და პოპულარული სანახაობა ვიზიტორთათვის – არქიტექტურული მახასიათებლები, რომლებიც გამოხატავენ ძველის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას, სრულადაა შემორჩენილი.

ფორმა და დიზაინი. სამონასტრო კომპლექსში შემავალი მთავარი ნაგებობები მონასტრის დაარსების პერიოდით, XII საუკუნით თარიღდება. ყველა ეს ნაგებობა, ისევე, როგორც XIII საუკუნეში აგებული შენობები, ჩვენამდე კარგ ფიზიკურ მდგომარეობაშია მოღწეული. მთავარი ტაძრის კონქში შემორჩენილია თავდაპირველი მოზაიკა, ხოლო ტაძრის ნართექსში თანადროული კედლის მხატვრობაა შემონახული.

მთავარ ტაძარსა და მის ეგვიპტეში, და ასევე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში არსებული XVI და XVIII საუკუნეების კედლის მხატვრობა მონასტრის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გვიხატავს გვიან შუა საუკუნეებში მონასტრის მშფოთვარე ცხოვრებას.

არსებული ისტორიული მახასიათებლები, რომლებიც ასახავს მონასტრის მოწყობასა და ფორმის ავთენტურობას, შედგება ღმრთისმშობლის შობის მთავარი ტაძრის, აკადემიის, სამხრეთი კარიბჭის, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების, სამრეკლოსა და აკადემიის ჩრდილოეთით არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი დერეფნიანი კომპლექსის ნაშთებისაგან. ყველა ეს ნაგებობა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. XIII საუკუნიდან მოყოლებული მონასტრის გეგმარებას არანაირი არსებითი ცვლილება არ განუცდია.

მას შემდგომ რაც 1994 წელს გელათი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში მოხვდა, არქიტექტურული ანსამბლის ავთენტურ ქსოვილში ერთადერთი მნიშვნელოვანი ცვლილება 2009 წელს განხორციელდა. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულიყო აკადემიის შენობის შემდგომი დაზიანება და ნგრევა, შემორჩენილი კედლების ბუდეებისა და ფრონტონების შესწავლა-კვლევის შემდგომ, მოხდა მისი ხის კოჭოვანი სისტემით გადახურვა. ეს გადახურვა მოხსნას ადვილად ექვემდებარება.

მასალა. მონასტრის ყველა შენობა ქვითაა ნაგები. ეკლესიები და სამრეკლო ნაგებია ავთენტური კარგად თლილი დიდი ზომის კირქვის კვადრებით. ზოგიერთი მათგანი ზედაპირულადაა გამოქარული.

როგორც არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილმა მასალამ დაგვიჩვენა, თავდაპირველად, მონასტრის ნაგებობები მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული. სავარაუდებელია, რომ შენობათა გადახურვები შუა საუკუნეებში რამდენჯერმე შეეკეთებინათ. 1770-80-იან წლებში მთავარ ტაძარს გადახურვა გამოუცვალეს და ის სპილენძის ფურცლებით იქნა ჩანაცვლებული. 1962-63 წლებში მთავარი ტაძარი და სამრეკლო თუნუქით გადაიხურა. თუმცა, ეს გადახურვა არ შეესაბამებოდა მონასტრის შუა საუკუნეების არქიტექტურას. გარდა ამისა, თუნუქმა მალე დაუანგება დაიწყო და შეიქმნა ნალექის ინტერიერში ჩასვლის საშიშროება. ტაძრის სახურავის დაზიანება და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სინესტის დაგროვება 2008 წლის ივნისში იუნესკოს მისიის მიერ იქნა აღნიშნული. 2007-2016 წლებში წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის და ასევე სამრეკლოს გუმბათები მოჭიქული კრამიტით გადაიხურა. ეს ახალი კრამიტი გაკეთდა მონასტერში ნაპოვნი შუა საუკუნეების მოჭიქული კრამიტის შესაბამისად. ამ სამუშაოების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია დადებითად იქნა შეფასებული იკომოსის მიერ. მთავარი ტაძარი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის დაუანგული თუნუქითაა დაბურული.

ფუნქცია და გამოყენება. გელათი შუა საუკუნეების საქართველოში უდიდეს სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა. 900 წლის განმავლობაში, მისი დაარსებიდან დღემდე, აქ სამონასტრო ცხოვრება არ შეწყვეტილა, გარდა საბჭოთა პერიოდისა (1923-1988), როდესაც მონასტერი დაიხურა. მონასტერს თავისი პირვანდელი ფუნქცია 1988 წელს დაუბრუნდა.

მღებარეობა და გარემო. გელათის მონასტერს ყოველთვის ერთიდაიგივე მღებარეობა ჰქონდა. ის იმავე ფართობს მოიცავს რასაც XII საუკუნეში. ქვის გალავნით მოსაზღვრული ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა. მონასტრის ბუნებრივი გარემო დიდწილად შემონახულია. კომპლექსს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მთაზე გაშენებული ტყე აკრავს. დასავლეთით და ჩრდილოეთით სოფლის მაცხოვრებელთა ერთ და ორსართულიანი სახლებია. ეს სახლები მონასტრის ქვემოთ დგას და ამდენად, კომპლექსის ავთენტური ხედის დაფარვა არ ხდება. მონასტრის ახლო-მახლო მაღალსართულიანი შენობები არაა.

სულიერება. ქართველებისთვის გელათი იყო და დღემდე რჩება ეროვნული სიმბოლო, საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურული მანიფესტი. მონასტერი დღემდე ინახავს შუა საუკუნეების სულიერებას, რაც ხაზგასმულია ძეგლის ავთენტური ფუნქციითა და მისი თავდაპირველი დანიშნულებით გამოყენებით.

ამგვარად, გელათის მონასტრის გამორჩეული უნივერსალური ღირებულების მქონე მახასიათებლები პასუხობენ ავთენტურობის პირობებს. კომპლექსში შემავალ ნაგებობებს ავთენტური ქსოვილის მაღალი ხარისხი გააჩნიათ და ასევე, სივრცითი გეგმარება და ძეგლის განლაგებაც ავთენტურია. ძეგლის ძირითადი ელემენტები (ეკლესიები, სამრეკლო, სახლები და კარიბჭეები) დღემდე იმავე ფუნქციით გამოიყენება, როგორც მათ შუა საუკუნეებში ჰქონდა.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს, გარდა იმ მიზეზებისა, რომლითაც ის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში მოხვდა, დამატებით ასევე გააჩნია სხვა კულტურული და მასთან დაკავშირებული ღირებულებები.

რელიგიური ღირებულება

მონასტერი წარმოადგენს ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის რელიგიურ ცენტრს. მნახველთა რაოდენობის ზრდამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი როგორც რელიგიური ცენტრის ფუნქციონირებაზე. ეს ასპექტი ასევე უნდა აღინიშნოს მართვის გეგმაში.

ტურისტული ღირებულება

მონასტერი მთავარი ტურისტული სანახაობაა. კომპლექსს წელიწადში დაახლოებით 200 000 ტურისტი სტუმრობს (ესაა ჩასწორებული რიცხვი, რომელიც მოწოდებულია ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მიერ. *საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დონეში* მოცემული 70000-იანი მაჩვენებელი მოძველებულია).

ტურისტთა რაოდენობა კვლავ იზრდება და შესაძლოა გადააჭარბოს გამოყენების შესაძლებლობების (carrying capacity) ზღვარს, რაც საჭიროებს მნახველთა ნაკადის რეგულირებას. ეს საკითხი მართვის გეგმაში დამატებით ყურადღებას ითხოვს; ამ კუთხით, შესაძლოა, ვიზიტორთა ახალი ცენტრი იყოს სასარგებლო.

4.4. ბუფერული ზონის კმბლების კულტურული ღირებულება

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის – გელათის მონასტრის ბუფერულ ზონაში მდებარე ზოგიერთ ნაგებობას მაღალი კულტურული ღირებულება გააჩნია. ეს ძეგლებია:

სოხასტერი გელათის მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 250 მეტრში მდებარეობს. ესაა ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი, რადგანაც ის დაკავშირებულია საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცნობილი მმართველისა და გელათის მონასტრის დამაარსებლის მეფე დავით IV აღმაშენებლის სახელთან. მის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებას ემატება ის, რომ ესაა საქართველოში შემორჩენილი ერთადერთი შუასაუკუნეობრივი ნაგებობა დავრდომილთა თავშესაფრისათვის.

გელათის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტყით დაფარულ ფერდობზე მდებარე პატარა ეკლესიები ისტორიულად მჭიდროდაა დაკავშირებული მონასტერთან. ეს ნაგებობები გელათის ისტორიის განუყოფელი ნაწილებია. მათ შორის ყველაზე საინტერესოა **წმ. ელიას ეკლესია**. მისი კულტურული ღირებულება გაზრდილია მასში შემორჩენილი კედლის მხატვრობით. ეკლესია XVI საუკუნეში მოიხატა გიორგი

ჯოსტაბერიძის მიერ, რომლის ფერწერაც გვიან შუა საუკუნეებში გავრცელებული ე. წ. ხალხური ნაკადის ნიმუშს წარმოადგენს.

ციხე და სათვალთვალ კოშკი დავითის კონცხზე მდებარეობს და მისი აგებაც ტრადიციულად დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული. ისინი მნიშვნელოვანია თავიანთი არქიტექტურული და ისტორიული ფუნქციიდან გამომდინარე, აქედან ხდებოდა წყალწითელას ხეობაზე გამომავალი მთავარი გზის კონტროლი. ესაა გელათის უშუალო სიახლოვესა და მთლიანად ბუფერულ ზონაში ციხე-სიმაგრეთა არქიტექტურის ერთადერთი კარგად შემორჩენილი ნიმუში.

მოწამეთას მონასტერი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკრალური ადგილია, აქ არიან დაკრძალულნი წმინდა მოწამეები დავითი და კონსტანტინე, საქართველოში ფრიად თაყვანსაცემი წმინდანები. მონასტერი საქართველოს ისტორიის ისეთ დრამატულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, როგორცაა VIII საუკუნეში მურვან-ყრუს მეთაურობით არაბთა ლაშქრის შემოსევა და XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის მშფოთვარე მმართველობა. მისი დღევანდელი სახე, ეროვნული სტილის ძიების საინტერესო ნიმუშია XIX საუკუნის ქართული საეკლესიო არქიტექტურაში. ეკლესიის განმაახლებლები იყვნენ მშენებელი ოსტატები ბერეკაშვილების ოჯახიდან, რომლებმაც გამოიყენეს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ელემენტები, რაც მათი ხელობისთვისაა დამახასიათებელი. აგრეთვე, მონასტერი გამორჩეულია თავისი მიმზიდველი ადგილმდებარეობით, ის აღმართულია მაღალ და ვიწრო კონცხზე წყალწითელას ხეობაში.

საქართველოში არც თუ ისე ბევრი შუა საუკუნეების ხილია შემონახული, რაც განსაზღვრავს გელათის მიდამოებში შემორჩენილი **ხიდების** განსაკუთრებულ კულტურულ ღირებულებას. მონასტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 3,5 კმ-ში მდებარე მდ. ქორენას ხიდი გამორჩეულია თავისი კარგი დაცულობითა და მომხიბლავი ბუნებრივი გარემოთი.

4.5. ბუნების ღირებულება და უზენაესი

ღირებულება და ფუნქციები

მდ. წყალწითელა და წყალწითელას დასავლეთით მთის ფერდობები

მდ. წყალწითელა ლანდშაფტის დომინანტური ელემენტია, საპროექტო არეალში მდინარის სიგრძე 8 კმ-ია. მდინარის სამართლებრივი საზღვრები განისაზღვრება წყლის კანონით, მაგრამ იცვლება მორფოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე. მისი ეკონომიკური ღირებულება დაბალი, მაგრამ, ლანდშაფტის ბუნებრივი ღირებულება მაღალია. ამ მიზეზით, მდინარეს გააჩნია ბუნების ძეგლის სტატუსი, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს ბუნებრივი მახასიათებლები.

მდინარის აუზში დასავლეთით არსებული ტყის კორომები დაზიანებულია ხის ჭრის შედეგად (ტყის შეშად გამოყენება), თუმცა, ტყეებს ჯერ კიდევ გააჩნია ეკოლოგიური ღირებულება. ტყის მასივის აღდგენა გააუმჯობესებს მის ბუნებრივ ღირებულებას და მომავალში ტყის მდგრადი გამოყენების საშუალებას გაზრდის.

მოწამეთას კანიონი და მდინარის მიმდებარე ტერიტორია

ხეობას მოწამეთასა და გოდოგანის სოფლების მახლობლად, მათი დამახასიათებელი გეოლოგიური (კარსტული რელიეფი) წარმონაქმნებით, მაღალი ბუნებრივი ღირებულება გააჩნია და ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს. ტერიტორია საგრძობლად დაზიანებულია, აუცილებელია აღდგენითი ღონისძიებების ჩატარება ლანდშაფტის თავდაპირველ მდგომარეობამდე მისაყვანად, რაც მომავალში ეკოტურუზმის განვითარების შესაძლებლობასაც შექმნის მოწამეთას მონასტრის

ტერიტორიის მონახულებასთან ერთად, იგივე შეიძლება ითქვას ქვევით, მდინარის დინების მიმართულებით მდებარე ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც ქვის მიტოვებული კარიერები უნდა ამოივსოს და დახვავებული სამთო ნარჩენები გატანილ იქნას.

გელათის ტყეები

დოხორას მთაზე არსებული ტყეები გამოიყენება შეშისათვის. სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლოა მოხდეს ტყის საფარის აღდგენა და ლანდშაფტის ღირებულების მომატება, ასევე გაუმჯობესდება მეწვეურულად საშიში ფერდობების მდგრადობა.

გელათისა და კურსების ტაფობები და მოწამეთას პლატო

საპროექტო ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში ბუნებრივი და ლანდშაფტის ღირებულება დაბალია. თუმცა, ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მაღალია, ვინაიდან არეალი ძირითადად გამოიყენება დასახლებისა და სოფლის მეურნეობისათვის. კურსების ტაფობის აღმოსავლეთ ნაწილი გამოიყენება დასახლებებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის. დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია ტყის მცირე კორომები და მდელოები, რომლებიც საქონლის საძოვებლად და თივის დასამზადებლად გამოიყენება. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ნაწილში ტყის კორომების აღდგენასთან ერთად, მიწისა და რესურსების მდგრადი გამოყენების რეჟიმი საუკეთესო სტრატეგია იქნება.

გელათის ტაფობი თითქმის მთლიანად, დოხორას მთის ჩრდილოეთ ფერდობებამდე, დასახლებებისათვის გამოიყენება. მიწისა და რესურსების მდგრადი გამოყენების ზომები აქაც უნდა ამოქმედდეს.

მოწამეთას პლატო ნაწილობრივ სოფლის მეურნეობისა და დასახლებებისათვის გამოიყენება. წარსულში, აქ ასევე მოიპოვებდნენ კირქვას კარიერებიდან, რაც ზრდიდა ეკონომიკურ ღირებულებას. დღეს სამთო მრეწველობა შეჩერებულია და კარიერები – მიტოვებული, მაგრამ ნარჩენები მიმოყრილია მთელს ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნებრივ ღირებულებას. შემუშავებულ უნდა იქნას გეგმა ლანდშაფტის თავდაპირველი ხასიათის აღსადგენად.


ლანდშაფტის აღდგენის ღონისძიებები, მიწისა და რესურსების მდგრად გამოყენებასთან ერთად, ტერიტორიის მართვის საუკეთესო სტრატეგიაა. შესაძლებელია ტურიზმის, კერძოდ კი, კულტურული და ეკოტურიზმის განვითარება. ტერიტორიის სათანადო დონეზე აღდგენის შემთხვევაში, ზოგიერთი კარიერი შეიძლება გამოყენებული იქნას ღია ცისქვეშ მუზეუმად, რომელიც წარმოაჩენს არეალის გეოლოგიურ ისტორიას და მის კავშირს მისივე გეოლოგიური რესურსებით აშენებულ კულტურულ ძეგლებთან. სამტეხლოთა სამრეწველო ნარჩენები შესაძლოა შეიცავდეს განამარხებულ ნაშთებს. ევროპაში ეს იზიდავს გეოლოგიური ტურისტების ჯგუფებს, რომლებიც ეძებენ იშვიათ ნიმუშებს.

გარემოს შეფასება

ბუნებრივი ლანდშაფტის კონსერვაციის სტრატეგია ძირითადად მის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებზეა დამოკიდებული. ბუნებრივი ღირებულება ეფუძნება სიცოცხლის ღირებულებასა (ესთეტიური, სამეცნიერო და სულიერი ღირებულებები) და მის ფუნქციებს.

სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება განისაზღვრება ისეთი ეკონომიკური ინდიკატორებით, როგორცაა მოსახლეობის სიმჭიდროვე, შემოსავალი ერთ სულზე და აქტივების ღირებულება. ეს ასპექტები ხარისხობრივად იქნა შეფასებული, შედეგები გრაფიკულად ცხრილ 6-შია მოცემული. ყოველი ჰორიზონტალური ღერძისათვის გამოიყენება დაბალი, საშუალო და მაღალი ღირებულება (როგორც ამ ღირებულებათა ხარისხობრივი შეფასება). დიაგრამაზე სივრცითი ელემენტები გამოსახულია წრეებად. გამოსახულება წრეში გვიჩვენებს ერთეულის ფართობს, რომელიც კმ²-შია გამოსახული. ბუფერული ზონის საერთო ფართობი 12.46 კმ²-ია.

ფერი მართვის შემოთავაზებულ რეჟიმს ასახავს. მაღალი ბუნებრივი და კულტურული მნიშვნელობის მქონე ერთეულების (მწვანე) დაცვა აუცილებელია, ადამიანის საქმიანობა ამ ადგილებში უნდა შეიზღუდოს ან საერთოდაც აიკრძალოს. დაზიანებული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ბუნებრივი ღირებულებით (რუხი) უნდა აღდგეს შეზღუდული გამოყენების რეჟიმის ამოქმედებით. სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის არეალში (ყვითელი), მდგრადი გამოყენება დასაშვებია, თუკი იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალურ აღქმას და ფიზიკურ დაცვას არ ეხება. და ბოლოს, მრავალმხრივი გამოყენების რეჟიმი შესაძლოა ამოქმედდეს ტერიტორიებზე, სადაც როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება მნიშვნელოვანია (მწვანე-ყვითელი).



ტაბულა 6. ლანდშაფტისა და ბუნების შეფასება

გამოყენების ღირებულება

ტაბულა 6 წარმოგვიდგენს ტერიტორიის ამჟამინდელ სტატუსს. ბუნებრივი რესურსების გამოყენება ცვლის გარემოს მდგომარეობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის საქმიანობის გავლენა (როგორც ეს მოცემულია თავში 2.3). დროთა განმავლობაში მან ტერიტორია მკვეთრად შეცვალა.

	ურთიერთქმედება	ზემოქმედება		
		ბუნებაზე	კულტურაზე	ადამიანზე
მდინარე და მოწამეთას კანიონი	ადამიანი და ბუნება	წყლის დაბინძურება და ნაგავიანება ძღისარის ნაპირების და ტყეების დეგრადაცია		წყალმომარაგება პოტენციური ეკო-ტურიზმი
	ბუნება და კულტურა	კულტურული ლანდშაფტის ღირებულება	ძეგლების ბუნებაში განთავსება (მოწამეთა მონასტერი და სოფელი)	
მდინარე	ადამიანი და კულტურა		ანტროპოგენური ზეგავლენა ძეგლზე (მოწამეთა)	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური დაცვა და ვიზუალური აღქმა რელიგიური და კულტურული ფუნქციის სიმბოზი (მოწამეთას მონასტერი) ინტეგრირებული ეკო-კულტურული ტურიზმი

	ურთიერთქმედება	ზემოქმედება		
		ბუნებაზე	კულტურაზე	ადამიანზე
ტყეები	ადამიანი და ბუნება	ტყეების დეგრადაცია (ჭრა) გატყობიანება და ქანობის სტაბილიზაცია		მდელოების გამოყენება პოტენციური ეკო-ტურიზმი
	ბუნება და კულტურა	კულტურული ლანდშაფტის ღირებულება	ძეგლების ბუნებაში განთავსება (გელათი)	
	ადამიანი და კულტურა		ანტროპოგენური ზეგავლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე	კულტურული ლანდშაფტის ღირებულება ინტეგრირებული აგრო-კულტურული ტურიზმი

	ურთიერთქმედება	ზემოქმედება		
		ბუნებაზე	კულტურაზე	ადამიანზე
სასოფლო ტერიტორია	ადამიანი და ბუნება	გრუნტის წყლის და ნიადაგის დაბინძურება მიწისა და რესურსების შეუსაბამო გამოყენება გარემოზე ზემოქმედება კარიერი		ორგანული ფერმერობის შესაძლებლობა ალტერნატიული ენერჯის გამოყენების შესაძლებლობა ტურიზმის ხელშეწყობის შესაძლებლობა
	ბუნება და კულტურა	კულტურული ლანდშაფტის ღირებულება	ძეგლების დასახლებულ ტერიტორიაზე განთავსება არქეოლოგიური ძეგლების მთლიანობა	
	ადამიანი და კულტურა		არქიტექტურული ძეგლების მთლიანობა ადამიანის საქმიანობის გავლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური დაცვა და ვიზუალური აღქმა

ტაბულა 7. ურთიერთქმედების ცხრილები

ეს პროცესები ჯერ კიდევ აქტიურია და ურთიერთქმედება ადამიანსა და გარემოს შორის აგრძელებს კულტურული ლანდშაფტის ცვლილებას.

ამ ურთიერთქმედებების შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ზემოქმედების ცხრილები. ზემოქმედების ანალიზისთვის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ერთეულები, მართვის მეტ-ნაკლებად მსგავსი რეჟიმით იქნა დაჯგუფებული შემდეგ კატეგორიებად:

- მდინარე და ხეობა
- ტყეები
- სასოფლო ტერიტორია

შედეგები ნაჩვენებია ტაბულა 7-ში.

გარემოს შეფასებისა და ზეგავლენის ანალიზის შედეგები წარმოადგენს კონსერვაციისა და განვითარების გეგმის საფუძველს. ტურიზმი ტერიტორიისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შემდეგ თავში მოცემულია მდგრადი ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება.

4.6. მსოფლიო მემკვიდრეობის კმპლის და მისი ბუნებრივი ზონის წინაშე მდგარი პრობლემები

მონასტრის შენობებთან დაკავშირებული საფრთხეები

გელათის მონასტრის ბუნებრივი გარემო მთელი წლის განმავლობაში მაღალი ტენიანობით გამოირჩევა. შესაბამისად, კედლის მხატვრობის, მოზაიკებისა და ქვის წყობის მთავარი საფრთხე ნესტია. მუდმივი მოვლა-პატრონობის გარეშე ნაგებობების კედლებზე ბაღახი და მცირე მცენარეები იზრდება, რამაც პერანგის ქვის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს.

ბუნებრივი კლიმატური მდგომარეობის და მუდმივი მოვლა-პატრონობის ნაკლებობის გამო, ბიოლოგიური ზრდა ინტენსიურია ზეთსახდელის და გაღავნის კედლებზე; ლედვის ხის მცირე ამონაყარი, ხავსი და სურო შეიმჩნევა მონასტრის სხვადასხვა ნაგებობის, მათ შორის სამხრეთ კარიბჭისა და მთავარი ეკლესიის კედლებზე.

მტრედები საფრთხეს უქმნიან მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობას მათ ზედაპირზე ექსკრემენტების დატოვებით.

გელათის მონასტრის შენობები შემდეგი რისკების წინაშე დგანან:

- დმრთისმშობლის შობის მთავარი ეკლესია – ინტერიერის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მთავარი საფრთხეა ნესტი. კარნიზის ზოგიერთი ქვა დაზიანებულია (აქვს დიდი და პატარა ბზარები, ამონატეხები), წვიმისა და ქარის ზეგავლენის გამო. მათ ზედაპირზე ასევე აღინიშნება დანალექი მიწა და სხვადასხვა მოცულობის ბიოდაზიანებები;
- წმ. გიორგი ეკლესია – კედლის მხატვრობის ძირითადი საფრთხე ნესტია;
- წმ. ნიკოლოზის ეკლესია – ნესტი; ბაღახი პირველი სართულის სამხრეთ ფასადზე;
- სამრეკლო – ნესტი; მცენარეების მცირე ამონაყარი დასავლეთ ფასადზე;
- აკადემია – ამჟამად საფრთხე არ ემუქრება;
- აკადემიის სარდაფი და მოსახლვრე არქიტექტურული ნაშთები – ახლად აღმოჩენილ არქიტექტურულ ნაშთებს კონსერვაცია არ ჩატარებია. დროთა განმავლობაში არსებობს მათი დაზიანების საფრთხე;
- აღმოსავლეთი კარიბჭე – ამჟამად საფრთხე არ ემუქრება;

- სამხრეთი კარიბჭე – ამჟამად საფრთხე არ ემუქრება;
- ზეთსახდელი – შენობას სახურავი არ აქვს და ნალექის ზემოქმედებისგან დაუცველია;
- მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე ბერების სახლი – კამარები ნაწილობრივ ჩამოქცეულია. მზიდი კედლები დაზიანებულია. არსებობს ჩამონგრევის რისკი;
- მთავარი ეკლესიის სამხრეთით მდებარე ბერების სახლი – ამჟამად საფრთხე არ ემუქრება;
- ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სახლი – ამჟამად საფრთხე არ ემუქრება;
- გალავანი – ბიოლოგიური ზრდა.

ჰაერის დაბინძურება და ავღარი

გელათი ქუთაისის ურბანულ-ინდუსტრიული ცენტრის სიახლოვეს მდებარეობს. ქუთაისი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქია, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 180 000 აღწევს. ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი აქ ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში. თუმცა თავის ბუნებრივ გარემოში განლაგებული გელათი ურბანული დასახლებისგან საკმაოდ მოშორებულია და დაბინძურების უშუალო ზეგავლენას არ განიცდის.

თავად სოფლისთვის ჰაერის დაბინძურების ძირითადი მიზეზი მთავარ გზაზე მოძრავი ტურისტული ტრანსპორტია. მართვის გეგმის ფარგლებში შემუშავებული მოძრაობის მართვის პროგრამით შემოთავაზებულია დიდი და საშუალო ზომის ტურისტული ავტობუსების მოძრაობის შეზღუდვა სოფელში და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე და მათთვის სოფლის გარეთ ახალი სადგომის მოწყობა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრანსპორტის რაოდენობას და შესაბამისად, ჰაერის დაბინძურებას სოფელში და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე.

ჰაერის დაბინძურების კიდევ ერთი მიზეზია ქვის მომპოვებელი კომპანიის მიმე სატვირთო მანქანები, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეს გადის. ამჟამად ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყვეტილია (იხილეთ ქვემოთ, ქვეთავი „სამტეხლოს ტრანსპორტის მოძრაობა“).

ჰაერის დაბინძურების გამო ინტერიერის მხატვრობის დაზიანების რისკი მომავალში შესაძლოა საგანგებო ყურადღების საგანი გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია კლიმატის გლობალური ცვლილებების, ავღრის და ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაძლო ზეგავლენის შესწავლა. რისკებისთვის მზადყოფნის გეგმა, რომელიც მართვის გეგმის ფარგლებშია მოსამზადებელი (2017-2021) რისკის სხვა ფაქტორებთან ერთად ამ საკითხებსაც უნდა მოიცავდეს.

ვიზიტორთა პოტენციური ზემოქმედება

გელათი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ გელათი მოქმედი მონასტერია, ის ღიაა ვიზიტორებისათვის და რაიმე საგანგებო რეგულაცია არ აქვს დაწესებული. მისი ნახვის მსურველები არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი მოგზაურები. შესაბამისად, მნახველთა კატეგორიები მრავალფეროვანია; გელათს ხშირად სტუმრობენ სასკოლო და საუნივერსიტეტო ექსკურსიები; ის ქუთაისის, ტყიბულისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა საყვარელი საქორწინო ადგილია. საბჭოთა რეჟიმის დამსობის შემდეგ ეკლესიამ დაიბრუნა სამონასტრო ფუნქცია, რამაც ძეგლს მთელი საქართველოდან მლოცველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შესძინა. ამგვარად, ვიზიტორთა შემადგენ-

ლობა მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურისტებს (როგორც საერთაშორისოს, ისე შიდას), მექორწილეებს, მლოცველებს და სპეციალური ინტერესის მქონე სტუმრებს (მეცნიერები, ეკლესიის და ხელისუფლების წარმომადგენელი ა. შ.).

გელათში ვიზიტორთა რაოდენობის დასახელება მხოლოდ მიახლოებით არის შესაძლებელი, რადგან არ არსებობს ამასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს წელიწადში საშუალოდ 200 000 სტუმარი ჰყავს, რაც მას საქართველოში ყველაზე მონახულებად ძეგლად აქცევს. (ეს არის ახალი მონაცემი. საზღვრების არსებითი მოდიფიკაციის დოსიეში მითითებული ვიზიტორთა რაოდენობა – 70 000 უკვე მოძველებულია).

ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესობას ტურიზმის განვითარებას ანიჭებს, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ძეგლზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა გამოიწვიოს. ტურისტების მოჭარბებული რაოდენობის უკონტროლო მიმოსვლის პოტენციური ზეგავლენა უცნობია. ძეგლს არც ოფიციალური გიდის მომსახურება აქვს და არც სრულ განაკვეთზე მომუშავე ზედამხედველი ჰყავს. მონასტრის გალავნის შიგნით მთელი პერიმეტრის, ასევე ეკლესიების ყოველდღიურ მოვლა-პატრონობაზე, ვიზიტორთა მეთვალყურეობაზე, ტერიტორიის შენახვაზე, უსაფრთხოების დაცვასა და ელემენტარული სისუფთავის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ბერები აკისრიათ. ცხადია, ძეგლის სათანადო მართვისთვის ეს საკმარისი არ არის, მით უფრო ისეთ დატვირთულ პერიოდებში, როგორცაა რელიგიური დღესასწაულები და შაბათ-კვირა.

წინამდებარე მართვის გეგმის შესაბამისი პროგრამებით შემუშავებულია გეგმა, რომელიც ვიზიტორთა მიმოსვლას არეგულირებს და ამგვარად ამცირებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის შემთხვევითი თუ მიზანმიმართული დაზიანებების რისკს. ასევე შემოთავაზებულია ტრანსპორტის მოძრაობის მართვის ახალი გეგმა, რომელიც საცობების პრობლემას გადაჭრის და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე ვიზიტორთა მოძრაობის მართვას გააუმჯობესებს. ეს ღონისძიებები არსებითია არა მხოლოდ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად, არამედ მასზე სიმშვიდისა და შესაბამისი სულიერი ატმოსფეროს შესანარჩუნებლად.

სტიქიური უბედურებები

ბუნებრივი კატასტროფების უმეტესობა იშვიათია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე და მის ბუფერულ ზონაში. *საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების პორტალის* მიხედვით⁹, ტყის ხანძრის, მეწყერის, ქვის ცვენის, ღვარცოფის, ზვავის, წყალდიდობის და ძლიერი შტორმის საფრთხე მცირეა (იხილეთ ფიგურა 9, 10 და 11).

საქართველო სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს და შეფასებულია როგორც საშუალო სეისმურობის რეგიონი. ისტორიული ცნობებითა და ხელსაწყოებით გაზომილი მონაცემებით, რეგიონში მოსალოდნელია 7 მაგნიტუდიანი მიწისძვრა და მაკრო სეისმური ეფექტი 9 ბალამდე. მიუხედავად ამისა, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე და მის ბუფერულ ზონაში მიწისძვრის საშიშროება დაბალია. 1991 წელს მეზობელ რაჭის რეგიონში მომხდარმა მერკალის შკალით VIII-IX ინტენსივობის ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია როგორც რაჭის, ისე შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონის შუა საუკუნეების ნაგებობები, თუმცა გელათის მონასტრის შენობები არ დაზიანებულა.

⁹ www.drm.cenn.org/index.php/en community-profile. Geoportal of Natural Hazards and Risks in Georgia.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის არეალსა და მის ბუფერულ ზონაში მიწისძვრის საფრთხე დაბალია, ძეგლის რეაბილიტაციის დაგეგმვისა და შეფასების დონისძიებებში სათანადო კონსტრუქციული მდგრადობა გასათვალისწინებელია. იკომოსისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივმა საკონსულტაციო მისიამ (21-25 იანვარი, 2015) რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო მხარეს „ჩაატაროს სეისმური აქტივობების ისტორიული ანალიზი ძეგლის რეგიონის მიკროზონაში, რამაც უნდა მოიცვას ამ აქტივობათა მახასიათებლების (მაგნიტუდა, ინტენსივობა, ეპიცენტრი და სისშირე) სისტემატური აღნუსხვა და შესაბამისი შედეგები“. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავარი ტაძრის გუმბათზე დამონტაჟდა სამეთვალყურეო ელექტრონული ხელსაწყო სეისმური აქტივობის მონიტორინგისათვის.



Low Earthquake hazard Moderate earthquake hazard

სურათი 9. მიწისძვრის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო (საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების პორტალის მიხედვით)

მეხის დაცემა გელათში არასოდეს დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრის არცერთ შენობას მეხამრიდი არ აქვს. რისკებისათვის მზადყოფნის გეგმა ითვალისწინებს მეხამრიდების დაყენებას. ბოლო წლებში, მათი დაყენების საჭიროება საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭომაც განიხილა.

ხანძრის საფრთხე

ბოლო წლებში ხანძარი მონასტრის ყველაზე სერიოზული საფრთხეს წარმოადგენდა. 2014 წლის 9 ნოემბერს ხანძარმა გაანადგურა მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეთვრამეტე საუკუნის ხის სახლი, რომელშიც 2000-იანი წლებიდან ბერები ცხოვრობდნენ. ხანძარი დაზიანებული ელექტროსადენებისგან განჩენილმა მოკლე ჩართვამ გამოიწვია. არავინ დაშავებულა, თუმცა ხის სახლი ცეცხლის აღში სწრაფად გაეხვა და ქუთაისიდან სახანძრო ბრიგადის მოხელამდე დაიწვა.

აღნიშნულმა ხანძარმა მონასტერში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სერიოზული ნაკლოვანებები გამოამჟღავნა. შემდგომ თვეებში ეს ხარვეზები ნაწილობრივ აღმოიფხვრა, თუმცა ზოგადად მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მართვის მექანიზმები ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. გასათვალისწინებელია, რომ გელათის მონასტრის რამდენიმე სხვა შენობასაც (აკადემიას, გაბრიელ ქიქოძის სახლსა და მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე საცხოვრებელ სახლებს) აქვს ხის ელემენტები, რაც მათ ხანძრისადმი განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის.

მართვის გეგმა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებების გადაუდებელ გატარებას ითხოვს:

- მონასტერში შესამოწმებელია ელექტროსადენები; მათი დაზიანებული ნაწილები ახალი სადენებით უნდა შეიცვალოს;
- მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი უნდა აღიჭურვოს საკმარისი რაოდენობის ცეცხლმაქრებით;
- ბერებსა და მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტრენინგები;
- მკაცრი რეგულაციები უნდა დაწესდეს ყველა სახის გამაცხელებლების, ღუმელებისა და ბუხრების გამოყენების მიმართ.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებები უფრო დაწერილებით არის ჩამოსაყალიბებელი რისკისთვის მზადყოფნის გეგმაში, რომელიც უნდა შემუშავდეს წინამდებარე გეგმის მოქმედების პერიოდში (2017-2021).



სურათი 10. მეწყერის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო (საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების პორტალის მიხედვით)



სურათი 11. ტყის ხანძრის საფრთხე გელათის მონასტრის გარშემო (საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების პორტალის მიხედვით)

სამტეხლოს ტრანსპორტის მოძრაობა

გელათის სიახლოვეს მდებარეობს სამტეხლო, რომლიდანაც ქვა აქტიურად მოიპოვება. სამტეხლო მუშაობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ლიცენზირებისა და ნებართვების კანონის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით. საქართველოს კანონმდებლობით, ეს საქმიანობა არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სამტეხლოს საქმიანობას ისედაც არ აქვს პირდაპირი ფიზიკური ზეგავლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე. მიუხედავად ამისა, ძეგლის სიახლოვეს გამავალი მძიმედ დატვირთული მანქანები იწვევენ ხმაურსა და დაბინძურებას, რითაც არაპირდაპირ გავლენას ახდენენ მასზე. 2015 წლის იანვარში მუნიციპალური განვითარების ფონდსა და სამტეხლოს შორის გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც მძიმედ დატვირთული მანქანების მოძრაობა ძეგლის სიახლოვეს ნებადართულია მხოლოდ დილის 10.00 საათამდე და საღამოს 19.00 საათის შემდეგ და მთლიანად აკრძალულია შაბათ-კვირას და რელიგიურ დღესასწაულებზე. სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობა ნებისმიერ შემთხვევაში მცირეა – როგორც წესი დღეში ერთი ან ორი მანქანა.

დამატებითი საცხოვრებლების საჭიროება ბერების რაოდენობის შესაძლო გაზრდის შემთხვევაში

ბოლო წლებში მონასტერი ნელა იზრდებოდა. დღეს შეუძლებელია წინასწარ ითქვას მნიშვნელოვნად გაიზრდება თუ არა მონასტერში ბერების რაოდენობა და, შესაბამისად, დადგება თუ არა მათთვის დამატებითი საცხოვრებელი ფართის აუცილებლობა მართვის გეგმის მოქმედების პერიოდში (2017-2021). ეს საკითხი ნაწილობრივ დაბალანსებულია, რადგან ბერების გარკვეული რაოდენობა გელათის მონასტრის კუთვნილ და მის სიახლოვეს მდებარე წმ. საბას, წმ. ელიას და წმ. ნინოს ეკლესიების სენაკებში ცხოვრობს ან იცხოვრებს. მომავალში დამატებითი

საცხოვრებელი ფართის საჭიროების შემთხვევაში, მონასტრის კუთვნილ მიწაზე ძეგლის გარეთ, გალავნის სამხრეთით შესაძლებელი იქნება ახალი ერთსართულიანი სენაკების აშენება. ეს გეგმა მოწონებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

სამხედრო კონფლიქტის რისკის ზეგავლენა

2008 წლის ომის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. უკრაინაში მიმდინარე ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ სამხედრო კონფლიქტი რეგიონისთვის კვლავ სამწუხარო რეალობაა და ის გელათის მართვის გეგმაშიც უნდა იყოს გათვალისწინებული. მსგავს საფრთხეებთან დაკავშირებული საკითხები (ევაკუაცია, დაცვა და სხვა) რისკისთვის მზადყოფნის გეგმაშია უნდა აისახოს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ჰააგის კონვენციას და მის მეორე შეთანხმებას. „ლურჯი ფარის“ (the Blue Shields) საქართველოს ეროვნული კომიტეტი 2012 წელს შეიქმნა და 2013 წლიდან მოქმედია.

რეგიონში საერთაშორისო დაცვადობის გაზრდის შემთხვევაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნდა მოამზადოს განაცხადი იუნესკოს მხრიდან გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისთვის გაძლიერებული დაცვის სტატუსის მოსაპოვებლად.

ბუფერული ზონის გარემოსთან დაკავშირებული რისკები

მდინარე წყალწითელა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის ლანდშაფტის დომინანტია. ტყის მასივები მდინარის დასავლეთ წყალგამყოფთან შეშისათვის ხის ჭრის გამო დეგრადირებულია, მაგრამ მას ჯერ კიდევ აქვს ეკოლოგიური ღირებულება. ტყის აღდგენა გააუმჯობესებს მის ბუნებრივ ღირებულებას და მომავალი წარმოების შესაძლებლობას. მდინარის წინაშე ასევე დგას წყლის დაბინძურებისა და დანაგვიანების საფრთხეები.

სოფლების ჭახათას, მოწამეთასა და გოდორას სიახლოვეს არსებულ კანიონს მისთვის სახასიათო გეოლოგიური (კარსტული) ფორმაციებით მაღალი ბუნებრივი ღირებულება და ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს. რამდენადაც ტერიტორია ძლიერ დეგრადირებულია, აღდგენა და გამწვანება აუცილებელია თავდაპირველი ლანდშაფტის დასაბრუნებლად. იგივე ეხება ქვევით, დინების მიმართულებით არსებულ ტერიტორიებს, სადაც მიტოვებული კარიერები უნდა შეივსოს და სამთო წარმოების შედეგად დატოვებული ნაგვის გროვები გატანილი უნდა იქნას.

დოხორას მთის მასივის ტყეები შეშის მოპოვების მიზნით იჩეხება. ტყის განახლებამ და რეაბილიტაციამ შესაძლოა აღადგინოს ლანდშაფტის ღირებულება და მეტი სიმტკიცე შესძინოს ფერდობებს, რომლებზეც მომავალში შესაძლოა მეწყერების საშორეობა შეიქმნას (ამჟამად მეწყერის საფრთხე დაბალია, იხილეთ ზემოთ, „ბუნებრივი სტიქიების საფრთხე“).

4.7 ეკონომიკური ბანკოთარმის კოტინენციალი

ამჟამად არეალს სუსტი ეკონომიკური სტრუქტურა აქვს. მართვის გეგმა ითვალისწინებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას როგორც ტურიზმის მეშვეობით, რაც ტრადიციულად ადგილობრივი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ასპექტია, ისე აგროტექნოლოგიების გაუმჯობესებითა და ახალი ეკონომიკური საქმიანობების განვითარებით.

სამთავრობო პრიორიტეტები

სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და გარემოს დაცვა „საქართველოს 2010-2017 წლების რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის“ პრიორიტეტული საკითხებია. ესაა შუალედური დოკუმენტი, რომელიც საქართველოს რეგიონალური განვითარების პოლიტიკის მთავარ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს.

ეს პრიორიტეტები საფუძვლად დაედო მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ იმერეთის რეგიონის მეორე რეგიონალური განვითარების პროექტს. ის 2012 წლის 6 ნოემბერს დამტკიცდა. პროექტი 2017 წლის 30 ივნისს დასრულდება. მისი ბიუჯეტია 37.500.000 ამერიკული დოლარი, რომელთაგან 30.000.000 მსოფლიო ბანკმა გაიღო. პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურული სერვისებისა და ინსტიტუციური უნარების გაუმჯობესება რათა იმერეთის ადგილობრივ ეკონომიკაში გაიზარდოს ტურიზმის წვლილი. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია იმერეთში „ტურიზმის რკალის“ განვითარება. ის გულისხმობს რეგიონის ექვსი ყველაზე მიმზიდველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განახლებას და გაუმჯობესებულ მართვას. ესენია: გელათის მონასტერი, ვანის მუზეუმი და არქეოლოგიური ძეგლი, უბისას ეკლესია, კაცხის ეკლესია, კაცხის სვეტის მონასტერი და მოწამეთას მონასტერი. გეგმა ითვალისწინებს ურბანული ლანდშაფტისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სადგომების გაუმჯობესებას, საინფორმაციო ჯიხურების აშენებას, მისასვლელი გზების გარემონტებას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უკეთეს მოვლა-პატრონობას.

პროექტის მიზანია კერძო ინვესტიციები მოიზიდვა, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი ბიზნეს საქმიანობების გამოცოცხლება და რეგიონალური „ტურიზმის რკალის“ განვითარება. მოსალოდნელია, რომ ამას მოჰყვება რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. პროექტის განხორციელება გულისხმობს როგორც დროებითი (მშენებლობის დროს), ისე მუდმივი (პროექტის დასრულების შემდგომ) სამუშაო ადგილების შექმნას.

სამოქალაქო სექტორის საქმიანობა

ბოლო წლებში საპროექტო არეალში შეინიშნება სამოქალაქო სექტორის გაზრდილი აქტიუობა მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მხარდასაჭერად. ქართული არაკომერციული ორგანიზაცია ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი 2008 წელს შეიქმნა. მან სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში ადგილობრივი მეწარმეების მხარდასაჭერად განხორციელებული სხვადასხვა პროექტისთვის დაფინანსება საერთაშორისო დონორებისგან მიიღო. აღნიშნულ პროექტებს შორის იყო:

- „ტურიზმის სტრატეგიული განვითარება ტყიბულში (2012) – ის მიზნად ისახავდა მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაფართოვებას; ადგილობრივ ტრადიციებზე და არსებულ რესურსებზე დაფუძნებული მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდასაჭერას; ადგილობრივ პოლიტიკაში მცირე მეწარმეების ზეგავლენის გაზრდას. პროექტის მხარდამჭერი იყო პოლონური ფონდი „განათლება დემოკრატიისთვის“ (RITA).
- „ჩაი როგორც ტყიბულის ადგილობრივი პროდუქტი – მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა“ (2013) – პროექტი განხორციელდა ეკო-განვითარების პოლონური ფონდთან (FER) თანამშრომლობით, პოლონური ორგანიზაციიდან „განათლება

დემოკრატიისთვის” მიღებული გრანტით. ჩაის ადგილობრივი ინდუსტრია შერჩეული იქნა, როგორც საპილოტე პროგრამა. ტრეინინგი ჩაუტარდათ ჩაის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესში აქტიურად ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს. 2013 წლის 21 სექტემბერს, გელათობის დღესასწაულზე, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, გელათის მონასტერთან გაიმართა ეკო ბაზრობა, რომელზეც გამოტანილი იყო არა მხოლოდ ჩაი, არამედ თაფლი, ყველი, მურაბები, სხვადასხვა ხილის ჩირი და სხვა ადგილობრივი პროდუქტი.

ტყიბულის რაონის განვითარების ფონდი, პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამა, „პოლონეთის მხარდაჭერა“ (Polish Aid) და RITA გახდნენ ასოციაცია „ახალი ოკრიბა“ თანადამფუძნებლები. ასოციაცია განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი რეწვის განვითარებაზე ამახვილებს. მისი წევრები არიან ტყიბულის მუნიციპალიტეტის (გელათის მცხოვრებთა ჩათვლით) მეწარმეები. პოლონეთის საელჩოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (USAID) მიღებული მცირე გრანტების საშუალებით, „ახალი ოკრიბა“ ფერმერებს შინაური საქონლისა და ადჭურვილობის შექმნაში დაეხმარა.

გელათი და მისი არეალი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას ინტერესის სფეროში შედის. ასოციაცია მდგრადი ორგანული მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. გელათს გამორჩეული ადგილი უკავია „ჩაისა და თაფლის ტურებში“, რომელსაც ელკანა ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტებისთვის აწყობს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა რეგიონის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორია. სოფელ გელათის თითქმის ყველა მოსახლე მეტწილად ჩართულია სამეურნეო საქმიანობაში – ისინიც კი ვინც საჯარო სექტორსა თუ კერძო კომპანიებშია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის მთავარი წყარო არ არის. მათ საოჯახო მოხმარებისთვის (და არა გასაყიდად) მოჰყავთ სხვადასხვა სასოფლო კულტურები და ინახავენ შინაურ პირუტყვს. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას გასაყიდად. ისინი თავიანთ პროდუქტს, ძირითადად თაფლსა და მაწონს, ქუთაისსა და ტყიბულში ყიდიან. მათ შორის ყველაზე წარმატებულები წელიწადში 300 კილოგრამამდე თაფლსა და 5.000 ლიტრ მაწონს ყიდიან. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია რაოდენობის გაორმაგება.

ძირითადი ადგილობრივი პროდუქტები, რომელთაც კარგი საბაზრო პოტენციალი აქვთ არის:

- წაბლის, ცაცხვისა და აკაციის თაფლი, რომელიც არამარტო რეგიონში, არამედ მთელს ქვეყანაშია განთქმული;
- რძის პროდუქტები, განსაკუთრებით მაწონი და იმერული ყველი;
- სოკო;
- კენკრა, განსაკუთრებით მარწყვი, მაყვალი და ზღმარტლი;
- ჩაი (მეზობელ სოფლებში).

სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

- გასაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით დაკავებული ფერმერების მხარდაჭერა გრანტების და / ან დაბალპროცენტიანი სესხის გაცემით;

- განვითარება პროექტებისა, რომელთა მიზანია გელათის არეალში პესტიციდებისა და ნავთობქიმიური სინთეტური სასუქების გამოყენების შემცირებით და ორგანული წარმოების მეთოდების განვითარების მეშვეობით სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური სისტემების მხარდაჭერა;
- კვების პროდუქტების მიწოდების მოკლე ჯაჭვის (short food supply chains) განვითარების წახალისება. რაც გულისხმობს მწარმოებელის მიერ მყიდველისათვის პროდუქტის უშუალოდ მიწოდებას ან შუამავალთა მინიმალურ რაოდენობას. ეს შესაძლებლობას მისცემს ფერმერებს დამატებითი ღირებულების გადასახადის მეტი ნაწილი ფერმასა და ადგილობრივ ეკონომიკებში შეინარჩუნონ;
- მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის საგანგებო ტრენინგ-პროგრამების განვითარება;
- გეგმის განვითარება გელათის არეალში მდგრადი სოფლის მეურნეობის შესაქმნელად და სამართავად.

მრეწველობა და ხელოსნობა

არეალში ინდუსტრიული წარმოების ძირითადი საქმიანობები ქვის მოპოვება და სამთო მრეწველობაა. გელათის მონასტრის მიდამოებში ხდება ქვის კარიერის დამუშავება.

გელათსა და მეზობელ სოფლებში რამდენიმე ათეული ხელოსანი ცხოვრობს. მათი საქმიანობის ყველაზე პერსპექტიული სექტორი გიშრის ნივთების წარმოებაა. ადგილობრივი გიშერი მთელ სამხრეთ კავკასიაში საუკეთესო ხარისხით გამოირჩევა. მისი მოპოვება და დამუშავება უძველესი დროიდან არის დადასტურებული – ამ არეალში აღმოჩენილი გიშრის უადრესი ნიმუშები ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ადგილობრივები კურსებსა და ორპირში ძალიან მარტივად, საგანგებო აღჭურვილობის გარეშე მოიპოვებენ მას. ხელოსნები ამზადებენ გიშრის ჯვრებს, ბეჭდებს, მძივებს, გულსაკიდებს, საყურებსა და სხვა ნივთებს, რომელთაც წვრილი მოვჭრეები გელათის მონასტრის შესასვლელთან ყიდიან. ყველაზე წარმატებული ოსტატები საკუთარ ნაკეთობებს არამარტო ქუთაისსა და თბილისში, არამედ საზღვარგარეთაც – ძირითადად, თურქეთში ყიდიან.


წახალისებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში გიშრის ნაკეთობების წარმოება შეიძლება სოფლის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს. ამჟამად უკვე არის რამდენიმე ოჯახი, რომელიც თავს მთლიანად ამ ხელობით ირიყს.

მდგრადი ტურიზმი

SWOT-ანალიზი

არეალის კულტურული და ბუნებრივი ღირებულება მაღალია. ვიზიტორთა მოზიდვა ძირითადად კულტურული ძეგლების მეშვეობით ხდება. ამდენად, მდგრადი ტურიზმის განვითარებას მაღალი პრიორიტეტი ენიჭება. ის შეესაბამება ტურისტებისა და მასპინძელი რეგიონის დღევანდელ საჭიროებებს, რადგან იცავს და ზრდის შესაძლებლობებს მომავლისათვის. ის ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების იმგვარ მართვას მოითხოვს, რომ ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური საჭიროებების განხორციელებასთან ერთად კულტურული მთლიანობა, აუცილებელი ეკოლოგიური პროცესები და ბიოლოგიური მრავალფეროვნება და სიცოცხლის მხარდაჭერი სისტემები შენარჩუნდეს. მდგრადობის უზრუნველსაყოფად ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადის უარყოფითი ზეგავლენა უნდა შემცირდეს.

ტურიზმის პოტენციალი, როგორც ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება, შეფასებული იქნა მდგრადი ტურიზმის ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტის (STBT)¹⁰ მეშვეობით. შედეგები შეჯამებულია ამ სექციაში. მეთოდი ეფუძნება მოდიფიცირებულ SWOT ანალიზს და იყენებს რამდენიმე პარამეტრს არეალის ძლიერი და სუსტი მხარეების და ტურიზმთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოსავლენად.



ტაბულა 8. მდგრადი ტურიზმის ეფექტური შეფასების დიაგრამა საპროექტო არეალისთვის

შედეგები წარმოდგენილია ექვსდერძიან პოლარულ დიაგრამაში, რომელიც SWOT ანალიზის პარამეტრებს ახასიათებს (ტაბულა 8). შედეგები ბუფერული ზონისთვის წარმოდგენილია მეორე ტაბულაში. დიაგრამის ზედა ნახევარი, ცისფერი ბლოკები, შიდა მდგრადობას წარმოადგენს. სიძლიერე და სისუსტეები დახასიათებულია საკვანძო სიტყვებით – აქტივები და მიმზიდველობა, მდგრადობა (კულტურული, ეკოლოგიური და სოციო-ეკონომიკური) და ინფრასტრუქტურა.

ქვედა მხარე, ვარდისფერი ბლოკები, სიმბოლურად გარე ფაქტორებს ასახავს. ტურიზმის საქმიანობები და მასთან დაკავშირებული ასპექტები დახასიათებულია საკვანძო სიტყვებით (ტურისტების რაოდენობა და კატეგორია), გადინება, შემოსავლის გაგრძელება სხვა არეალზე და მასთან ურთიერთკავშირი, მოსახლეობისათვის ტურიზმის დამატებითი ღირებულება და სხვა ეკონომიკური სექტორები.

რეიტინგი დიაგრამაზე ნაჩვენებია ვარსკვლავების ფერითა და პოზიციით. შედეგები დეტალურად განხილულია შემდგომ სექციებში და გამოყენებული უნდა იქნას

¹⁰ Cernat L., Gourdon J., UNCTAD Sustainable Tourism Benchmarking Tool (STBT) (Munich, 2005).

მართვის გეგმაში. შედეგები შეესაბამება მთლიანად იმერეთისთვის გაკეთებულ სტრატეგიულ ანგარიშში გამოქვეყნებულ შეფასების შედეგებს.

აქტივები და მიმზიდველობა

ლანდშაფტის მაღალი ბუნებრივი ღირებულება და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა არის კონკურენტუნარიანი უპირატესობა, რომელიც უცხოელ ტურისტებს იზიდავს. დიაგრამაში ეს ასპექტი მწვანე ვარსკვლავით არის აღნიშნული. დაცული ტერიტორიების დაცვასა და კონსერვაციას ამ არეალში ტურიზმის განვითარებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საერთო პასუხისმგებლობაა.

არსებული აქტივები ტურიზმის ვიწრო სექტორს იზიდავს. იმისათვის, რომ მეტი ტურისტი დაინტერესდეს, პროდუქტის პორტფოლიო უფრო მრავალფეროვანი უნდა გახდეს. ხანგრძლივად დარჩენის შესაძლებლობები უნდა გაუმჯობესდეს ან შეიქმნას. ასევე აუცილებელია ღამითსთვეით დარჩენილი ვიზიტორების თავშესაქცევი ღონისძიებების ორგანიზება. ამ გამოვლენილი ბაზრისთვის ახალი პროდუქტებია განსაკუთრებული. ვიზიტორთა ახალმა საინფორმაციო ცენტრმა შესაძლოა განვითარებისათვის კატალიზატორის როლი შეასრულოს.

რამდენადაც ტურიზმის სექტორის სუსტი ორგანიზება, ტურისტული ინფრასტრუქტურის დაბალი ხარისხი, ხარისხიანი ღამის გასათევი ადგილების და გამოცდილი პერსონალის ნაკლებობა ზრდას შეაფერხებს, რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მეზობელ არეალებთან თანამშრომლობა შესაძლოა ამ პრობლემების მოგვარების გზა იყოს.

მდგრადობა

ამჟამად ტყეების დიდი ტერიტორია დეგრადირებულია და მიწის და რესურსების არასწორი მოხმარება არეალის დარჩენილ ნაწილსაც ემუქრება. ასე გაგრძელების შემთხვევაში ეკოლოგიური მდგრადობა გარანტირებული ვერ იქნება. თუმცა არეალის კლიმატი ხელსაყრელია ჯანსაღი ეკოსისტემის აღსადგენად და შესანარჩუნებლად. თუ დამყარდება მართვის მკაცრი რეჟიმი, მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება, რაც დიაგრამაში შავი ვარსკვლავით არის აღნიშნული.

მომავალში ტურისტთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას კულტურული ძეგლებს და გარემოს. ამას მართვის მკაცრი რეჟიმი სჭირდება. ასევე აუცილებელია ღონისძიებები, რომლებიც თავიდან აგვარიდებს ტურისტთა ნაკადის ზრდის უარყოფით ზეგავლენას გელათის მონასტრის, როგორც რელიგიური ცენტრის ფუნქციონირებაზე.

სოციალ-ეკონომიკური მდგრადობა არანაკლებ მნიშვნელოვანია. დღევანდელ სიტუაციაში სამუშაო ძალა რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმარისია ტურიზმის ნაკადთან გასამკლავებლად, მაგრამ ტურისტთა რიცხვის გაზრდის შემთხვევაში საჭირო იქნება მისი გაუმჯობესება. ამჟამად რთულია ტურიზმის ინფრასტრუქტურის გასაახლებლად დაფინანსების მოპოვება. უფრო მეტიც, მსგავსი ინვესტიციების ეკონომიკური მიზანშეწონილობა ეჭვის ქვეშ დადგება, თუ არ გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა. მოსახლეობის დამოკიდებულება პოზიტიურია და, ამდენად, სოციალური თანხმობა ცვლილებებზე უზრუნველყოფილია. საერთო ჯამში მდგრადობა არასახარბიელოა და შესაბამისად დიაგრამაში წითელი ვარსკვლავით არის აღნიშნული.

ინფრასტრუქტურა

ტერიტორია ადვილად მისადგომია და არსებული ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს ტურისტთა ამჟამინდელ ნაკადს, თუმცა ამ უკანასკნელის გაზრდის შემთხვევაში ინფრასტრუქტურა გასაუმჯობესებელი იქნება.

არეალი ტურიზმისათვის მომხიბვლელობის დაკარგვის საფრთხის წინაშეა, რადგან კომუნალური კეთილმოწყობა სათანადოდ არ არის გამართული (გაზი, წყალი, სანიტარია). ეს ემუქრება ბუნებრივი გარემოს ხარისხსაც და, შესაძლოა, ტურისტების ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დააყენოს. მთავრობამ დაიწყო გრძელვადიანი პროექტის განხორციელება კომუნალური პირობების გასაუმჯობესებლად. ამდენად, მდგომარეობა მომავალში გამოსწორდება. შედეგები შავი ვარსკვლავითაა ნაჩვენები დიაგრამაზე.

თუ მომავალში ტრანსპორტის მოძრაობა გაიზრდება, შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი რეგულაციების შემოღება და ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობის შემოყვანის საჭიროების განხილვა. ასევე მხედველობაშია მისაღები საპროექტო ტერიტორიასა და ქუთაისს შორის სარკინიგზო სერვისის განახლება.

შესაძლებლობები

გელათის მონასტერს ყოველწლიურად, ძირითადად ზაფხულში, დაახლოებით 200 000 ტურისტი სტუმრობს. უმრავლესობა შიდა ტურისტია, უცხოელი ტურისტები მეტწილად მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდიან. ორივე ჯგუფის წარმომადგენლები ძეგლზე მანქანებით მოდიან. უცხოელ ტურისტთა ნაწილი ორგანიზებული ტურებით სტუმრობს ძეგლს და გელათში ავტობუსებით ჩამოდის. თუმცა საქართველოში ტურისტთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, იმერეთის რეგიონი და საპროექტო ტერიტორია ამით ვერ სარგებლობს.

ქართველი ტურისტების რიცხვი მნიშვნელოვანია. ისინი მანქანებით მოდიან ერთდღიან ექსკურსიებზე და კვებაზე ბევრს არ ხარჯავენ. თუმცა მათ სახლისკენ მიმავალ გზაზე შეიძლება ადგილობრივი პროდუქტი შეიძინონ, რაც გაზრდის კოეფიციენტს. გაუმჯობესებულმა სასტუმროებმა ჯგუფების დიდი ნაწილი შესაძლოა ღამის გასათევად მიიზიდოს.

სასკოლო ბანაკები საინტერესო სეგმენტია – მატერიალურად ნაკლებმომგებიანი, თუმცა მაღალი კოეფიციენტით, რამდენადაც ბევრი სექტორი იღებს სარგებელს. დღეისათვის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლებლობების გაფართოების საშუალებას არ იძლევა.

უცხოელ ტურისტთა უმეტესობა მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდის. ბოლო წლებში გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა ისრაელიდან. მათი დიდი ნაწილი ზაფხულში ზღვაზე დასასვენებლად და ზამთარში სათხილამუროდ ჩამოდის. მცირე ნაწილმა ზაფხულში შეიძლება ერთი დღით მოინახულოს გელათი. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი მცირეა, ამ ტურისტებს ქვეყანაში შემოაქვთ საზღვარგარეთული ვალუტა და საშუალო ქართველზე მეტს ხარჯავენ. თუმცა კოეფიციენტი დაბალია.

ევროპელები, როგორც წესი, გელათს აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში მოგზაურობისას სტუმრობენ. ისინი რამდენიმე საათით ჩერდებიან, თუმცა სხვა ჯგუფებზე მეტს ხარჯავენ. კოეფიციენტი დაბალია და მათი ფული სხვაგან იხარჯება.

მარკეტინგის გეგმა რეგიონალურ დონეზე არსებულ ჩამოთვლილ პრობლემებს ეხება. ის ითვალისწინებს სამიზნე ქმედებებს ახალი ბაზრის მოსაპოვებლად, არსებული

ბაზრისთვის ახალი პაკეტების განვითარებას და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის არეალის მიმოხილვების გაზრდის მიზნით ღონისძიებების გატარებას. პოტენციური მწირსა და საშუალოს შორის მერყეობს და დიაგრამაში შავი ვარსკვლავით არის აღნიშნული.

ურთიერთკავშირი და გადინება

დღევანდელი მდგომარეობით, ტურიზმის შემოსავლით უშუალოდ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ჯგუფი სარგებლობს. ეს შავი ვარსკვლავით არის აღნიშნული. ტერიტორიაზე ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვამ და გიდებით უზრუნველყოფილი ტურების შეთავაზებამ შესაძლოა გაზარდოს მონასტერში ვიზიტების კოეფიციენტი.

სამონასტრო კომპლექსის ვიზიტორები თავიანთი საერთო გასაგდის მხოლოდ მწირე პროცენტს ხარჯავენ ძეგლზე. უმეტესი ნაწილი სხვაგან იხარჯება (გადინება). ეს წითელი ვარსკვლავით არის აღნიშნული. გადინება შესაძლოა შეამციროს დამისგასათევი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობამ (შიდა გადინება) და გიდიტ უზრუნველყოფილი ტურებიდან შემოსავლის დიდი წილის მიღებამ (გარე გადინება).

4.8. რისკის შეფასება

გელათის მონასტერთან და მის ბუფერულ ზონასთან დაკავშირებული რისკები უფრო დეტალურად განხილულია სექციაში 4.6. არსებობს შესაძლო საფრთხეების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ამის თავიდან ასაცილებლად გადაუდებელი ღონისძიებებია გასატარებელი – მაგალითად, მონასტერში ხანძრის გაჩენის რისკის შესამცირებლად.

გელათის მონასტრის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის, რისკისთვის მზადყოფნის გეგმის მომზადების შესაძლებლობა განხილული იქნა მსოფლიო ბანკის იმერეთის რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში. თუმცა, გეგმა ჯერ არ გაკეთებულა. აშკარაა, რომ მეტი სამუშაოა ჩასატარებელი მთლიანობაში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის წინაშე არსებული სავარაუდო რისკების და მათი თავიდან აცილების ან შემცირების გზების დასადგენად. **მართვის გეგმის მოქმედების პერიოდში (2017-2021) ამ სამუშაოს ჩატარება პრიორიტეტულია. რისკისთვის მზადყოფნის სათანადო გეგმის შემუშავება სახელმწიფო მხრიდანაც დადასტურებულია.**

4.9. პასუხისმგებელი დაწესებულებები

ამჟამად მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის – გელათის მონასტრის მართვის პროცესზე შემდეგი ინსტიტუციები არიან პასუხისმგებელი:

- საქართველოს სამოციქულო მართმადიდებლური ეკლესია და მისი ქუთაის-გაენათის ეპარქია;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და მასში შემავალი ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალი;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა (მუნიციპალური ადმინისტრაცია);
- კურსების ტერიტორიული ერთეულის (თემის) საკრებულო (ადგილობრივი ადმინისტრაცია).

ასევე არსებობს გარკვეული რაოდენობის სახელმწიფო დაწესებულებები და ინსტიტუციები, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის და მისი ბუფერული ზონის მართვაში მეტნაკლებად მონაწილეობენ. მართვის გეგმის მიზნების განსახორციელებლად უმჯობესი იქნება, თუ მათი როლი გაიზრდება.

სხვადასხვა დაწესებულებებისა და ინსტიტუციების როლებისა და პასუხისმგებლობების დეტალური აღწერის სანახავად იხ. სექცია 3.3.

შემოთავაზებულია შეიქმნას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის – გელათის მონასტრის მართვის კომიტეტი, რომელშიც სტრატეგიულად დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები შევლენ. თითოეული სივრცითი ერთეულისთვის უნდა დაინიშნოს სამთავრობო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონსერვაციის მართვაზე, და ადგილობრივი დაინტერესებული მხარე, როგორც პროექტების წამყვანი ორგანიზაცია.

სივრცითი კომპონენტი	კონსერვაციის ასპექტები			
	კულტურა	ბუნება	საზოგადოება	პასუხისმგებელი ორგანიზაციები
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი	კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია; კონსერვაციის გენერალური გეგმა		ვიზიტორთა ცენტრი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ბუნების ძეგლი		იმერეთის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმა		გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (დაცული ტერიტორიების სააგენტო)
ტყეები		წლიური სამოქმედო გეგმები		გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (სატყეო დეპარტამენტი)
სასოფლო ტერიტორია			ინფრასტრუქტურული პროექტები (გზა, გაზი, წყალი); ტურიზმის განვითარების სტრატეგია; იმერეთის რეგიონალური განვითარების პროექტები; საოჯახო სასტუმროების განახლება; აგროტურიზმი.	ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ტყიბულის მუნიციპალიტეტი; კურსების თემი

ტაბულა 9. მიმდინარე საქმიანობა და პროექტები

4.10. მიმდინარე საქმიანობა და პროექტები

რადგან მთავრობისათვის რეგიონალური განვითარება და გარემოს დაცვა მაღალპრიორიტეტულია, მიზნების მისაღწევად შესაბამისი საქმიანობაა დაწყებული. მათ განხორციელებას ხელს უწყობს მსოფლიო ბანკის დაფინანსება.

ამჟამად კულტურული და ბუნებრივი რესურსების დაცვა და მოვლა-პატრონობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობაა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, ბუნების ძეგლებსა და ტყეებში ძირითადად ეს ორი სამინისტრო აქტიურობს. მათი ძირითადი საქმიანობისათვის გამოიყენება სახელმწიფო დაფინანსება, ხოლო გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება ხმარდება სერვისებისთვის გარე რესურსების მოზიდვას და ისეთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, როგორცაა კონსერვაციის გენერალური გეგმა და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმდინარე საქმიანობები და პროექტები ნაჩვენებია ტაბულა 9-ის პირველ სამ რიგში.

მდგომარეობა გაცილებით რთულია სასოფლო ტერიტორიების თავლსაზრისით, რადგან არ არსებობს ცხადად გამოკვეთილი ამოცანები და პასუხისმგებლობები. რეგიონალური განვითარების სამინისტრო, იმერეთის რეგიონი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი და კურსების ადმინისტრაციული თემი საჯარო დაწესებულებებია, რომელთაც საკონსერვაციო და განსავითარებელი საქმიანობების განხორციელება ევალებათ. სახელმწიფო დაფინანსება ამისათვის არასაკმარისია კერძო დაფინანსების მოპოვება კი რთული. მსოფლიო ბანკის მიერ იმერეთის რეგიონალური განვითარებისთვის გამოყოფილი დაფინანსება საშუალებას იძლევა განხორციელდეს ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა წყალმომარაგებისა და გაზის გაყვანილობის მშენებლობა. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტით შემუშავდა იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია. გეგმის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მაგრამ დაფინანსების წყარო გაურკვეველია. ამჟამად მცირე პროექტებისთვის გრანტები და მიკრო კრედიტები გამოყოფილია მსოფლიო ბანკის და სხვა დონორების მიერ.

5. ჩარევა

5.1. ზოგადი მიმოხილვა

მართვის მექანიზმების ჩარევა საჭიროა, რათა მოხდეს :

- დინამიკური პროცესებისა და ელემენტთა ურთიერთქმედების გათვალისწინებით, სივრცულ ერთეულებში კულტურული და ბუნებრივი ღირებულების და ფუნქციების დაცვა და შენახვა;
- ამ კულტურული და ბუნებრივი ღირებულების და ფუნქციების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა;
- მდგრადი ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობების განვითარება;
- საზოგადოებაზე, ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე განვითარების უარყოფითი ზეგავლენის შესუსტება.

გარემოსდაცვითი შეფასების შედეგები, რომლებიც შეივსო დაინტერესებულ მხარეთა მოწოდებული მონაცემებით, გამოყენებული იქნა მართვის საკითხების და მასთან დაკავშირებული ზომებისა და სტრატეგიების განსასაზღვრად. ამ ზომების გასატარებლად შემუშავებული იქნა პროგრამები, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

5.2. მართვის საპიოხეპი

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი

მართვა და კულტურული ღირებულება

გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. ის გელათის ლანდშაფტის უმნიშვნელოვანეს სივრცულ ელემენტს წარმოადგენს. 2008 წელს შემუშავებული იქნა სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციის გენერალური გეგმა, რომელსაც ევრდნობა საკონსერვაციო სამუშაოები. გეგმაში ჩამოთვლილია ადამიანისა და ბუნების ის ურთიერთქმედებები, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს. ეს არის კონსერვაციის გეგმისა და ზოგადი ზონირების საფუძველი. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არის პასუხისმგებელი დაწესებულება, მაგრამ ჯერ არ არსებობს ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა მათი განხორციელების ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის. პირველი პრიორიტეტული საკითხია გეგმის მიმდინარე განხორციელების დასრულება და პროექტის მართვის გაძლიერება.

კონსერვაცია საჭიროებს კვალიფიციურ და გამოცდილ პერსონალს. ამდენად, ტექნიკური პერსონალის განათლების ამაღლება და ტრენინგი პრიორიტეტულია.

დაბოლოს, მართვამ სამეცნიერო პუბლიკაციებისა და განათლების მეშვეობით ხელი უნდა შეუწყო კვლევასა და მისი შედეგების გავრცელებას.

ტურიზმის ხელშეწყობა

გელათის მონასტერი მნიშვნელოვანი ტურისტული ძეგლი და სულიერი ცენტრია, რომელიც წლის განმავლობაში დაახლოებით 200 000 ტურისტს იზიდავს. შემოთავაზებული მიზნობრივი საბაზრო სტრატეგიით, ეს რიცხვი მომავალში სავარაუდოდ გაიზრდება. ეს გავლენას იქონიებს მართვაზე.

ტურისტული მომსახურების დონე უნდა გაუმჯობესდეს, საჭიროა კვალიფიციური პერსონალის მომზადება. უსაფრთხოება და დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნას როგორც ძველისთვის ისე მისი ვიზიტორებისათვის. მნიშვნელოვანი ასპექტია ვიზიტორთა ნაკადის მართვაც.

ამ თვალსაზრისით მთავარი ინსტრუმენტი ვიზიტორთა ახალი ცენტრი. შესამუშავებელია გეგმა მის საექსპლუატაციოდ.

რელიგიური ფუნქციის ხელშეწყობა

მონასტერს რელიგიური ფუნქცია აქვს. რელიგიური მემკვიდრეობის უწყვეტი ბუნება ითხოვს ურთიერთგაგებას და ურთიერთთანამშრომლობას რელიგიურ თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებმაც ერთად უნდა იმუშაონ წმინდა ადგილებთან დაკავშირებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. მეორე მხრივ, მონასტერს სჭირდება შესაფერისი პირობები ღმრთისმსახურების ჩასატარებლად და შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები ბერებისათვის.

გეგმები, რომლებიც ამ საკითხების მოგვარებას ემსახურება, წარმოდგენილია მონასტრის ფუნქციონირების პროგრამაში.

ბუნება

ბუფერულ ზონაში მთავარი სივრცული ელემენტებია ბუნების ძეგლები და ტყეები. ბუნების კონსერვაცია და გარემოსდაცვითი განათლება ზოგადად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კონკრეტულად კი დაცვული ტერიტორიების და ეროვნული სატყეო სააგენტოს პასუხისმგებლობაა.

იმისათვის, რომ მომავალში ტურისტებისათვის ამ არეალის მიმზიდველობა გაიზარდოს, დეგრადირებული ტყის ხარისხის აღდგენა მომდევნო წლებში მაღალი პრიორიტეტის საკითხი უნდა გახდეს. მთავრობა გეგმავს მოამარაგოს სოფლები ბუნებრივი აირით, რათა აღარ იყოს შეშის ჩეხვის საჭიროება; ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს არარეგალურ ხისჭრას. თუმცა, გაზსადენის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა (2017). როდესაც მიღებულ იქნება ახალი სატყეო კოდექსი, ის გახდება მდგრადი სატყეო მართვის კანონიერი ჩარჩო.

იმ ადგილებში, სადაც ძველი სამტეხლოებისა და მადაროების სამრეწველო ნარჩენები ზიანს აყენებს ლანდშაფტის ვიზუალურ იერს, საჭიროა შეიქმნას გამწვანების აღდგენის გეგმები. ზოგიერთ ადგილებში არსებობს გეოლოგიური ტურისტების მიზიდვის შესაძლებლობა, რაც ითხოვს შემდგომ განვითარებას.

ტურისტული ბილიკები გარემოსდაცვითი განათლების საშუალებებია და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. მოწამეთას და გელათის დამაკავშირებელ ტურისტულ მარშრუტს, რომელიც ძველ გზებს მიჰყვება და ისტორიულ ძეგლებსა და თვალისმომკრებელ კარსტულ მღვიმეებს ერთმანეთთან აკავშირებს, მაღალი ტურისტული ღირებულება აქვს. ეს კონცეფცია შემდგომში განსავითარებელია.

გარემომცველ ბუნებაში მდებარე ძეგლები გასაფრთხილებელი, დასაცავი და სადაც შესაძლებელია აღსადგენია.

საზოგადოება

დღესდღეისობით არეალს სუსტი ეკონომიკური სტრუქტურა აქვს. სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი საარსებო სექტორია, მაგრამ ტურიზმს გაფართოების

მეტი პოტენციალი აქვს. მიწისა და რესურსების გონივრული გამოყენება საჭიროა ამ საქმიანობების მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად უნდა განვითარდეს მდებარეობისა და საძოვრების გამოყენების მდგრადი რეჟიმი. საპროექტო ტერიტორიაზე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა ეკო-ტურიზმია, რომლის განსაზღვრებად ბუნებრივი და კულტურული კომპონენტების ხელშეწყობაა საჭირო.

მდგრადი ტურიზმის განვითარებას მაღალი პრიორიტეტი ენიჭება. ის კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების იმგვარ მართვას მოითხოვს, რომ ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური საჭიროებების განხორციელებასთან ერთად კულტურული მთლიანობა, აუცილებელი ეკოლოგიური პროცესები და ბიოლოგიური მრავალფეროვნება და სიცოცხლის მხარდამჭერი სისტემები შენარჩუნდეს. ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადის უარყოფითი ზეგავლენა უნდა შემცირდეს მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სივრცული კომპონენტი	მართვის ასპექტი			
	კულტურა	ბუნება	საზოგადოება	სტრატეგიული შემსრულებლები
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი (II თავი)	კულტურული რესურსის მართვის ხელშეწყობა <ul style="list-style-type: none"> • კვლევა და განათლება • ტრენინგი • მონიტორინგი ტურიზმის ხელშეწყობა	მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იერსახის დაცვა	ტრანსპორტის მოძრაობისა და ვიზიტორთა ნაკადის მართვა; რელიგიურ ცენტრად ფუნქციონირების ხელშეწყობა	საპატრიარქო კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ბუნების ძეგლი და ტყე (III თავი)	კულტურული ძეგლების დაცვა	ბუნებრივი რესურსების მართვის ხელშეწყობა; ტურისტული ბილიკების რაბილიტაცია და კონსერვაცია	ბუნების ძეგლების ბილიკების განვითარება; რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა და გაძლიერება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სოფლის მეურნეობა (IV თავი)	არქეოლოგიური და კულტურული ძეგლების დაცვა	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გარე იერის და ფიზიკური მთლიანობის შენარჩუნება	მდგრადი სოფლის მრეწველობის ხელშეწყობა	ტყეების მუნიციპალიტეტი
ძეგლის მართვა	მონასტერი; ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადგილობრივი ადმინისტრაცია	კურსების ადმინისტრაციული ერთეული; ადგილობრივი მოსახლეობა	ხელმძღვანელობა და მართვის კომიტეტი და ძეგლზე მოქმედ ჯგუფს შორის კომუნიკაცია (V თავი)

ტაბულა 10. სამოქმედო პროგრამები

5.3. პროგრამები

ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შემუშავებული იქნა პროგრამები, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში (2016-2020) უნდა შესრულდეს. ამ პერიოდის შემდგომ გეგმა უნდა გადაიხედოს და განახლდეს. პროგრამები შეჯამებულია მეათე ტაბულაში. დეტალურად ისინი აღწერილია მართვის გეგმის თანმხლებ დოკუმენტში „სამოქმედო პროგრამები“.

პროგრამები შემუშავდა პირველ სვეტში ნაჩვენები ყველა სივრცითი ერთეულისთვის; ისინი ეხება კულტურისა და ბუნების დაცვასა და კონსერვაციას და სოციო-ეკონომიკურ განვითარებას. მატრიცის უჯრედები განსაზღვრავს პროგრამებში დამუშავებულ თემებს.

მარჯვენა სვეტში ჩამოთვლილი არიან სივრცული ერთეულის მეპატრონეები და/ან მათზე პასუხისმგებელი დაწესებულებები; ერთად ისინი ქმნიან გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის კომიტეტს. ქვედა რიგში ჩამოთვლილია ქმედების სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი ოპერაციული შემსრულებლები; ერთად ისინი ქმნიან ძეგლზე მოქმედ ჯგუფს. მატრიცის ბოლო უჯრა, სადაც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის მართვის კომიტეტი და ძეგლზე მოქმედი ჯგუფი ხვდება ერთმანეთს, ამ ორ ჯგუფს შორის კოორდინაციასა და კომუნიკაციას სიმბოლიზირებს. ეს ასპექტები შემდეგ თავშია განხილული.

6. ხელმძღვანელობა და კმბლის მართვა

6.1. მართვის კომიტეტი

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის მართვის კომიტეტი („კომიტეტი“) ფორმირებული იქნება *მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების სამოქმედო სახელმძღვანელოს* შესაბამისად (WHC.13/01 July 2013) და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის დებულების მე-9 მუხლის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 16 ივლისს, დადგენილება № 197.

ამგვარად, მართვის კომიტეტს ექნება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის („მინისტრი“) სათათბირო ორგანოს სტატუსი და იმუშავებს მჭიდრო ურთიერთკავშირში კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციათა კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტთან და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სათათბირო კომიტეტთან, რომელიც შეიქმნა მინისტრის ბრძანებით №3/37, 2007 წლის 27 თებერვალს უფრო ფართო ფარგლებში.

ზემოთხსენებულ მე-9 მუხლში მოხსენებული რეგულაციები, აძლევს მინისტრს შესაძლებლობას შეიყვანოს კომიტეტში სხვა სამთავრობო უწყებების მოხელეები ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები (მათი თანხმობით). ამან უნდა მოიცვას და გაადვილოს პროცედურები სხვადასხვა სამინისტროების და სააგენტოების წვლილის ჰორიზონტალური კოორდინაციისთვის. ამ გზით კომიტეტს შეუძლია უზრუნველყოს მართვის მიზნების მიღწევა და ის, რომ ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროფესიული რჩევების საჭიროების შემტხვევაში უნდა მოწვეულ იქნენ გარეშე ექსპერტები.

მართვის სტრუქტურამ უნდა ასახოს მულტი-სექტორული ხასიათი მართვის და დაკავშირებული ინტერესების ფართო სპექტრი ეროვნულ დონეზე, მაგრამ ამავე დროს უნდა უზრუნველყოს ეფექტურ და ძეგლის ქმედითუნარიანი მართვა. ეს ითხოვს ფუნქციონალურ გამოჯვანას ცენტრალურ და ადგილობრივ კომპონენტებს შორის, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან კომუნიკაციების და კოორდინაციის სწორი პროცედურებით .

შესაძლო საორგანიზაციო შემადგენლობა ნაჩვენებია მე- 11 ტაბულაში.

კომიტეტის მთავარი ფუნქციები უნდა იყოს შემდეგი:

- ხარისხის კონტროლი. ითანხმებს წლიურ გეგმებს და პროგრამებს;
- გეგმავს მართვის გეგმის მოკლევადიან და საშუალოვადიან განხორციელებას;
- ადგენს პროცედურებს ჰორიზონტალური კოორდინაციისთვის;
- წარმართავს და ეხმარება მართვის გეგმის განხორციელებას;
- ატარებს მიმდინარე საკონსერვაციო და მართვის იმ პრობლემების ანალიზს, რომლებიც ზემოქმედებენ ძეგლზე;
- წარუდგენს კვარტალურ ანგარიშებს კულტურის მინისტრს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- პერიოდულად ამოწმებს მართვის გეგმის განხორციელების შედეგებს და აკეთებს შუალედურ და საბოლოო შეფასებას.

მინისტრი ამტკიცებს კომიტეტის დებულებას, კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს კომიტეტი წელიწადში ორჯერ მაინც.

კომიტეტის წევრებს წარადგენენ შემდეგი უწყებები:

- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია

ეროვნული უწყებები:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
- საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ადგილობრივი ხელისუფლება და თემი:

- იმერეთის რეგიონალური ადმინისტრაცია
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- ადგილობრივი თემი
- მეწარმეთა ეროვნული სააგენტოები

წევრებს უნდა გადაეცეთ შემოთხამოვლილი ამოცანების თაობაზე გადაწვეტილებების მიღების მანდატი.

ძეგლის მუშა ჯგუფი

კომიტეტი აყალიბებს ძეგლის მუშა ჯგუფს მის შემადგენლობაში. შესაძლებელია მოწვეულ იქნან შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები:

- მონასტერი
- ქუთაისის ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმ- ნაკრძალი
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- ადგილობრივი თემის წარმომადგენლები
- ტურისტული სააგენტოები


მუშა ჯგუფი

- პასუხისმგებელი იქნება გეგმების განხორციელებაზე სპეციალური საპროექტო ჯგუფების მეშვეობით;
- მოამზადებს წლიურ გეგმებს;
- აწარმოებს ყოველდღიურ მართვას;
- უზრუნველყოფს კანონების და წესების დაცვას;
- კომუნიკაცია აქვს ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებთან;
- წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშებს კომიტეტის მდივანს

კომიტეტის თავმჯდომარე ნიშნავს ჯგუფის თავმჯდომარეს. ჯგუფი იკრიბება ყოვეთვიურად, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფორ ხშირად.

საპროექტო ჯგუფები

ეს ჯგუფები შედგება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და გარეშე კონტრაქტორებისგან, რომლებიც მოწვევულები იქნებიან კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. ეს ამოცანები არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის მართვის კომიტეტის მიერ დამტკიცებული წლიური პროგრამის ნაწილი. პროექტის ჯგუფის თავმჯდომარეს აქვს კონტრაქტის ხელმოწერის და გადახდების დამოწმების მანდატი.



ტაბულა 11. მართვის სტრუქტურის ორგანოგრამა

კომუნიკაცია და კოორდინაცია

მართვის კომიტეტის მდივანი და მართვის ჯგუფის თავმჯდომარე ვალდებული არიან უზრუნველყონ კომუნიკაცია მართვის ჯგუფსა და მართვის კომიტეტს შორის. მდივანი ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის გაზიარებას კომიტეტის წევრებს შორის.

6.2. საკანონმდებლო ბაზა და ბიუჯეტი

მართვის გეგმის ადგილი და როლი ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტების იერარქიაში, ისევე როგორც მისი განხორციელების მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგია, აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი კანონით.


კანონმა უნდა განსაზღვროს მართვის გეგმის დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტის შედგენის წესები და პრინციპები. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მართვის გეგმის ბიუჯეტი შეიძლება შედგენილ იქნას ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული მოგებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიებით, კრედიტებით, გრანტებითა და შემოწირულობებით.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის 5.1. მუხლი უფლებას ანიჭებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შეიმუშაოს და განახორციელოს ამოცანები და/ან სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაზე. გელათის მართვის გეგმა მიზნად ისახავს დაიცვას და პოპულარიზაცია გაუწიოს გელათის სამონასტრო კომპლექსს. აქედან გამომდინარე ის შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა იმ სახელმწიფო ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ქვეყანამ აიღო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის წინაშე. ხსენებული ნორმის საფუძველზე, მართვის გეგმა შეიძლება დამტკიცებულ იქნას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოებში. ხსენებული დამტკიცების შემდეგ, მართვის გეგმა ხდება მოქმედი და აუცილებელი სამინისტროს მხრიდან მართვის კომიტეტის აქტიური მონაწილეობით.

7. განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

7.1. ზოგადი მიმოხილვა

მართვის გეგმა იძლევა მიმართულებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საპროექტო არეალის მართვა იმ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რომლებიც ჩამოთვლილია 14. ნაწილში. მართვა დინამიკური პროცესია, რომელიც სქემატურად შეიძლება აისახოს ტაბულა 12-ზე მოცემულ ნახაზზე.



ტაბულა 12. მართვის პროცესების სტრუქტურა

სტრუქტურაზე ნაჩვენებია:

- a. მართვის არეალი სქემატურად მოცემულია ყუთის სახით მე-12 ტაბულის ცენტრში. ეს ასახავს:
 - არეალის სივრცით ელემენტებს (ჰორიზონტალური ზოლები) და დაკავშირებულ კულტურულ, ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ მახასიათებლებსა და ღირებულებებს (ფერადი ვერტიკალური ზოლები);
 - მართვის საჭირო ქმედებები და პროგრამები;
- b. ამოცანები
- c. საწყისი პროცესი, მითითებული ჰორიზონტალური მწვანე ისრებით (შენატანი, საჭირო ქმედებები და მოსალოდნელი შედეგები);
- d. მართვის სტრუქტურა:
 - ეროვნული კომიტეტი და ძეგლის მართვის ჯგუფი;
 - საკანონმდებლო ჩარჩოები, თანამშრომლები და საშუალებები, რომელიც საჭიროა პროცესის დაწყების გასაადვილებლად;
 - ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა და ვალდებულებები.

e. ხარისხის კონტროლის ციკლი; პროცედურები, რომლებიც საჭიროა თვით პროცესისა და შედეგების მონიტორინგის, შეფასებისა და კონტროლისთვის. ეს მოიცავს:

- შედეგების და პროცესის მონიტორინგი;
- შედეგების შეფასება;
- შესწორებების ქმედებები საჭიროების შემთხვევაში

ეს ასპექტები აღწერილია შემდეგ თავში.

7.2. მონიტორინგი

მეთოდოლოგია

შედეგების და პროცესის ხარისხის მონიტორინგი წარმოებს ინდიკატორების ერთობლიობის მეშვეობით.

ინდიკატორები ის ატრიბუტებია, რომლებიც სახასიათოა სხვადასხვა კომპონენტების მდგომარეობისთვის. შემდეგი “SMART” კრიტერიუმები გამოიყენება მათ შესარჩევად. ინდიკატორი უნდა იყოს **სპეციფიკური** იმ ატრიბუტისთვის, რომლის შემოწმება ხდება; ინდიკატორი უნდა იყოს **გაზომადი**, ხოლო შედეგები **მიღწევადი** არსებული რესურსების პირობებში. და ბოლოს შედეგი უნდა იყოს **სახასიათო** იმ ამოცანისთვის, რომლის შეფასება ხდება, და **დროული**, ისე რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს, როგორც მასალისა შეფასებისთვის.

შედეგების ინდიკატორები: კულტურული კომპონენტის ინდიკატორებმა უნდა ასახონ ძეგლის ავთენტურობა და მთლიანობა, როგორც მითითებულია იუნესკოს სამოქმედო წესებში. ბუნებრივი ფასეულობები და ფუნქციები უნდა შეფასდეს სახასიათო არეების ბიომრავალფეროვნებით. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ძეგლი ამ არეალის ფარგლებში. მდგრადი მიწათსარგებლობის და ტურიზმის განვითარების სოციალური და ეკონომიკური ეფექტები შეიძლება აღებულ იქნას მიკრო-ეკონომიკური ინდიკატორებიდან, როგორცაა ოჯახების შემოსავალი, და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით.

პროცესის ინდიკატორები: პროცესის ინდიკატორები გამოიყენება მართვის პროცესის ეფექტურობის და შედეგიანობის შესაფასებლად. ტრეკინგის ინსტრუმენტები გამოიყენება სამუშაოს განვითარების მონიტორინგისთვის. ასპექტები, რომლებიც მოწმდება, მოიცავს გარე ფაქტორების ზემოქმედებას (ფორს მაჟორი), მართვის გეგმაში დასახული ქმედებების დაგეგმვასა და შესრულებას, ადამიანური და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და ინფორმაციის ნაკადს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თავისი სტრუქტურული ერთეულის – ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მეშვეობით, ახორციელებს ძეგლის პერიოდულ მონიტორინგს. მონიტორინგის ექსპერტი ვალდებულია წარადგინოს ყოველთვიურად სააგენტოს ცენტრალურ ოფისში მონიტორინგის მოკლე ანგარიშები. ანგარიში შედგება ტექსტური და ფოტო ინაფორმაციისგან.

ცენტრალური ოფისის ინტერდისციპლინარული ჯგუფი ახორციელებს ძეგლის მონიტორინგს სამ თვეში ერთხელ, რათა შეფასდეს მდგომარეობის სხვადასხვა საკითხები. მოკლე პერიოდული ანგარიშების საფუძველზე, სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების მიერ მზადდება ძეგლის მდგომარეობის წლიური ანგარიში.

პერიოდული ანგარიშების საფუძველზე ხდება მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება ძეგლის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

ამის პარალელურად, ეროვნულ სააგენტოში შექმნილი სპეციალური საბჭო ახორციელებს ძეგლზე მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოების პერიოდულ მონიტორინგს. ამ მონიტორინგის პერიოდულობა დამოკიდებულია კონკრეტული პროექტების სპეციფიკასა და ხანგრძლივობაზე.

ინდიკატორი	აერიოლულობა	ანბარიშვების ბანთაშვება
ძეგლის ტერიტორიისა და ნაგებობების სისუფთავე და წესრიგი	მოვლა-პატრონობის უწყვეტი ანგარიშები; წლიური და სეზონური ანგარიშები მდგომარეობაზე.	ადგილობრივი მენეჯერი; მონიტორინგის ექსპერტი; კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო;
ნაგებობათა მდგომარეობის ცვლილებათა მანევრებელი: ქვის წყობა ფასადებზე და ინტერიერში, ფრესკები, მოზაიკა, სახურავი	მდგომარეობის ანგარიში ყოველ 5 წელიწადში, ფოტოფიქსაციის ჩათვლით	ადგილობრივი მენეჯერი; მონიტორინგის ექსპერტი; კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო;
გარემო ლანდშაფტის ცვლილებების მანევრებელი, გარემოს გეგმარებისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით	წლიური ანგარიშები	ადგილობრივი მენეჯერი; მონიტორინგის ექსპერტი; კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო;
ცვლილებები ძეგლის გამოყენებაში, ვიზიტორთა მიღების საშუალებები, ვიზიტორთა რაოდენობა	წლიური ანგარიშები	ადგილობრივი მენეჯერი; მონიტორინგის ექსპერტი; კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო;

ტაბულა 13. საკვანძო ინდიკატორები ძეგლის მდგომარეობის მონიტორინგისთვის

7.3. შეფასება

მონიტორინგის შედეგები ორმხრივ იქნება შეფასებული. თუ გარეშე ან საკანონმდებლო სტანდარტები ხელმისაწვდომია, ისინი ცნობად იქნება მიღებული. ეს ხშირად არის გარემოსდაცვითი პარამეტრების შემთხვევა, როგორც არის წყლის ხარისხი და ჰაერის დაბინძურება.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სტანდარტები არ არსებობს, ამოსავალი ღირებულებები უნდა განისაზღვროს თითოეული ობიექტისთვის.

ბიბლიოგრაფია

- აბღალაძე ა., გელათის აკადემიის ისტორიიდან, *მნათობი*, 1968, №9.
- ალავიძე მ., თამარ მეფის ეკედერი გელათში, *ქუთაისი*, 1966, 17 მაისი, №94.
- ალავიძე მ., სახელწოდება "გელათი", *ქუთაისი*, 1978, 4 აგვისტო.
- ამირანაშვილი შ., გელათის მოზაიკა, *ძეგლის მეგობარი*, 1965, № 4, გვ. 9-14.
- ამირანაშვილი შ., *ქართული ხელოვნების ისტორია* (თბილისი, 1961), გვ. 260, გვ. 272-274.
- ამირანაშვილი შ., *ხახულის კარედი* (თბილისი, 1972).
- ბერიძე ვ., *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1974).
- ბერიძე ვ., *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, ტ. 1-2 (თბილისი, 2014).
- ბულია მ., ჯანჯალია მ., *ქუთაისი, საქართველოს ძველი ქალაქები* (თბილისი, 2006).
- გაგოშიძე გ., ადაფს ნერჩის ძის ეპიტაფია გელათიდან, *ძველი ხელოვნება დღეს*, 2, 2011, გვ. 25-27.
- გელევანიშვილი ე., გელათის მონასტრის წმ. ნიკოლოზის ტაძრის სიმბოლური ინტერპრეტაციისთვის, *საქართველოს სიძველენი*, №13, 2009, გვ. 93-103.
- გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, ფოტოალბომი, რ. მეფისაშვილისა და თ. ვირსალაძის წინასიტყვაობით* (თბილისი, 1982).
- გელათი – 900, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განხეულიობა* (თბილისი, 2007).
- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გამოსცა გ. გელაშვილმა* (თბილისი, 1962).
- გოგუაძე მ., *ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან* (თბილისი, 1948).
- დედარიანი ფ., გელათის მონასტრის XVII ს. მოხატულობათა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 33-2 სამეცნიერო სესია, სესიის მასალები* (თბილისი, 1999), გვ. 28-30.
- დედარიანი ფ., გელათის მონასტრის XVII საუკუნის სამხატვრო სახელოსნოს ისტორიისათვის, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1997), გვ. 33-34.
- დედარიანი ფ., გელათის ღვთისმშობლის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობა (მაცხოვრის ვნებათა ციკლი), *ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, 2001, №2, გვ. 59-73.
- ენიკოლოფოვი ი., გელათის რკინის კარები, *მნათობი*, №6, 1980, გვ. 169-173.
- ვირსალაძე თ., ახლად გახსნილი ფრესკა გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის ეკვდერში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია. 1956 წლის 6 და 7 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1956), გვ. 5-6.
- ვირსალაძე თ., გელათის კედლის მხატვრობის შესწავლის საკითხები, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია. 1959 წლის 25 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1959), გვ. 6-8.
- ვირსალაძე თ., გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთი ეკვდერის მოხატულობა, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია. 1955 წლის 17-18 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1955), გვ. 12.
- ზაქარაია პ., *XI-XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. X-XII სს.* (თბილისი, 1975), გვ. 65-92.
- ზაქარაია პ., *ქართული ხუროთმოძღვრება XI-XIII სს.* (თბილისი, 1990), გვ. 26-40.
- თუმანიშვილი დ., XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ტენდენციის გაგებისათვის, *წერილები, ნარკვევები* (თბილისი, 2001), გვ. 109-121.
- კაკაბაძე ს., გელათის მონასტერში 25 ივლისს, *ივერია*, 1904, 174 (29 ივლისი), გვ. 2-3.
- კეხევაძე მ., გელათის მონასტრის გაუქმება და უკანასკნელი გელათელი ბერები, *ახალი ეპოქა*, 2003, 8 მაისი.
- კეხევაძე მ., გელათის აკადემიის შენობის გადახურვის ორი მცდელობა XIX საუკუნეში, *საქართველოს სიძველენი*, 13, 2009, გვ. 206-213.

- კლდიაშვილი ა., მეფედ კურთხევის გამოსახულებისთვის ქართულ კედლის მხატვრობაში, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1991, №3, გვ. 161-186.
- კუპრაშვილი ნ., გელათი ღვთისმშობლის ტაძრის XII საუკუნის მოხატულობათა ტექნიკა, *ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში. ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თეზისები*, (თბილისი, 2008), გვ. 122-123, 133.
- კუპრაშვილი ნ., ქართული მონუმენტური მხატვრობის ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხი, *ძეგლის მეგობარი*, 1993, 1, გვ. 30-33.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ., არქეოლოგიური კვლევები გელათსა და მოწამეთაში, *ძველი ხელოვნება დღეს*, 1, 2010, გვ. 14-20.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ., გელათი, დავით აღმაშენებლის კარიბჭე (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), *ძველი ხელოვნება დღეს*, 2, 2011, გვ. 20-24.
- ლეიშვილი ნ., *გელათი* (თბილისი, 1982).
- ლეონიდე, ეპისკოპოსი იმერეთისა, ბატონო რედაქტორო!, *ივერია*, 1904, №179 (4 აგვისტო), გვ. 2-3.
- ლოლაშვილი ი., *თამარ მეფის აკლდამა გელათში* (თბილისი, 1989).
- ლომინაძე ბ., *გელათი* (თბილისი, 1959).
- ლომინაძე ბ., რატომ დაიკარგა თამარ მეფის საფლავი გელათში, *ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე*, №4 (1995), გვ. 92-104.
- ლორთქიფანიძე ი., ქართული ფერწერის ისტორიიდან, *ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები* (თბილისი, 1982), გვ. 68-70.
- მამაიაშვილი ი., ისტორიულ პირთა გამოსახულებანი გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის XV-XVI სს. მოხატულობებში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 33-2 სამეცნიერო სესია, სესიის მასალები* (თბილისი, 1999), გვ. 25-27.
- მამაიაშვილი ი., გელათის მთავარი ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობის იკონოგრაფიული პროგრამის თავისებურებანი, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 2001, 1, გვ. 151-161.
- მამაიაშვილი ი., *გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობა, სადოქტორო დისერტაცია* (თბილისი, 2005).
- მამაიაშვილი ი., გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მხატვრობა, *გელათი-900, სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (თბილისი, 2007), გვ. 9-10.
- მამაიაშვილი ი., გელათის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა, *ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, 2001, №2, გვ. 105-117.
- მამაიაშვილი ი., გელათის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის კომპოზიციის სტრუქტურა და მხატვრული გადაწყვეტა, *საქართველოს სიძველენი*, 2002, №2, გვ. 138-145.
- მამაიაშვილი ი., გვიანი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ზოგიერთი ასპექტი, *ლოვოსი, წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*, 2004, №3, გვ. 22-25.
- მამაიაშვილი ი., დავით აღმაშენებლის პორტრეტი გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძარში, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 2005, №10, გვ. 3-13.
- მამაიაშვილი ი., მეღქიზედეკ საყვარელიძის საქტიტორო პორტრეტი, *ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, 2005, №6, გვ. 184-192.
- მამაიაშვილი ი., მეფე-დედოფლის კურთხევის კომპოზიცია გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის კარიბჭეში, *სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ხელოვნების, ისტორიის და თეორიის კათედრა*, 2000, გვ. 109-117.
- მამაიაშვილი ი., პოსტბიზანტიური მხატვრობის სტილური ტენდენციები გელათის მთავარი ტაძრის XV საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობაში, *ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, 2002, №4, გვ. 69-79.
- მამაიაშვილი ი., საქტიტორო პორტრეტი გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭის მოხატულობიდან, *საქართველოს სიძველენი*, 11, 2007, 153-160.

- მამაიაშვილი ი., ღვთისმშობლის დაუჯდომლის ჰიმნის ილუსტრაციები გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის მხატვრობაში, *ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, 2002, №3, გვ. 57-63.
- მამაიაშვილი, ი., ღმრთისმშობლის მიცვალების ტექსტის ილუსტრაციები გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში, *საქართველოს სიძველენი*, №4-5 (2003), გვ. 227-236.
- მახარაძე ნ., საიდან მომდინარეობს სახელწოდება „გელათი“, *ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე*, №4 (1995).
- მეგრელიძე ი., დავით აღმაშენებლის ეპიტაფია, *ლიტერატურული საქართველო*, 1967, 6 იანვარი.
- მეფისაშვილი რ., გელათის ანსამბლი, ძეგლის მეგობარი, 1965, № 4, გვ. 9-10.
- მეფისაშვილი რ., გელათის მთავარი ტაძარი. არქიტექტურული ფორმების აღნაგობის თავისებურებანი, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია. 1958 წლის 5-6 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1958), გვ. 6-7.
- მეფისაშვილი რ., გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია. 1959 25 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1959), გვ. 5-6.
- მეფისაშვილი რ., ისტორიულ პირთა ახლად აღმოჩენილი პორტრეტები გელათის ტაძარში, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1951, 23, გვ. 4.
- მეფისაშვილი რ., ორსართულიანი ეკლესია გელათში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. 1960 წლის 5-6 მაისი. მოხსენებათა თეზისები და სამუშაო გეგმა* (თბილისი, 1960), გვ. 6-7.
- მეფისაშვილი რ., ვირსალაძე თ., *გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები* (თბილისი, 1982).
- მიქელაძე ქ., XIII-XIV საუკუნის საძვალეთა მოხატულობის ზოგიერთი თავისებურება, *ძეგლის მეგობარი*, 1999, 3, გვ. 28-34.
- მიქელაძე ქ., დავით ნარინის ეგვიპტის მოხატულობა, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1999, №2, გვ. 101-120.
- მიქელაძე ქ., *დავით ნარინის ეგვიპტის მოხატულობა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში (საკანდიდატო დისერტაცია)* (თბილისი, 2001).
- მიქელაძე ქ., დავით ნარინის პორტრეტები გელათის მონასტერში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 33-2 სამეცნიერო სესია, სესიის მასალები* (თბილისი, 1999), გვ. 21-22.
- მიქელაძე ქ., ისტორიული პორტრეტები გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერში, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 2001, №1, გვ. 145-150.
- მოსულიშვილი ჰ. *ქართული ძეგლის სტრუქტურა IV-XIII სს. გუმბათოვანი არქიტექტურა* (თბილისი, 1983), გვ. 104-110, 142.
- ნიკოლეიშვილი მ., *გელათი* (თბილისი, 1982).
- როდონაია ვ., სახელწოდება "გელათი", *ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს.)* (თბილისი, 1977), გვ. 48-57.
- საქართველოს სულიერი საგანძური*, წ 1. (თბილისი, 2005), გვ. 228-241.
- სანიკიძე თ., გელათის ხუროთმოძღვრების თავისებურებანი, *გელათი-900 სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (თბილისი, 2007), გვ. 17-19.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტექსტის ავტორი დ. თუმანიშვილი, თანაავტორები ნ. ვაჩიშვილი, მ. შავიშვილი, მ. ჩხაიძე* (თბილისი, 2010), გვ. 267-275.
- სხირტლაძე ზ., მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში, მასალები შესაძლო გაიგივებისათვის, *პუმანიტარული კვლევები, წელიწადულო*, II, 2012, გვ. 223-255.
- ტრაპაიძე კ., გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი, *ძველი ხელოვნება დღეს*, 1, 2010, გვ. 104-112.
- ფხაკაძე ა., უცნობი ძეგლი გელათში?, *ძეგლის მეგობარი*, №65, 1984, გვ. 57-62.
- ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.)* (თბილისი, 1980), გვ. 139-140, სურ. 130.
- ქავთარია ნ., გელათის ოთხთავი, *საქართველოს სიძველენი*, 11, 2007, გვ. 59-77.

- ყაუხნიშვილი თ., *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი* (თბილისი, 2004), გვ. 153-169.
- ყაუხნიშვილი ს., *გელათის აკადემია* (თბილისი, 1948).
- ყენია რ., სახელის ღმრთისმშობლის ხატი კარედის მოჭედილობა (თბილისი, 1972).
- ჩაკვეტაძე ვ., *გელათის აკადემია* (თბილისი, 1958).
- ჩიხლაძე ნ., ისტორიულ პირთა გამოსახულებები გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობაში, *სპექტრი* (1991), №1, გვ. 33-39.
- ჩიხლაძე ნ., *მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები გვიანფეოდალური პერიოდის კედლის მხატვრობაში (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI ს. მოხატულობის მაგალითზე)*, საკანდიდატო დისერტაცია (თბილისი, 1993).
- ჩიხლაძე ნ., ქართული საერო პორტრეტის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები*, X (2005), გვ. 78-82.
- ციციშვილი ირ., *ქართული ხელოვნების ისტორია* (თბილისი, 1995)
- ციციშვილი ირ., *ქართული არქიტექტურის ისტორია* (თბილისი, 1955).
- ხუსკივაძე ლ., *გელათის მონაქა* (თბილისი, 2005).
- ხუსკივაძე ლ., სახელის კარედის გარე მოჭედილობა, *საქართველოს ხელოვნების*, 7-8, 2005, გვ. 110-123.
- Alpago-Novello A., Beridze V., Lafontaine-Dosogne J., with cooperation E. Hybsch, G. Ieni, N. Kauchtschischvili, *Art and Architecture in Medieval Georgia* (Louvaine-le-Neuve, 1980).
- Beridze W., Neubauer E., *Die Baukunst des mittelalters in Georgien* (Berlin, 1980).
- Bulia M., Janjalia M., *Old Georgian Cities and Towns: Kutaisi* (Tbilisi, 2006).
- Eastmond A., *Royal Imagery in Medieval Georgia* (Philadelphia, 1998).
- Khuskivadze L., *The Khakhuli Triptych* (Tbilisi, 2007).
- Mepisashvili R., Zinzadze W., *Die Kunst des alten Georgien* (Leipzig, 1977).
- Mepisashvili R., Zinzadze W., *Georgien. Wehrbauten und Kirchen* (Leipzig, 1986).
- Velmans T., Alpago-Novello A., *Miroir de l'invisible. Peintures murales et architecture de la Géorgie* (Milano, 1996).
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“ (თბილისი, 1979).
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“, II ტომი, (თბილისი, 1977), . 20.
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“, *Ars Georgica*, 5 (1959), . 163-204.
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“ (თბილისი, 1890).
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“ (თბილისი, 1966).
- „*საქართველოს ხელოვნების ისტორია*“ (თბილისი, 1891).

დანართების სია

დანართი 1: სამოქმედო პროგრამები

დანართი 2: რუკები

მართვის გეგმას ერთვის A3 ზომის შემდეგი რუკები:

1. საქართველოს რუკა, 1 : 1 000 000.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტისა და ქუთაისის შემოგარენის რუკა, 1 : 100 000.
3. ნომინირებული ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის რუკა, 1 : 15 000.
4. ნომინირებული ძეგლის რუკა, 1 : 750.
5. ბუფერული ზონის რუკა, რომელზეც დატანილია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები და ძეგლის სტატუსზე წარსადგენი ობიექტები, 1 : 20 000.
6. ძეგლის საზღვრების მოდიფიკაციის რუკა, 1 : 30 000.
7. ტოპოგრაფიული რუკა, 1 : 25 000.
8. ტერიტორიულ-ფუნქციური ზონებისა და ტურისტული მარშრუტების რუკა, 1 : 15 000.
9. ბუფერულ ზონაში მიწის გამოყენების რუკა, 1 : 15 000.
10. ქვის სამტეხლოების მდებარეობის რუკა, 1 : 30 000.